

ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, დარღვეული დუმილის დადებითად გამოყენება

მარტინ ნისი

2017

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 15 წელზე მეტია მუშაობს ძალადობისგან ბავშვთა დაცვის საკითხებზე. ფონდი ცდილობს ხელი შეუწყოს იმის უზრუნველყოფას, რომ ბავშვები ნებისმიერ გარემოში სარგებლობდნენ თავიანთი ფუნდამენტური უფლებებით დაცულნი იყონ ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვი - დარღვეული დუმილის დადებითად გამოყენება
გამოვლენა, რეაგირება, მოქმედება
მარტინ ნისი

Copyright©2017, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი

ISBN 978-9941-0-9729-4

თარგმნა ფრანგულიდან ქართულად: ელენე კილაძე

ტექსტის ადაპტაცია და რედაქტირება: ქეთევან თავართქილაძე,
ლია სარალიძე

დიზაინი: გიორგი დოლიძე

Liberté • Égalité • Fraternité
REPUBLIQUE FRANÇAISE
AMBASSADE DE FRANCE
EN GÉORGIE

OAK FOUNDATION

bice
International Catholic Child Bureau

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი „ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, დარღვეული დუმილის დადებითად გამოყენება - გამოვლენა, რეაგირება, მოქმედება“ წარმოადგენს მარტინ ნისის წიგნის „ENFANT MALTRAITÉ DU BON USAGE DE L'INDISCRÉTION - Savoir identifier, répondre et agir“ ადაპტირებულ თაგმანს და განკუთვნილია ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების და ფართო საზოგადოებისთვის.

მარტინ ნისი არის პროფესორი, ოჯახის თერაპევტი და პარიზის ბუტ-შომონის ცენტრის - ერთ-ერთი ფუძემდებელი, სპეციალიზებული ძალადობის მსხვერპლი ბავშვის და ასევე, მოძალადის თერაპიული დახმარების კუთხით. ოცი წლის განმავლობაში, აღნიშნულ ცენტრში ქალბატონი ნისე თავის გუნდთან ერთად სოციალურ და იურიდიულ დახმარებას უწევს ბავშვებს და ოჯახებს, იყენებს სისტემური ოჯახური თერაპიის მეთოდს. მარტინ ნისი არის ევროპის ოჯახური თერაპიის ასოციაციის (EFTA) და ბავშვთა მიმართ ძალადობის და უგულებელყოფის პრევენციის საერთაშორისო საზოგადოების - ISPCAN -ის წევრი. მარტინ ნისი ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე შექმნილი მრავალი წიგნის და სტატიის ავტორია.

გამოცემა მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ, საერთაშორისო კათოლიკური ბავშვთა ბიუროთან (BICE) მჭიდრო თანამშრომლობით.

პროექტი დაფინანსებულია საფრანგეთის საელჩოს და ფონდი ოუკის (Oak Foundation) მიერ.

წინასიტყვაობა

რატომ ეს ნაშრომი?

> რადგან ძალადობა, ეს არის სოციალური ფენომენი, რომელიც შეიძლება შეეხოს ნებისმიერს.
>
> რადგან მოზარდს ყოველთვის შეიძლება გამოუჩნდეს მხარდამჭერი მისი გარემოცვიდან ან მის მეურვეებს შორის.
>
> რადგან არ არის ადვილი სწორი მიდგომის პოვნა და მეტად საშიშია არასწორი ჩარევა.

ვის შეუძლია ჩარევა?

პირველ რიგში ოჯახის წევრს, დედას, მამას, მეზობელს, ოჯახის ახლობელ ადამიანს ან ნებისმიერ უფროსს, ვინც ამოიცნობს მოზარდის დისტრესის მიზეზს და განუმარტავს, რომ იგი არის ან იყო ძალადობის მსხვერპლი.

თქვენმა ჩარევამ დამიბრუნა ღირსება...

ვინ იცის რამდენი ძალისხმევა დასჭირდა მოზარდს, სანამ აგრძნობინებდა სხვებს მის გასაჭირს. რა გზით ცდილობდა იგი საკუთარი შინაგანი მდგომარეობის გამოხატვას? როგორი უნდა იყოს პირველი რეაქცია? ვის უნდა მიმართოს? რა უნდა იღონონ მოზარდთა უფლებების დამცველებმა და რაში მდგომარეობს კანონმდებლობის როლი? რა უფლებები აქვს მოზარდს და როგორია უფროსების ვალდებულებები? როგორ შეიძლება დატრიალდეს მსგავსი დრამა და რა გავლენა შეიძლება იქონიოს მოზარდის მომავალზე?

ამ ნაშრომის მიზანია გაეცეს მარტივი პასუხები ამ უმნიშვნელოვანეს კითხვებს, მკითხველს შევთავაზოთ სიღრმისეულად გააზრების გზები და გავუზიაროთ ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაო.

ფრედერიკ გრიუესთან და პიერ საბურენთან ერთად, 1986 წელს დავაარსეთ ოჯახური თერაპიის ცენტრი, პარიზის ერთ-ერთ უბანში ბუტ-შომონში (Buttes-Chaumont), ოჯახებისთვის, რომლებიც აღმოჩნდნენ მსგავსი პრობლემის პირისპირ. კერძოდ, იმ ოჯახებისთვის, ვისაც შეეხო ინცესტი. ჩვენ ვცდილობდით დროულად დახმარების გაწევას ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის, რადგან ისინი არ გამხდარიყვნენ მომავალი აგრესორები. ეს იყო ამ სფეროში პირველი სპეციალიზირებული ცენტრი საფრანგეთში.

ორმოცდაათიან წლებში, ფსიქოთერაპიაში ჩამოყალიბდა მიმდინარეობა ოჯახური, ე.წ. სისტემური თერაპია. ოჯახური ფსიქოთერაპია განვითარდა და მოხდა ფსიქოთერაპიის და მედიკამენტოზური მკურნალობის კომბინაცია. ეს მეთოდი ძირფესვიანად განსხვავდება ინდივიდუალური თერაპიის ყველა სხვა მეთოდისაგან. პაციენტის მკურნალობის პროცესში ჩართული არიან ოჯახის სხვა წევრებიც, რაც ხელს უწყობს ოჯახის წევრებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას და სიმპტომების სწრაფ შემსუბუქებას.

ფსიქოანალიზის სპეციალისტის ფრედერიკ გრიუეს, ფსიქიატრის პიერ საბურენისა და ასევე ჩემმა სოციალურ სფეროში მუშაობის გამოცდილებამ, მოგვცა საშუალება შეგვექმნა ბრძოლის ახალი ფორმა ისეთ პათოლოგიასთან, როგორიც არის ინცესტი და სხვა ფორმის ძალადობა. ოჯახური ფსიქოთერაპიის ცენტრში ჩვენ მოვიზიდეთ მოზარდებთან მუშაობის გამოცდილების მქონე პროფესიონალები.

მკვლევართა პირველი ჯგუფი შეიქმნა კვებეკიდან დაბ-
რუნებისთანავე. მათ ჩამოიყვანეს ინცესტის მსხვერპლი,
ჩვენი მეგობარი ევა თომა, რომელიც პირველი დათანხმ-
და ნიღბის გარეშე მიეღო მონაწილეობა სატელევიზიო
გადაცემაში. ჩვენ გვინდოდა ერთად შეგვესწავლა ის,
თუ რისი მიცემა შეეძლო კვებეკის ახალგაზრდობის
დამცველ კანონს საფრანგეთში ინცესტური ოჯახების
თერაპიისათვის.

ბუტ-შომონის ცენტრმა ევა ტომასთან ერთად, რომელიც
გახდა ასოციაციის „SOS Inceste“ პრეზიდენტი, ჩაატარა
პირველი კონფერენცია სექსუალური ძალადობის შემდგომი
რეაბილიტაციის საკითხებზე. ჩვენს მკვლევართა ჯგუფს
შემდგომში შეუერთდა და ჩაერთო მუშაობაში ჟან-პიერ
როზენცვეიგი, ბობინის ბავშვთა სასამართლოს დღევანდე-
ლი პრეზიდენტი და ბავშვთა მოსამართლეები ერვე ამო-
ნი, ამჟამად პარიზის ბავშვთა სასამართლოს პრეზიდენტი,
დომინიკ ბარტი და მურიელ ბრუკე, ადვოკატი.

1980-იანი წლების მიწურულს, იმ დროს როდესაც ჩვენ
დავიწყეთ კვლევითი სამუშაოები, სიტყვა „ინცესტი“
არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსში, და
არც დღემდე ფიგურირებს. ჩნდება ტერმინი „ბავშვთა
ადვოკატი“ და კანონი არ ითვალისწინებდა ძალადობის
მსხვერპლი ბავშვის ჩვენებას, რაც ასე რთულად არის
მისაღები. სექსუალური ძალადობა ბანალიზებულია.
ზოგ შემთხვევებში მისი არსებობა ეჭვქვეშაა და მისი
გრძელვადიანი ზემოქმედება უარყოფილია.

სამი წლის განმავლობაში, ჩვენ ვახდენდით განსხვავებული
პროფესიული გამოცდილების შედარებას, რასაც ვუპირის-
პირებდით ოჯახური, ანუ სისტემური თერაპიის ახალ
კონცეფციებს. ვადარებდით ორივე მიდგომას. ჩვენ ჩავა-

ტარეთ რიგი შეხვედრებისა პოლიციელებთან, სამართალ-დამცავ ექპერტებთან, ინგლისელ მოსამართლეებთან, ადვოკატებთან. ამრიგად, შევძელით სოციალური, სამართლებრივი და თერაპიული ჩარევის ოქმის შემუშავება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დასახმარებლად, რამაც დიდი ცვლილებები მოახდინა ამ სფეროში ბავშვების სასარგებლოდ.

მიუხედავად მრავალი სირთულისა, ბუტ-შომონის ცენტრი განვითარდა. არც თუ ისე ადვილია იყო პიონერი ნებისმიერ საქმიანობაში. ოცი წლის შემდეგაც, შენარჩუნებული გვაქვს ძიების სურვილი.

ასეულობით ბავშვმა მოგვმართა კონსულტაციის მიზნით. ბავშვებს ახლდნენ მათი ოჯახის წევრები, ან ბავშვთა დაცვის სამსახურების წარმომადგენლები, ანუ სოციალური მუშაკები, აღმზრდელები, ფსიქოლოგები. მათ ისწავლეს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბარი. არასრულწლოვანი აგრესორები, მსხვერპლი ბავშვები და მათი მშობლები არღვევენ აქამდე არსებულ დუმილს და მოგვმართავენ დახმარების მისაღებად.

ძალადობის ფაქტების მხილება და შეტყობინება სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ არის მხოლოდ ბავშვთა დაცვის სამსახურების მუშაკების პასუხისმგებლობა. ეს არის ნებისმიერი მოქალაქეს ვალი. მხოლოდ ბავშვთა უფლებების დაცვით მივაღწევთ ჭეშმარიტ დემოკრატიას.

„თქვენმა ჩარევამ დამიბრუნა ღირსება...“, მითხრა ერთ დღეს ყოფილმა პაციენტმა, რომელიც ბავშვობაში იტანჯებოდა ინცესტური დედის თავდასხმების გამო.

ძალადობის გამოვლენის ცოდნა

თავი 1-1

ძალადობა საფრანგეთში

ტერმინთა განმარტება

ძალადობის მსხვერპლი ბავშვი: ბავშვი, რომელსაც გადატანილი აქვს ფიზიკური,ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობის ან უგულებელყოფის აქტები, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მის ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე.

რისკის ჯგუფის ბავშვი: ბავშვი, რომელიც იმყოფება გარემოში, სადაც იგი მოკლებულია სრულფასოვან მზრუნველობას, განათლებას, შელახულია მისი ღირსება, საფრთხე ექმნება მის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მაგრამ მის მიმართ არ არის განხორციელებული სასტიკი მოპყრობის აქტი.

საფრთხეში მყოფი ბავშვი: ძალადობის მსხვერპლი და რისკის ჯგუფის მოზარდი.

რამდენი ძალადობის მსხვერპლი ბავშვია საფრანგეთში?

ჩვენთვის მისაწვდომი ინფორმაციის პირველ წყაროს წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა სატელეფონო მომსახურების ეროვნული სააგენტო (SNATEM), შექმნილი 1989 წელს, 10 ივლისის კანონის საფუძველზე. დაკავშირება წარმოებს ნომერზე 119. ეს საჯარო დაწესებულება, 1998 წლიდან იღებს წელიწადში 2 000 000 სატელეფონო ზარს. როგორც წესი, რეკავენ ძალადობის მსხვერპლი ან მოწმე ბავშვები, მოზარდები, უფროსები, რომლების ბავშვზე

ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციას ფლობენ. გარდა ამისა, ზარის განმხორციელებელი შეიძლება იყოს ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალი (2003 წელს მათ მიერ განხორციელებული ზარების რაოდენობა 5,5 % შეადგენდა). ეს უფასო და ანონიმური სატელეფონო მომსახურება მისაწვდომია 24 საათის განმავლობაში. 2003 წლის ივლისიდან ამ ნომერს მინიჭებული აქვს გადაუდებელი დახმარების ნომრის სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ოპერატორი ვალდებულია, ზარი განახორციელოს უფასოდ. 2003 წელს აღრიცხულია დღეში 8000 ზარი, რაც ადასტურებს ამ მომსახურების საჭიროებას.

უკანასკნელი ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, მოზარდების სატელეფონო მომსახურების ეროვნულ სააგენტოში განხორციელებული ზარები იყოფა 4 დიდ ჯგუფად: ბავშვის გარემოცვა (24,3%), ახლობელი ოჯახი (36,3%), თავად ბავშვები (9,9%) - 2002 წელს (5,8%). დავაზუსტებთ, რომ ზარების 18,5 % განხორციელებულია დედების, ხოლო 8,7% - მამების მიერ. იმედის მომცემია ის ფაქტი, რომ სოციალური ან განათლების სექტორის მუშაკები ნელ-ნელა ცდილობენ ითანამშრომლონ SNATEM-თან, რათა ერთობლივად იმუშაონ ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.

მეორე წყარო არის დეცენტრალიზებული სოციალური ქმედების ობსერვატორია (ODAS), შექმნილი 1990 წელს, ასოციაციის სახით. მისი მიზანია, გამოკითხვისა და კვლევების საფუძველზე, ხელი შეუწყოს სხვადასხვა სოციალური სამსახურისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა თანამშრომლობას ნეიტრალურ ადგილზე; აამაღლოს პასუხების, ორგანიზებისა და პრაქტიკის ხარისხი აღნიშნულ სფეროში. ეს ეროვნული ასოციაცია ყოველ-

წლიურად ამოწმებს ბავშვთა სოციალური დახმარების (ASE) სიებს დეპარტამენტების მიხედვით. ეს მეთოდი ამჟამად გადახედვის პროცესშია, რადგან ცდომილება 0-დან 13%-მდე.

ODAS კვლევების თანახმად, 2002 წელს, საფრანგეთში, საფრთხის ქვეშ მყოფი 86 000 ბავშვიდან, მხოლოდ 18 500 ძალადობის მსხვერპლი ბავშვი არის გადაცემული სოციალური სამსახურების მიერ ადმინისტრაციული სამსახურებისთვის. „საფრთხის წყაროს წარმოადგენს ოჯახი, 10-დან 9 შემთხვევაში (სექსუალური ძალადობის გარდა) ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის, ხოლო 10-დან 8 შემთხვევაში რისკის ჯგუფის ბავშვებისთვის“.

მოზარდების სატელეფონო მომსახურების ეროვნული სააგენტოსა და დეცენტრალიზებული სოციალური ქმედების ობსერვატორიის კვლევები საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ძალადობის შემთხვევების პრევენციის, გამოვლენის გაუმჯობესებისა და მხარდაჭერის განვითარებას.

2004 წლის თებერვლიდან, საფრთხეში მყოფი მოზარდების ეროვნული ობსერვატორია (ONED), აგროვებს უშუალოდ პროკურატურაში გადაცემული შემთხვევების რიცხობრივ მონაცემებს და უმატებს მათ დეცენტრალიზებული სოციალური ქმედების ობსერვატორიის - ODAS მიერ აღრიცხულ შემთხვევებს. აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე უშუალოდ პროკურატურაში გადაცემული შემთხვევები არ ექვემდებარებოდა აღრიცხვიანობას. მოზარდების სატელეფონო მომსახურების ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევა ავსებს ამ ახალ მონაცემებს, რადგან საფრთხეში მყოფი მოზარდების ეროვნული ობსერვატორია, და 119 მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე საჯარო

სტრუქტურას. ONED შექმნილია 2003 წლის 20 ნოემბერს, ოჯახის საკითხების სახელმწიფო მდივნის, კრისტიან ჟაკობისა და დემოგრაფიულ კვლევათა ეროვნული ინსტიტუტის მხარდაჭერით (INED). ეს ობსერვატორია დაკანონებულია 2004 წლის 2 იანვრის დადგენილებით. მის მისიას წარმო-ადგენს: ყველა სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების სამსახურების, სახელმწიფო დაწესებულებების და ასოციაციების მიერ მოძიებულ მონაცემთა შეგროვება და ანალიზი; ძალადობის ფენომენის სიღრმისეული შესწავლა და მუდმივი ანალიზი, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის უკეთესად წარმართვის მიზნით; ძალადობის წინააღმდეგ საფრანგეთსა და ევროპაში ჩატარებული საუკეთესო გამოცდილების გავრცელება. ამრიგად, ჩვენ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ სულ უკეთ და უკეთ შევისწავლით ჩვენს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას ბავშვთა მიმართ ძალადობის სფეროში.

ძალადობის სახეები

საფრანგეთში ბავშვზე ძალადობის შესახებ პირველი კვლევები გამოჩნდა 1970-იან წლებში. ამ სფეროში პირველი სტრუქტურა, რომელიც დაკავებული იყო ამ საკითხით, იყო მოზარდთა მიმართ ძალადობის ინფორმაციისა და კვლევების ასოციაცია. დაკვირვების პირველი საგანი იყო ფიზიკური ძალადობისა და უგულებელყოფის შემთხვევები, რადგან ეს შემთხვევები ტოვებს ადვილად შესამჩნევ კვალს. ათი წლის შემდეგ დაიწყო კვლევები სექსუალური ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. დღეს ჩვენ ვაკვირდებით მოზარდებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის გავლენის გრძელვადიან შედეგებს.

ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა სატელეფონო მომსახურების ეროვნული სააგენტო SNATEM-ის პირველი კვლე-

ვის (2003 წ.) მიხედვით, სასტიკი მოპყრობის შემთხვევების 33,5% არის ფიზიკური ხასიათის და შემთხვევათა 88,4% ეხება ძალადობას ოჯახურ გარემოში. ძალადობის ფორმებიდან დღემდე ყველაზე ხშირია ფიზიკური ძალადობის აქტები (შემთხვევების 66,8%) და უგულებელყოფა (23,9%). თუკი 2002 წელს, სასტიკი მოპყრობის აქტებიდან 21,2% იყო სექსუალური ხასიათის, 2003 წლის კვლევამ დააფიქსირა 16,4%. 2002 წელთან შედარებით რაოდენობრივი მონაცემების ზრდა აიხსნება იმ წელს ეროვნული საინფორმაციო კამპანიის ჩატარებით. კერძოდ, მცირეწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციის მიზნით, სარეკლამო რგოლების გავრცელებით. ეჭვგარეშეა, რომ ამ სიტუაციების მედიით გაშუქება ამხნევებს მსხვერპლს, გამოვიდეს იზოლაციიდან და ფარდა ახადოს თავის ისტორიას.

სექსუალური აგრესიის სიხშირე

1886 წლიდან მოყოლებული, დოქტორი პოლ ბერნო მედიცინაში სადისერტაციო ნაშრომში „სექსუალური ძალადობა გოგონების მიმართ“ აღნიშნულია 10 000 მოსახლეზე 7,85% აგრესიის მსხვერპლი მცირეწლოვანი ბავშვი (ბიჭების ჩათვლით). ეს ნაშრომი ეყრდნობოდა 1830-1886 წლების სტატისტიკურ მონაცემებს.

ერთი საუკუნის შემდეგ, 1989 წელს, კვლევითი ინსტიტუტის (BVA) მიერ რონ-ალპ რეგიონში ჩაატარა კვლევა და გამოკითხა 18-დან 60 წლამდე 1 511 პიროვნება. ჩატარებული კვლევის მონაცემები შემდეგია:

- გამოკითხულთა 6,2% აცხადებს, რომ იყვნენ სექსუალური აგრესიის მსხვერპლი, მათ სრულწლოვანებამდე (2/3 ქალი, 1/3 მამაკაცი);

- 50% სექსუალური ძალადობის შემთხვევებისა განხორციელებულია სქესობრივ მომწიფებამდე;
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მხოლოდ ერთმა მესამედმა მოახერხა დანაშაულის შესახებ პოლიციაში, სამართალდამცავ ორგანოში ან სამედიცინო დაწესებულებაში ჩივილი;
- შემთხვევების ორი მესამედი ეხებოდა ახლობელი ადამიანის მიერ განხორციელებულ აგრესიას.

1995 წელს გამოქვეყნებული შიდსის კვლევის ეროვნული სააგენტოს კვლევის (გამოკითხული იქნა 15-დან 19 წლამდე ასაკის 6 445 ახალგაზრდა) გამოკითხვის შედეგებია:

- გამოკითხული გოგონების 15,4%, ისევე როგორც ბიჭების 2,3% აცხადებს, რომ ჰქონდათ იძულებითი სექსუალური კავშირი 12 წლის ასაკამდე;
- როდესაც აგრესორი არის ოჯახის წევრია (ხშირ შემთხვევაში ძმა), პირველი თავდასხმა, როგორც წესი, ხორციელდება მსხვერპლის 12 წლის ასაკამდე;
- სექსუალური აგრესიის მსხვერპლი ბიჭების 72% აცხადებს, რომ აგრესორები იყვნენ ქალები.

ფსიქოლოგიური ძალადობა (შემთხვევების 34,1%), რომელსაც ასევე უწოდებენ მენტალურ ძალადობას, იშვიათად გვხვდება, როგორც განყენებული ძალადობის აქტი. როგორც წესი, ძალადობის ეს ფორმა თან ახლავს სექსუალურ ან ფიზიკურ ძალადობას.

გთავაზობთ საფრთხეში მყოფი მოზარდების ეროვნული ობსერვატორიის დირექტორის, პოლ დიურინგის ფსიქოლოგიური ძალადობის განმარტებას: „მშობლის (ან მოზარდის მეურვის) განმერობითი ან ერთეული ხასიათის ქმედებები, რომლებიც არწმუნებენ მოზარდს, რომ ის არ

უყვართ, რომ არის უუნარო, შეუმდგარი, არასასურველი, რომ მას ემუქრება საფრთხე, ან რომ მისი ერთადერთი დანიშნულება სხვისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა.“ ფსიქოლოგიური ძალადობა ტოვებს გრძელვადიან კვალს.

დეცენტრალიზებული სოციალური ქმედების ობსერვატორიის (ODAS) 2002 წლის კვლევის თანახმად, საფრთხეში მყოფი მოზარდების ეროვნული ობსერვატორიის (ONED) მიერ აღრიცხული შემთხვევების გარდა, არსებობდა 5 600 ფიზიკური, 5 900 სექსუალური, 5 000 უგულებელყოფის, 2 000 ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევა. გასათვალისწინებელია, რომ ეს მონაცემები შორს არის რეალური სურათისგან და საქმე ეხება დიდხანს სათუთად დაფარულ ფენომენს. საფრთხეში მყოფი მოზარდის იდენტიფიცირება არ ხელეწიფება ყველას, მაგრამ ნებისმიერი შეიძლება აღმოჩნდეს ამ პრობლემის პირისპირ.

Reader’s Digest-ის გამოკითხვის თანახმად, ფრანგების 99% დარწმუნებულია ან ვარაუდობს, რომ გაამჟღავნებდა სასტიკი მოპყრობის აქტს. მართლდება თუ არა ეს ერთსულოვნება რეალურად? არც პოლიციას, არც ჟანდარმერიას და არც რომელიმე სამინისტროს არ აქვს სტატისტიკური მონაცემები ამ სფეროში. Reader’s Digest-ის ჟურნალისტის მიხედვით, პრაქტიკის ჰარმონიზაცია არის „დიდი პროექტი, ყველას აქვს საკუთარი სტატისტიკა (იშვიათად შეჯერებული), მეთოდები (სავალდებულოდ საუკეთესო) და მგრძნობიარობა (არ ექვემდებარება განხილვას).“

საფრანგეთში, საწყის სტადიაში მყოფი სასტიკი მოპყრობის პრევენციის რაც შეიძლება მეტი ეფექტურობის მისაღწევად, სავალდებულოა ზუსტი სტატისტიკური მონაცემების არსებობა.

სექსუალური ძალადობის განსაზღვრა

ბავშვზე სექსუალური ძალადობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სქესობრივი კავშირი, რომელიც დამყარებულია სამიდან ერთერთ სიტუაციაში: პარტნიორებს შორის ასაკობრივი ან სიმწიფის დიდი სხვაობაა; როდესაც პარტნიორი არის მოზარდის მეურვე ან როდესაც მოქმედებს მოზარდის მიმართ ძალადობის გამოყენებით ან მოტყუებით.

ამასთანავე, არ არსებობს საყოველთაო შეთანხმება ისეთი დეტალების თაობაზე, როგორიცაააა პარტნიორებს შორის ასაკობრივი და სიმწიფის სხვაობა; არ შეიძლება, ასევე, კულტურული და ინდივიდუალური ფაქტორების უგულებელყოფა. თუმცა, საერთაშორისო კლასიფიკაციის თანახმად, მიჩნეულია სამი ტიპის სიტუაცია, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება პრაქტიკაში:

- სექსუალური აქტები უფროსებსა და განვითარების პრეპუბერტატულ (სექსუალური განვითარების სტადია) სტადიაში მყოფ მოზარდებს შორის;
- მშობლებს და მათ შთამომავლებს შორის
- სექსუალური აქტები, განხორციელებული მცირეწლოვანის მიმართ ძალადობისა და იძულების გამოყენებით.

სექსუალური ძალადობის სიხშირე

იმის მიუხედავად, გავითვალისწინებთ თუ არა კონსერვატიულ განმარტებებს, ცხადია რომ, საერთაშორისო მასშტაბით, სექსუალური ძალადობის აქტები ბევრად მეტად გავრცელებულია, ვიდრე ვთვლიდით ადრე. დიდი ხნის

განმავლობაში, სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული კვლევები შემოიფარგლებოდა ჩრდილოეთ ამერიკით დაამიტომ ზოგიერთი სკეპტიკოსი თვლიდა, რომ ეს პრობლემა ეხებოდა მხოლოდ აღნიშნულ რეგიონს; მაგრამ, ეპიდემიოლოგიური კვლევები ჩატარდა ოცზე მეტ ქვეყანაში (...). ყველა შემთხვევაში, კვლევებმა აჩვენა, რომ მცირეწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის აქტები ხშირია მოსახლეობის დიდ ნაწილში. ჩატარებულმა კვლევებმა გვაჩვენა, რომ ყველა ქვეყანაში სექსუალური ძალადობის შემთხვევებს მეტად უფრო ღრმად აქვს გადგმული ფესვები, ვიდრე ამას ასახავს არსებული სტატისტიკური მონაცემები. ჩემი აზრით, დასაშვებია ჩაითვალოს, რომ ევროპაში,ქალების მინიმუმ 10%, ხოლო მამაკაცების 5% არის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ამ ციფრებზე დაყრდნობით ნათელია, რომ მედიცინის ნებისმიერ მუშაკს ექნებოდა შეხება სექსუალური ძალადობის შემთხვევასთან, იყო ძალადობის ეს აქტი იდენტიფირებული თუ არა (...).

ეპიდემიოლოგიური ფაქტები

ჩატარებულმა კვლევებმა მოგვცა მნიშვნელოვანი ეპიდემიოლოგიური ინფორმაცია პრობლემის გავრცელების შესახებ. ბიჭები წარმოადგენენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა თითქმის მესამედს, რადგან მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის აქტები თითქმის ნახევარჯერ ნაკლებია, ვიდრე გოგონების შემთხვევაში. სამწუხაროდ, ბიჭების მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის აქტები ნაკლებად ექვემდებარება გამოაშკარავებას. ამრიგად, ისინი შეადგენენ კლინიკური შემთხვევების მეხუთედზე ნაკლებს. „მოძალადეთა“ უმრავლესობას, ანუ 90%-ს წარმოადგენენ მამაკაცები.

განსაკუთრებით დაუცველები სექსუალური ძალადობის კუთხით არიან 7-13 წლის ბავშვები. ამასთანავე შემთხვევების 20% ეხება კიდევ უფრო მცირეწლოვან ბავშვებს. 13 წელზე უფროსები განსაკუთრებით დაუცველნი არიან იგივე ასაკის მოზარდების მიერ განხორციელებული სექსუალური თავდასხმების შემთხვევაში.

მართალია, ჩატარებული კვლევები ეხება სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ქვეკატეგორიის შემთხვევებს, სავალდებულოა ძირითადი ტიპების ცოდნა და გამოყოფა.

1. სექსუალური ძალადობა ოჯახში, რომელიც გულისხმობს მამის, ან მასთან გათანაბრებული პირის, ბიძის ან უფროსი ძმების თავდასხმებს. ყველა სხვა შემთხვევასთან შედარებით, ამ ტიპის ძალადობა მიჩნეულია ყველაზე სერიოზულად, რადგან, შესაძლებელია, მიმდინარეობდეს ხანგრძლივად და ანგრევს მოზარდის ურთიერთობას მის ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ მხარდამჭერთან. ძალადობის ეს ფორმა აზიანებს მოზარდის ურთიერთობას ოჯახის სხვა წევრებთან, - დედასთან, დებთან და ძმებთან. იქმნება ნდობა - უნდობლობის მძიმე კონფლიქტი.

2. სასურველია სექსუალური ძალადობის მეორე მნიშვნელოვანი კატეგორიის გამოყოფა, სადაც მოძალადე პირი არ წარმოადგენს ოჯახის ნაწილს, მაგალითად, ბაგა-ბაღის თანამშრომელი, მასწავლებელი, სასულიერო პირი ან მწვრთნელი. როგორც წესი, ეს შემთხვევები იწვევენ დაპირისპირებებს საზოგადოებაში, რადგან ძალადობრივი ქმედების ჩამდენი სარგებლობდა საზოგადოების ნდობითა და პატივისცემით.

3. მესამე კატეგორიას განეკუთვნება არასრულწლოვანთა მიერ შესრულებული აქტები. სექსუალური ძალადობის ყველა შემთხვევის მესამედი განხორციელებულია იმ პირების მიერ, რომელთაც არ შეუსრულდა 18 წელი. ზოგირეთ შემთხვევაში ეს არიან უფროსი დები ან ძმები, რომლებიც ძალადობენ მათ მცირეწლოვან დებზე ან ძმებზე. სხვა შემთხვევებს განეკუთვნება ის რასაც ჩვენ ვუწოდებთ ძალადობას პაემანის დროს,მოზარდები აიძულებენ სხვა მოზარდებს დაამყარონ სქესობრივი კავშირი. უმეტეს სხვა შემთვვევაში მოზარდთა ჯგუფი მსხვერპლად ირჩევს თანატოლს ან მათზე უმცროს ახალგაზრდას. არსებობს აგრეთვე შემთხვევები, როდესაც 5-დან 10 წლამდე მოზარდები ძალადობენ მათ თანატოლებზე. უმრავლეს შემთხვევაში, საქმე ეხება სექსუალური ძალადობის მსხვერპლ მოზარდებს, რომლებიც ბაძავენ თავიანთ მოძალადეებს.

4. ქალების მიერ განხორციელებული სექსუალური ძალადობის აქტები გვხვდება იშვიათად, მაგრამ ასევე წარმოადგენენ კვლევის გარკვეულ ინტერესს. სწორედ ამიტომ მიეკუთვნებიან მეოთხე კატეგორიას მნიშვნელობის მიხედვით. საქმე ეხება მეტად მრავალფეროვან ჯგუფს, სადაც შეიძლება გამოვყოთ განყენებული შემთხვევები: მარტოხელა დედები, რამდენიმე მოზარდი, რომელთაც უბიძგეს სექსუალური გამოცდილებისაკენ, პარტნიორის მიერ ჩადენილი ძალადობის თანამონაწილე ქალები.

5. ასევე განვიხილავთ ბავშვებს ეკონომიკურ ბაზარზე, რომლებიც იძულებით არიან ჩართულნი პროს-

ტიტუციაში ან მონაწილეობენ პორნოგრაფიულ ფილმებში. სექსუალური ძალადობის მეხუთე ფორმას საკუთარი, განსხვავებული დინამიკა ახასიათებს. ეს ფორმა განსაკუთრებით გავრცელებულია მიუსაფარი ან ნარკოდამოკიდებული ბავშვებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში და აგრეთვე განვითარებად ქვეყნებში.

რისკ-ფაქტორები

კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა ბავშვების გარკვეული ჯგუფები, რომელებსაც მეტად ემუქრება სექსუალური ძალადობის საფრთხე. ამ ჯგუფებს განეკუთვნება:

- განქორწინებულ მშობლებთა შვილები, ან ბავშვები, რომლებმაც დიდი დრო გაატარეს ერთ-ერთი მშობლის გარეშე;
- ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ მამინაცვალთან ან დედინაცვალთან ერთად;
- ბავშვები, რომელთა მშობლები მტრულად არიან განწყობილი ერთმანეთის ან თავიანთი შვილების მიმართ;
- ბავშვები, რომელთა მშობლებს აქვთ ალკოჰოლური ან ნარკოტიკული საშუალებებისადმი ლტოლვა ან სუსტი ფსიქიკა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, გონებრივად განუვითარებელი ან უსინათლო ბავშვები.

ამ რისკ ფაქტორებს ერთმანეთთან ორი მნიშვნელოვანი საკითხი აკავშირებს: პირველ რიგში, ხელისშემშლელი პირობები ბავშვზე ხარისხიანი ზრუნვის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ერთ მშობელთან მცხოვრებ მო-

ზარდს ნაკლები ყურადღება ეთმობა. მეორე საკითხი ეხება ბავშვის ფსიქიკურ მდგომარეობას. მაგალითად, მშობლების მიერ მიტოვებული ბავშვები დაუცველნი არიან. ამ პირობებით სარგებლობენმოძალადეები ბავშვებთან დასაახლოებლად და სექსუალურ ურთიერთობებზე დასაყოლიებლად. აღსანიშნავია, რომ სოციალური და ეკონომიკური დეფიციტი არ წარმოადგენს პირველად რისკ ფაქტორებს. სოციალურად დაუცველი ბავშვებში სექსუალური ძალადობის აქტები ნაკლებად გვხვდება, ვიდრე სხვა სახის სასტიკი მოპყრობის ფაქტები. ხშირად უგულებელყოფენ სექსუალური ძალადობის ფაქტებს შეძლებულ სოციალურ ფენებში. პროფესიონალები ხელმძღვანელობენ იმ პრინციპით, რომ ეს იშვიათად გამოვლინდება.

არის თუ არა დამოკიდებული ძალადობის რისკი სოციალურ ფენაზე

ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ ჩვენებების, დასკვნებისა და პუბლიკაციების სიმრავლემ შეიძლება გვაფიქრებინოს ამ ფენომენის მოულოდნელ ზრდაზე მესამე ათასწლეულის დასაწყისში. ბევრი ჟურნალისტი და ექსპერტი ამის მიზეზად მიიჩნევს ევროპის ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისს.

ამ დასკვნას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. მით უმეტეს, რომ ეს მოსაზრება მცდარია. მსგავსი მტკიცებულების თანახმად, სასტიკი მოპყრობის ფაქტები იქნებოდა ბევრად უფრო გახშირებული სოციალურად დაუცველ ფენებში.

ჩემმა გამოცდილებამ თერაპიაში მაჩვენა, რომ ეს ასე არ არის და რომ მშობლების სოციალური წარმომავლობა

და მათი ეკონომიკური მდგომარეობა არ წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს სასტიკი მოპყრობის რისკის ან სხვაგვარად რომ ვთქვათ „საშიშროების“ შეფასებისთვის. ეგრეთწოდებული „მეოთხე მსოფლიო“ (სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი) ოჯახი არ წარმოადგენს მეტ რისკის ფაქტორს, ვიდრე ბურჟუაზიულად წოდებული ოჯახი.

ეჭვგარეშეა, რომ ეკონომიკურმა სირთულეებმა შეიძლება გამოიწვიოს ხშირი დაძაბულობა ოჯახში. ალკოჰოლიზმი ასევე შეიძლება იყოს სასტიკი მოპყრობის მიზეზი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ფრანგული ოჯახი ცხოვრობს ხვალინდელი დღის შიშით, ყოველდღიური სტრესის ქვეშ, გახშირებული დანაშაულებრივი ქმედებების ფონზე. ყველა სოციალური კატეგორიის წარმომადგენლებში მეტად საგულისხმოდ გაიზარდა საძილე, ანქსიოლიზური, დასამშვიდებელი თუ ნეიროლეპტიკური საშუალებების მოხმარება.

რაც შეეხება სექსუალურ აგრესიას, მასზე არ მოქმედებენ სოციალური ხასიათის ფაქტორები. სიყვარული და ალერსი არსებობს ყველა ოჯახში, ისევე, როგორც სიძულვილი და მენტალური აშლილობა.

ჩვენ არ უნდა განვიხილოთ სასტიკი მოპყრობის ფენომენი, როგორც „სოციალური ხვედრი“, რომელიც შესაძლებელია შეეხოს მხოლოდ ღარიბ ოჯახებს. გვმართებს სიფხიზლე ყველა გარემოს მიმართ, რადგან ნებისმიერი ოჯახი შეიძლება იყოს საზარელი საიდუმლოს მატარებელი.

თავი 1-2

ძალადობის მსხვერპლი ბავშვი: რა ნიშნით ხდება გამოვლენა?

ჩვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის გამოვლენა

წარმოუდგენლად ხშირია ჩვილის მიმართ ჩადენილი ძალადობის აქტები. მათი მხრიდან დამოწმების უნარის არქონა, რა თქმა უნდა, ართულებს ძალადობის გამოვლენას.

მაქსიმალური სიფხიზლეა საჭირო რიგ შემთხვევებში:

- თუ დედა არის სექსუალური აგრესიის მსხვერპლი, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მას საკუთარ შვილთანაც ექნება დამოკიდებულება დარღვეული;
- გაუპატიურების შედეგად გაჩენილი ბავშვები ხშირად მიტოვების ობიექტები არიან. რიგ შემთხვევებში ხდება ფეხმძიმობის უარყოფა, ანუ მომავალი დედა აცნობიერებს მდგომარეობას მხოლოდ ფეხმძიმობის განვითარების გვიან ეტაპზე. ანონიმური მშობიარობა, დედას, რომელმაც ბოლომდე მიიყვანა ორსულობა, აძლევს ბავშვის გაშვილების საშუალებას - მტკივნეული პრობლემის კეთილი გადაწყვეტა;
- ინცესტის შედეგად გაჩენილი ბავშვები, დედის შვილი-ძმა ან შვილი-გოგო.

სასტიკი მოპყრობის ტიპები

ჩვილის მიმართ სასტიკი მოპყრობა, იმ შემთხვევაში, თუ მას არ აღენიშნება სხეულის გარეგნული თვალსაჩინო

დაზიანებები, შეიძლება გამოვლენილი იყოს რადიოგრაფიის მეშვეობით, რაც იძლევა მრავლობითი მოტეხილობის კვალის აღმოჩენის საშუალებას სხვადასხვა ასაკში (სილვერმანის სინდრომი).

შეფერხება ჩვილის ფიზიკური განვითარებაში - ჩვილი არ იზრდება, არ იმატებს წონაში. ხარვეზი ჩვილის მოვლის თვალსაზრისით (უარყოფა) - შეიძლება იყოს მშობლების მიერ ბავშვზე უარის თქმის მაჩვენებელი.

გენიტალური და ანალური ზონების ჭრილობები, ნაჭდევები ან გაღიზიანება - ექვემდებარება პედიატრის გამოკვლევას.

განმეორებითი ხასიათის „ინციდენტებმა“ (ვარდნა საწოლიდან, სხვადსხვა სილურჯე) - გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას პედიატრი უნდა დააფიქროს მშობლების გულწრფელობაზე და გამოააშკარავონ მათი სიცრუე. ჩვენ შევხვედრივართ პროფესიონალებს, რომლებმაც დაიჯერეს მშობელთა მონაყოლი იმის შესახებ, თუ როგორ დაიზიანა ჩვილმა სასქესო ორგანო შამპუნის ბოთლზე დაცემისას.

ჩვენ ვიწყებთ ძალადობის ისეთი ფორმის უკეთ იდენტიფიცირებას, რასაც პედიატრები უწოდებენ „ჩვილის შენჯღრევის სინდრომს“. ეს არის მშობლის მიერ ჩვილის შენჯღრევით მიყენებული ტრავმა, მაგალითად ცერებრალური ან თვალის დამახასიათებელი დაზიანებები. ნჯღრევის შედეგად ჩვილს შეიძლება სწრაფად განუვითარდეს აპათია, ძილიანობა, შესაძლოა კომა, ისევე როგორც შეუქცევადი ნევროლოგიური გართულებები. მშობელი ანჯღრევს ჩვილს, რომელიც ტირის და „ჯერ არ შეუძლია თავის დაჭერა“. მშობლის ემოციური მდგომარეობა პაროქსიზმულია, ფრაგმენტულია და როგორც წესი, მას არ

ახსოვს ჩვილის ნჯღევის ფაქტი, რომელიც შესაძლოა მეორდება. დიაგნოსტიკას არ ამარტივებს ის გარემოება, რომ მშობელს დაზუსტებით არ ახსოვს მისი ქმედება.

ჩვენ აგრეთვე უკეთ ვახდენთ ე.წ. მიუნჰაუზენის სინდრომის იდენტიფიცირებას. ხშირად მედიცინის ან პარამედიცინის სფეროს მუშაკი მშობლები, უფრო ხშირად დედები, იყენებენ თავიანთ ცოდნას ექიმების შესაცდენად.ისინი ცდილობენ დაარწმუნონ ექიმი შვილის მძიმე ავადმყოფობაში, შესაძლოა, ინვალიდობაშიც კი. სამედიცინო პერსონალისთვის ასეთი მშობლები შვილზე მზრუნველი ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ, მაშინ როცა ისინი თავად ახდენენ ამა თუ იმ დაავადების სიმპტომების ხელოვნურად პროვოცირებას.

მსგავსი კრიმინალური ქმედებები დაფიქსირდა პედიატრიულ საავადმყოფოებში ვიდეო სისტემების დამონტაჟების წყალობით ინგლისსა და ამერიკაში. საშინელ კადრებში აღბეჭდილია, თუ როგორ სარგებლობს ზოგიერთი დედა ექთნის არყოფნით და ცდილობს ჩვილის გაგუდვას. ექთნის შესვლისას დედა წყვეტს ჩვილის დახრჩობას და გასვლისთანავე განაგრძობს. ასეთი ფსიკიკური აშლილობის მქონე ქალების ფანტაზიას არ აქვს საზღვარი.

ჩვილის ქცევა

ძალადობის მსხვერპლი ჩვილი გამოიყურება შეშინებული. იგი გაურბის თვალით კონტაქტს და არ გამოხატავს სიხარულს ნაცნობი ადამიანის მიახლოებისას.

პირიქით, ზოგჯერ ჩვილი შეიძლება ჩანდეს ზედმეტად ფრთხილი, ათვალიერებდეს ყველაფერს მის გარშემო, რაც მიუთითებს მის დაძაბულობაზე.

ჩვილის ჩუმად ყოფნა ყოველთვის არის შეშფოთების მიზეზი. ყვირილი არის ურთიერთობის სურვილის გამოხატვა. ბავშვი არ წყვეტს უმიზეზოდ კონტაქტს თავის გარემოცვასთან. როგორც წესი, ბავშვის მოწყენილობა არის მის მიმართ განხორციელებული ძალადობის მაჩვენებელი. ჩვილი რომელიც არ იღიმის, რომელიც არ იცინის, რომელიც არ თამაშობს, არის პათოლოგიური სიტუაციის მსხვერპლი, რაც მოითხოვს გამოკვლევას.

საბრინა ორი წლისაა. სოციალურმა მუშაკებმა იგი აღმოაჩინეს გაშეშებული თავის ეტლში და მალე მიხვდნენ, რომ მას არ შეუძლია დამოუკიდებლად ჯდომა. იგი არ იღიმის და არ პასუხობს ურთიერთობის მცდელობას. მას დასჭირდება მრავალი წელი ამ ჩამორჩენის ასანაზღაურებლად და აუცილებელი ავტონომიის მისაღწევად. შემდეგ გაირკვა, რომ დედა საბრინას თვალწინ ცდილობდა დაეხრჩო მისი უფროსი ძმა.

ძალადობის ფაქტის გამოვლენა მცირეწლოვან ბავშვებში

ძალადობის სიმპტომები შეიძლება გამოვლენილი იყოს ტრადიციული მედიცინის საშუალებით: პედიატრი, ოჯახის ექიმი, სკოლის ექიმი.

როგორც ჩვილებში, პაციენტს შეიძლება აღენიშნებოდეს აუხსნელი წარმოშობის, განმეორებითი ჭრილობები, ან მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (სპერმის არსებობა, სასქესო ორგანოების დაზიანება, სიფილისი, სეროპოზიტიურობა, არანორმალურად გაფართოებული საშოს ხვრელი, ანალური დაზიანებები და ა.შ.). ბავშვი, მშობელთა მხრიდან მოსალოდნელი დასჯის შიშით, ხშირად ცდილობს დამალოს ეს ჭრილობები ან გამოიგონოს მათი წარმოშობის

სხვა მიზეზები.

ბავშვის სექსუალური ან ეროტიული მიდრეკილების გამოხატვა, რაც ვლინდება სხვა ბავშვების ან უფროსების მიმართ მაპროვოცირებელ ქცევაში, მეტყველებს მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ. გაძლიერებული, საჯარო და განმეორებითი მასტურბაცია სექსუალური ძალადობის ყველაზე აშკარა მაჩვენებელია. საუბარი არ არის სხეულის შეცნობაზე, არამედ ხშირად ტკივილის გამომწვევ მასტურბაციაზე. ხშირია ბავშვის მიერ უცხო სხეულის მოთავსება საკუთარ ან სხვა ბავშვის სხეულში.

ბავშვის ყოველდღიური ქცევის დარღვევა: წარუმატებლობა სკოლაში, აგრესიული ან ასოციალური ქმედებები მის გარემოცვასთან, ასევე მეტყველებს ბავშვის მიმართ სასტიკ მოპყრობაზე; და პირიქით, ნაადრევმა სიმწიფემ, სკოლის გადაჭარბებულმა ძალისხმევამ, შეიძლება გაუჩინოს ბავშვს ჩვეული გარემოდან გაქცევის სურვილი. შესაძლოა, ბავშვი გახდეს ზედმეტად ფრთხილი, შეშინებული თუ იგი მოექცევა უფროსი ადამიანის მუდმივი კონტროლის ქვეშ. მეტად ყურადსაღებია ბავშვის სახლიდან გაქცევის სურვილი.

სხვა ნიშანს წარმოადგენს განმეორებითი, აუხსნელი ტკივილები, განსაკუთრებით მუცლის არეში, ისევე როგორც კვების და სფინქტერების მართვის დარღვევა, განსაკუთრებით დღის განმავლობაში.

დღეს ყველა დეპარტამენტში არსებობს პედიატრიული საავადმყოფო, აღჭურვილი ბავშვთა სპეციალიზირებული სასამართლო მისაღებით. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის ფაქტი, რომ ხანდახან სექსუალური ძალა-

დობის მსხვერპლ ბავშვს არ აქვს თვალსაჩინო სიმპტომი და დარღვევა ქცევის მხრივ. ბავშვის აღიარება რჩება ყველაზე მნიშვნელოვან სამხილად.

რაფაელა, დღეს 40 წლის ფსიქოლოგი, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა (იყო გაუპატიურებული) 3 წლის ასაკში მისი ოჯახის წევრის, მღვდლის მიერ.

რაფაელა რვა წლის ასაკში, იგი იყო ნაადრევად მომწიფებული გოგონა, რომელიც კარგად სწავლობდა სკოლაში, მაგრამ ამავე დროს ჰქონდა ორმაგი ცხოვრება, სავსე ეროტიული თამაშებით, რომელ ზეც ვერ ამბობდა უარს. მან დაიყოლია თავისი ბიძაშვილი გოგონა „კენჭით თამაში"-ში, რაც არის მტკივნეული თამაში, რომელსაც არც კი ესმოდა, რისთვის უნდა მოეთავსებინა კენჭი საცვალში და ტკივილის მიუხედავად, გაუჩერებლად ეხახუნა თავის ბიძაშვილისთვის. არც ერთ უფროსს, მისი გარემოცვიდან, არ ადარდებდა მსგავსი „თამაშები"... წლების შემდეგ, სამი წლის ბავშვთან მუშაობისას, რაფაელას მეხსიერებაში ამოუტივტივდა ბავშვობის მოგონებები, გაახსენდა საკუთარი ტანჯვა და განცდები. მან გოგონასთვის გაატარა ყველა დამცავი ღონისძიება, რასაც თვითონ ასე სასტიკად იყო მოკლებული.

ძალადობის ფაქტის გამოვლენა მოზარდებში

მოზარდი, რომელსაც უჭირს გახსნა, ხშირად ღიზიანდება და გაურბის ურთიერთობას, შესაძლოა იყოს ძალადობის მსხვერპლი.

მოზარდს აქვს ჩაკეტვის, იზოლირების მიდრეკილება. მისი არჩევანი ხშირად არის გაქცევა ოჯახური გარემოდან, ან ხშირად იკეტება და სისტემატურად არის ჩუმად. იგი

არ ავლენს უფრო მძიმე ფსიქოზურ აშლილობას.

მოზარდს შეიძლება აღენიშნებოდეს ზრდის შეფერხება, საკუთარი სხეულის ძლიერი სიძულვილი, ანორექსია, ბულემია. იგი შესაძლოა იყოს შეპყრობილი მრავალი ფობიით და შფოთვის შეტევებით.

უკიდურეს შემთხვევებში, შეიძლება განახორციელოს მეტად საშიში ქმედებები: ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, თვითმკვლელობის მცდელობა, თვითდაზიანება. მოზარდის სექსუალური ცხოვრება მოუწესრიგებელია: ხშირად მიდის სახლიდან ღამით, ვერ ამბობს უარს და ემორჩილება სექსუალურ ზეწოლას.

ამასთანავე, ეს სიმპტომები არ არის საკმარისი ძალადობის ფაქტის დასადგენად. „მოზარდობის კრიზისს“ განიცდის განურჩევლად ყველა ახალგაზრდა, მათ შორის ისინიც, ვისაც არ აქვს სიყვარულის უკმარისობა. მეტად განსხვავებულია სიმპტომების სიმწვავე: ოჯახის კონტექსტი განსაზღვრავს საფრთხეს.

მოზარდობა - ეს არის გარდამავალი, „გარდატეხის“ ასაკი: სუბიექტი ტოვებს ბავშვობის პერიოდს, რომელშიც მას უკვე ჩამოყალიბებული აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი ემოციური ორიენტირები ზრდასრული ასაკის მისაღწევად, რომელიც ხასიათდება თავისუფლებით და აშინებს კიდეც მას. გაორებას იწვევს, ერთი მხრივ, „დიდად ყოფნის“ სურვილი (რაც უბიძგებს,წინააღმდეგობა გაუწიოს მშობლებს), და მეორე მხრივ, შეინარჩუნოს ინფანტილური ურთიერთობა იდეალიზირებულ დედასთან ან მამასთან; მას აშინებს საკუთარი სხეულის ცვლილებები. ყალიბდება მისი ურთიერთობა სხვებთან. მას ეუფლება აქამდე უცნობი გრძნობები. ეს იწვევს ხასიათის ცვლილებებს,

რაც ხასიათდება ენთუზიაზმის ამოფრქვევებისა და ტირილის შეტევებით. ყოველივე ეს ღლის ყველაზე მშვიდ მშობლებსაც კი.

ძალადობის მსხვერპლი მოზარდი დიდად ვერ გადადის მისთვის დაწესებულ ზღვარს. მირიამი, ჩვიდმეტი წლის, არის ძალიან ლამაზი გოგონა, რომელიც ვერ გადის სახლიდან თანმხლების გარეშე. მას აქვს გარეთ გასვლის შიში, მაგრამ ამასთანავე, ვერ ამბობს უარს გამომწვევი სამოსის ტარებაზე, რამაც მას შეიძლება საფრთხე შეუქმნას. როდესაც მე ვურჩევ მას, რომ შეცვალოს ჩაცმის სტილი, იგი მპასუხობს: „არ მადარდებს!“.

მას მამა აიძულებდა დაკავებულიყო პროსტიტუციით. მირიამს სრულიად დაკარგული აქვს თავდაცვის უნარი. მას არ გააჩნია საფრთხის შეგრძნება. მისი სხეული მას აღარ ეკუთვნის. იგი არის მეძავი სხვის თვალში, ტროტუარებზე, სადაც მას უნდა ევლო მამის მანქანის წინ. მირიამს დასჭირდება თერაპიის მრავალი საათი იმისათვის, რომ ჩაიცვას მისი ასაკისთვის შესაფერისი ტანსაცმელი და არ გამოიყურებოდეს როგორც „გოგონა გამოძახებით“ სოციალური მუშაკები, პიერ საბურენი და პირადად მე, მოვამზადებთ მას მამის სასამართლოს გადასატანად.

სექსუალური ძალადობის ნიშნები

უმნიშვნელოვანესი რამ, რასაც შეიძლება მივაღწიოთ, როგორც ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა, ეს არის სექსუალური ძალადობის ფაქტების ამოცნობის უნარის გაზრდა. თუმცა, სირცხვილის, შიშის დაგაუმხელობის გამო, შემთხვევების უმრავლესობა არ არის გამოვლენილი. უმეტესწილად, შემთხვევების გამოვლენა ხდება ბავშვის

აღიარების შედეგად. იგი უყვება ძალადობის შესახებ მამას ან დედას, ნათესავს, მეგობარს, ექიმს ან სკოლის თანამშრომელს, ან სვამს კითხვებს და საუბრობს გარკვეულ ქმედებებზე, ან ავლენს ცოდნას სქესობრივი აქტის შესახებ, რაც თვალნათლივ მიუთითებს მის მირთ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტზე. უმეტეს შემთხვევებში, უფროსს გამოაქვს დასკვნა მომხდარი ძალადობის შესახებ ბავშვის ან მოძალადის საქციელზე დაკვირვებით.

მეტად ხშირია მოულოდნელი აღიარება - პროფესიონალთან ფიზიკური პრობლემის ან ქცევის დარღვევების გამო მიყვანილი ბავშვი პასუხობს კითხვებზე და ადასტურებს ძალადობის ფაქტს. ეს გარემოება მიუთითებს, თუ რამდენად საჭიროა ბავშვის სექსუალური ძალადობის შესახებ გამოკითხვის სწორად წარმართვა. ამ საკითხს შევეხები შემდგომში.

სამწუხაროდ, არ არსებობს ქცევის ზუსტი მაჩვენებლები ან სქემა, რომელიც ნათლად მეტყველებს სექსუალური ძალადობის აქტის არსებობაზე. სექსუალური ძალადობის ფსიქოლოგიური ხასიათის შედეგები შეიძლება გამოიხატოს მსხვერპლის უკიდურესად განსხვავებული ქცევით, თუმცა რიგ შემთხვევებში ქცევა სრულიად უცვლელი რჩება. სწორედ ამ მიზეზით, მიზანშეწონილია ბავშვების გამოკითხვა, იმ შემთხვევაშიც კი თუ ბავშვს არ აღენიშნება სექსუალური ძალადობის თვალსაჩინო ან ფარული სიმპტომი.

მშობლები და პროფესიონალები ხანდახან არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ ბავშვები, მცირეწლოვნებიც კი, თანხმდებიან სქესობრივ კავშირს. ამ კონტექსტში, ზნეობრივი და პიროვნული ფორიაქი მშობლებსა და

პროფესიონალებს აფიქრებინებს სექსუალურ ძალადობაზე. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს ხარისხიანი კვლევები ბავშვებში ჯანსაღი სექსუალური ქცევების შესახებ, რაც დაგვეხმარებოდა, გაგვევლო ზღვარი ამ მოვლენასა და სექსუალურ ძალადობას შორის.

ასაკობრივი სხვაობა

მოზარდობის წინა პერიოდში სქესობრივი ძიება, სასქესო ორგანოებით დაინტერესება მიმდინარეობს თანატოლებს შორის, ან ორწლიანი სხვაობის მქონე ბავშვებში. მცირეწლოვან ბავშვებს შორის ასაკის უმნიშვნელო სხვაობაც კი იწვევს დიდ განსხვავებას სიძლიერის, ავტორიტარიზმისა და ცნობიერების თვალსაზრისით. ბავშვებს ურჩევნიათ თამაში თავიანთ თანატოლებთან. უფროსი ბავშვი კი სქესობრივი ძიებისთვის ირჩევს მასზე უმცროსს, რადგან აქვს გარკვეული ძალაუფლება მის მიმართ.

თანხმობა თუ ძალადობა

ბუნებრივი სექსუალური ძიება ხდება ბავშვებში ორმხრივი თანხმობით და ბავშვები ცვლიან როლებს. იმ შემთხვევაში, თუ ინიციატივა მუდმივად მოდის მხოლოდ ერთისგან, ხოლო მეორე მუდმივად არის არასრულფასოვანი, საქმე ეხება ექსპლუატაციას.

სათანადო განვითარება

სკოლამდელ ბავშვებში სქესობრივი ექსპერიმენტი ჩვეულებისამებრ გულისხმობს სასქესო ორგანოებისა და მათ შორის სხვაობის კვლევას, რაც, თავის მხრივ, შემოიფარგლება ჩვენებით ან შეხებით, ხოლო ხანდახან შარდვისა და დეფეკაციისადმი ინტერესით. თუ ეს თამაში მდგომარე-

ობს სასქესო ორგანოში პენისის ან სხვა ნივთის მოთავსებაში, ან სასქესო ორგანოების ორალურ კონტაქტში, ეს არის ნიშანი იმისა, რომ მსგავსი ქმედებები შესაძლოა გამოწვეული იყოს ბავშვის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის გამოცდილებით.

სიხშირე

მოზარდობის წინა პერიოდში სასქესო ორგანოებით ბავშვი ინტერესდება მცირე დროის მანძილზე. ეს გატაცება არაფრით არ განსხვავდება სხვა მიმზიდველი გართობისაგან, რომელიც ეხმარება საინტერესო აღმოჩენების გაკეთებაში. თუ ბავშვები დაკავებულნი არიან მხოლოდ სექსუალური აქტივობებით, სხვა თამაშების ხარჯზე, დიდი ხნის განმავლობაში, ეს მიუთითებს მათ დისტრესზე ან სხვა ბავშვების ესქპლუატაციაზე.

გარეშე ფაქტორების გავლენა

თუ ბავშვი საკუთარი ნებით თანმხდება ნორმალურ სექსუალურ თამაშს, და თუ ეს ხდება მასზე უფროსი ბავშვის ან უფროსი ადამიანის სიამოვნებისათვის, საქმე ეხება ექსპლუატაციას.

რეაქცია

სექსისადმი თანამედროვე მორალური დამოკიდებულების გათვალისწინებით, სქესობრივმა ძიებამაც კი შეიძლება ბავშვს გაუჩინოს დანაშაულის გრძნობა. მაგრამ თუ ბავშვებს აქვთ სხვა უარყოფითი გამოვლინება, როგორიც არის შიში, გაღიზიანება, მოწყენილობა, შეიძლება ვიფიქროთ სექსუალურ ძალადობაზე. ამასთანავე, ბავშვებს შეიძლება ნეიტრალური ან დადებითი რეაქცია ჰქონდეთ აშკარა

ძალადობის ფაქტებზე. ამრიგად, არ არსებობს განხორციელებული სექსუალური ძალადობის დამადასტურებელი, სანდო ემოციური მაჩვენებელი.

თავი 1-3

ძალადობის ნიშნები: რა შეიძლება გააკეთოს ექიმმა?

ბავშვის და მისი გარემოცვა ოჯახთან დაახლოვებული ზოგადი პროფილის ექიმის ან ოჯახის ექიმის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. ექიმები, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი როლი, დროულად გაკეთებული შეტყობინებით ხელს უწყობენ ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ჯანმრთელობის დაცვასა და სიცოცხლის გადარჩენას. მაგრამ დეცენტრალიზებული სოციალური ქმედების ობსერვატორია ODAS-ს მონაცემებით, ეს ეხება აღრიცხული შემთხვევების 5%%ზე ნაკლებს. SOFRES მიერ, ჟურნალისთვის „Panoramadumédecin" ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ფიზიკური ძალადობის ყველაზე აშკარა შემთხვევებიდან დიაგნოსტირებულია 28%. რაც შეეხება სექსუალური ძალადობის შემთხვევებს, რომელთა გამოვლენა უფრო რთულია, დიაგნოსტირებულია მხოლოდ შემთხვევათა უმნიშვნელო რაოდენობა. შემაშფოთებელია სტატისტიკა: 2002 წელს 119-ში ოჯახის ექიმების სატელეფონო შეტყობინებები არ აღემატებოდა 0,2%%ს, ხოლო 2003 წელს - მხოლოდ 0,1%.

ჩემი ყურადღება მიიპყრო მეჟევის გადაუდებელი დახმარების ექიმების მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ, რომლებიც მიწვეული იყვნენ საზაფხულო სკოლაში ბავშვებთან სამუშაოდ. ამ მიზნობრივი კონსულტაციების შედეგად გამოჩნდა, რომ ექიმებს აქვთ უმწეობის გრძნობა რეაგირების თვალსაზრისით. ამავდროულად, მათ მიერ შესრულებულმა დიაგნოსტიკამ შეიძლება მისცეს ბავშვს ცხოვრების შეცვლის საშუალება. აი ერთერთი ექიმის ჩვენება: *„ლ.პ., რომელსაც აღენიშნებოდა კისრის პრობ-*

ლემები, მოიყვანა ჩემს კაბინეტში საზაფხულო სკოლის ინსტრუქტორმა. გამოკვლევის წინ მან მთხოვა, შემემოწმებინა ჭრილობების და ნაჭდევების არსებობა, რადგან ლ.პ. საუბრობდა მის მიმართ მამინაცვლის მიერ განხორციელებულ თავდასხმებზე. „უბრალოდ, რომ ვიცოდეთ“, დაა-ზუსტა მან. მე მას განვუმარტე, რომ ძალადობის კვალის არსებობის შემთხვევაში, მე ვალდებული ვიქნებოდი, შემეტყობინებინა რესპუბლიკის პროკურორისთვის. ლ.პ. მარტივად მომიყვა თავდასხმების შესახებ. გამოკვლევის საფუძველზე გამოჩნდა მხოლოდ ორი მცირე იარა, მრავალი კარიესი და ჯირკვლები კისრის არეში.

სამედიცინო დასკვნაში, რომელიც გაეგზავნა პროკურორს, წერია: „ი-ს არ უნდა გოგონას წაყვანა კბილის ექიმთან“. არ შეიძლება არ დავაფასოთ ექიმის წინდახედულება, რომელიც არ ასახელებს ბავშვზე მოძალადე პიროვნების ან დამნაშავეს ვინაობას. წარმოებს დანაშაულის და არა დამნაშავეს აღიარება. ბავშვის მიერ აღწერილი ძალადობისა და უგულებელყოფის ფაქტებისა და გასინჯვის საფუძველზე, რესპუბლიკის პროკურორს გაეგზავნა საჩივარი, რომელსაც დაერთო სამედიცინო დასკვნა. გადამწყვეტი აღმოჩნდა შეხვედრა. შესაძლოა წინასწარი გაფრთხილების გარეშე ლ.პ.-ს არ მიეღო მისთვის საჭირო დახმარება.

ყველა ექიმის, იუსტიციის, ჯანმრთელობისა და ოჯახისა და ბავშვთა სოციალური დაცვის სამინისტროების ერთობლივი დაინტერესების გათვალისწინებით და ძალადობის შემთხვევების გამოვლენის გამარტივების მიზნით, 2004 წელს შეიმუშავეს სამედიცინო ცნობის ფორმა. ექიმის ბეჭდის და ხელმოწერის გარდა, კონსულტაციის თარიღის და ზუსტი დროის მითითებით, ბავშვისა და მისი თანმხლები

პირის, ზრდასრულია იგი თუ არასრულწლოვანი, პირადობის დამადასტურებელი ინფორმაციის, ბავშვთან ნათესაური კავშირის, სამედიცინო მომართვის მიზეზის გრაფაში აღწერილი უნდა იყოს „თანმხლები პირი გვატყობინებს, რომ ...“ და „ ბავშვი გვატყობინებს, რომ...“. გარდა ამისა, ექიმმა უნდა მიუთითოს, თანმხლების თანდასწრებით შესრულდა გამოკვლევა თუ არა; მან ასევე უნდა აღწეროს ბავშვის ქცევა კონსულტაციის დროს. ბოლოს იწერება დაზიანებების აღწერილობა, მათი ადგილის და ხასიათის მითითებით. ექიმი არ მიუთითებს დაზიანებების სავარაუდო წარმომავლობას.

პირველი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ექიმების მიერ გაკეთებული შეტყობინებების სიმცირეს, არის ექიმთა დიდი რაოდენობის არასაკმარისი მომზადება (ან ინფორმირება). ამ სფეროში ერთგვარი პროგრესი მაინც აღინიშნება, რადგან უკანასკნელ წლებში შესაძლებელი გახდა სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებისთვის ძალადობის სიმპტომების შესახებ არასავალდებულო კურსის ჩატარება.

მეორე ფაქტორი არის ზოგიერთი ოჯახის ექიმის თავშეკავება ძალადობის დიაგნოსტირებისას. კერძოდ, ინცესტის სიმპტომების გამოვლენისას, მსგავსი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ექიმები გაურბიან სკანდალს.

ოჯახის ექიმები ხშირად ვერ უშვებენ ინცესტის რეალურად არსებობის შესაძლებლობას, ან სარგებლობენ რა მთელი ოჯახის მიმართ ნდობით, ხშირად ცდილობენ შეამსუბუქონ არსებული სიმპტომების სიმწვავე ან მიაწერონ ისინი გარეგან ან შემთხვევით გაღიზიანებას, თუ მაგალითად პაციენტს აღენიშნება: სასქესო ორგანოების სიწითლე, ადგილობრივი გაღიზიანება, განმეორებითი ინფექციები. მიზეზ-

თა ამ ჩამონათვალს ემატება იმ ექიმების მიმართ გატარებული დისციპლინარული სანქციები და ცილისმწამებლობის ბრალდებები, რომლებმაც გამოთქვეს ეჭვი შემდგომში არ დადასტურებული ძალადობის აქტის შესახებ.

დღეისათვის უმნიშვნელოვანესია, დავეყრდნოთ კანონის ცვლილებებს. პირველ რიგში, კანონი ათავისუფლებს განურჩევლად ყველა ექიმს სამედიცინო საიდუმლოს შენახვის ვალდებულებისაგან, თუ საქმე ეხება ძალადობის აქტს. სისხლის სამართლის კოდექსის ძველი 378-ე მუხლის, მეორე აბზაცი, უკვე აძლევდა პროფესიონალებს უფლებას, „მოახდინონ სათანადო სამედიცინო ან ადმინისტრაციული ორგანოების სანიტარული ან სოციალური სამსახურების ინფორმირება თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვის მიმართ განხორციელებული დანაშაულის ან მისი ტრავმირების შესახებ, თუკი მათ ამის შესახებ შეიტყვეს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას“. სისხლის სამართლის ახალ კოდექსში, (მუხლი 226-14) დამატებულია „პრეზუმპციის“ მეტად მნიშვნელოვანი ცნება: „... ექიმი ამცნობს რესპუბლიკის პროკურორს მისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას აღმოჩენილი ტრავმების შესახებ, რომელთა საფუძველზეც მას უჩნდება ვარაუდი ნებისმიერი სახის ძალადობის აქტის შესახებ და რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას სასამართლოში სამხილის სახით“. 2004 წლის 2 იანვრის კანონში ბავშვთა დაცვის შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლში 226-14 შეტანილია შემდეგი ცვლილება: „კომპეტენტური ორგანოებისთვის ექიმის მიერ მიცემული ჩვენება არ შეიძლება იყოს გამოყენებული, როგორც მის წინააღმდეგ დისციპლინარული სანქციის საფუძველი“. აღნიშნული ცვლილება დროული იყო, რადგან ზოგიერთ ახალბედა ექიმს ძვირი დაუჯდა ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ასევე იძლევა რეკომენდაციას: „ექიმთა

საბჭო სასწრაფო წესით გადახედავს იმ ექიმთა დაცვის პროცედურებს, რომლებიც ეჭვს გამოთქვამენ ბავშვთა ტრავმების წარმოშობის შესახებ, მათი დადანაშაულების ნაცვლად".[1]

განსაკუთრებით დელიკატური რჩება არასრულწლოვანი, თორმეტი-ცამეტი წლის გოგონების ორსულობის შემთხვევები. ორსულობა, ისევე როგორც ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის ყველა მოთხოვნა, უნდა წარმოადგენდეს შემდგომი გამოძიების საგანს, მისი წარმოშობის დასადგენად. თუ არსებობს იმის ეჭვი რომ ორსულობა არის გაუპატიურების შედეგი, ექიმმა უნდა მოახდინოს ემბრიონის კონსერვაცია. ამასთანავე, ემბრიონის გენეტიკური ტესტი საშუალებას იძლევა დაადგინოს სექსუალური აგრესორის გენეტიკური კოდი. 2004 წლის პერბე 2 კანონის თანახმად, ამ ინფორმაციის შემცველი ბაზის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, არის თუ არა ორსულობა სექსუალური ხასიათის დანაშაულის ან ოჯახში ძალადობის შედეგი. იდენტიფიკაცია დნმ ტესტის საფუძველზე ასევე იძლევა საშუალებას, დადგინდეს ეჭვმიტანილის უდანაშაულობა, ან მაღალი სანდოობით წაეყენოს ბრალი დამნაშავეს.

[1] ჟან მიგელ პეტი, გაეროს სპეციალური რეპორტიორი, „2002 წლის 25-29 ნოემბრის მისია საფრანგეთში, (მუხლი 59). ბავშვებით ვაჭრობა, ბავშვთა პროსტიტუცია და პორნოგრაფია", 2003 წლის ოქტომბრის დამატება.

სექსუალური ძალადობის ფიზიკური ნიშნები

ბოლო წლების განმავლობაში, ფიზიკური ნიშნების საფუძველზე სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოვლენის სფეროში თვალსაჩინო პროგრესის მიუხედავად, ამჟამად აღიარებულია რომ, ფიზიკური ძალადობის შემთხვევებისგან განსხვავებით, მეტად მცირეა დიაგნოსტირებული სექსუალური ძალადობის შემთხვევების რაოდენობა მხოლოდ ექიმის გამოკვლევის საფუძველზე. არაერთი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გოგონების 50%-ს და ბიჭების 53%-ს ჰქონ-დათ ექიმის მიერ გაცმული სავსებით ნორმალური დასკვნა. მსხვერპლთაგან მხოლოდ 3-დან 16%-მდე აღმოაჩნდა სექსუალური ძალადობისთვის დამახასიათებელი, ან ასეთად მიჩნეული დაზიანება. არსებობს ამის მრავალი ახსნა. ზოგიერთი ტიპის ძალადობის შედეგად არ რჩება ფიზიკური დაზიანების კვალი. გარდა ამისა, იშვიათად ხდება სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება უშუალოდ ძალადობის ფაქტის შემდეგ. სასქესო ორგანოების ასეთი დაზიანების აღდგენა მიმდინარეობს სწრაფად, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სექსუალური ძალადობისთვის დამახასიათებელი ფიზიკური დაზიანებები შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვა მიზეზებითაც.

დაზიანებები, რომლებიც იძლევა სექსუალური ძალადობის აქტის დიაგნოსტირების საშუალებას წინასწარი ჩვენების არარსებობის შემთხვევაშიც კი, შემდეგია:

- სპერმის ან მჟავაფოსფატაზას არსებობა;
- ორსულობა;
- სასქესო ორგანოების დაზიანება, რომელთა წარმოშობის ახსნა შეუძლებელია;

- სიფილისის ან ჰონორეა ტესტის დადებითი მაჩვენებელი, თუ პაციენტს არ აღენიშნებოდა დაავადება პერინატალურ პერიოდში;
- სეროპოზიტიურობა, დაავადების პერინატალურ პერიოდში ან ინტრავენური გზით შეძენის გარდა;
- მენსტრუალური ხვრელის ასაკთან შეუფერებელი გაფართოება ან საქალწულე აპკის დაზიანება, მისი არარსებობა, რაც არ არის გამოწვეული უბედური შემთხვევით ან ქირურგიული ჩარევით.

ჩვილიზე სექსუალური ძალადობის დამადასტურებელი სიმპტომები

- ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი, კონდილომა აკუმინატა ან ანალური ან სასქესო ორგანოების ჰერპესი II, რომელიც არ იყო შეძენილი პერინატალურ პერიოდში,
- საქალწულე აბკის ქსოვილის სხვადასხვა სახის დაზიანება ან მისი უქონლობა, შემცირებული ზომის, უკან ან გვერდით ჩაზნექილი საქალწულე აბკი,
- ნაპრალები ანალური მილის გარშემო,
- ანალური კანის ქსოვილის დაზიანება,
- ანალური ხვრელის 15-20 მმ-მდე გაფართოება, თუ იგი არ არის დაკავშირებული ფეკალური მასის არსებობასთან,
- ანალური ხვრელის უსწორობა მისი სრული გაფართოების შემდეგ,
- გასინჯვისას ანალური ხვრელის გაფართოების შენარჩუნება სხვადასხვა მდგომარეობაში.

თავი 1-4

როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ შევესწარით ბავშვზე ძალადობის ფაქტს

რა შეიძლება მოიმოქმედოთ თუ გახდით ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის მოწმე? ამ მოვლენას გაცილებით ხშირად ვაწყდებით, ვიდრე შეიძლება წარმოვიდგინოთ. სოციალური მუშაკები, მასწავლებლები, ექიმები, - ეს არის მეტად მცირე ჩამონათვალი იმ პირებისა ვინც შეიძლება აღმოჩნდეს მსგავსი სიტუაციების პირისპირ. ამგვარ მოვლენას შეიძლება შევხვდეთ მეზობლებთან, მეგობრებთან, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას...

განგაში ძალადობის ფაქტის გამოსააშკარავებლად არის ყოველი მოქალაქის მოვალეობა. ძალადობის ფაქტის დაფარვა იმ მიზეზით, რომ „არ უნდა ჩავერიოთ სხვის საქმეში“ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც საფრთხეში მყოფი ადამიანისთვის დახმარებაზე უარის თქმა. მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მოწმეს პირდაპირი პასუხისმგებლობა ძალადობის მსხვერპლის მიმართ, მისი დუმილი მოძალადესთან თანამონაწილეობის ტოლფასია.

შეტყობინება „ალო! ძალადობაა ბავშვის მიმართ!“ სასწრაფო დახმარების (ნომერზე 119) ან დეპარტამენტის სხვა ნომერზე, უნდა იყოს თითოეულის პირველი ქმედება. ბავშვთა დაცვის ეს ხერხი კარგად არის ცნობილი საზოგადოებისათვის. მოსახლეობის 73%-მა იცის ძალადობის მსხვერპლი მოზარდების სატელეფონო მომსახურების ეროვნული სააგენტოს არსებობის შესახებ. ამ სამსახურის დანიშნულებაა დახმარების გაწევა და ახსნა-გამარტება, ან, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო სამსახურებისთვის შეტყობინება.

საკმაოდ გახმაურებული გახლდათ ისტორია პატარა ჯონის შესახებ, რომელიც შემთხვევით იყო ნაპოვნი დურგლის მიერ უკიდურესად შეშინებული (ცემის კვალი, დამწვრობა, უგულებელყოფა, სიბინძურე...). ამ მამაკაცმა, სახელად ჟოელტაჟანა, მიმართა ჟანდარმერიის უახლოეს განყოფილებას და შეძლო დარწმუნება ოჯახის უუნარობაში ბავშვის მოვლის თვალსაზრისით. შედეგად, ჯონი მოაცილეს ოჯახს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებით, ყველა პირმა პასუხი აგო ბავშვისთვის ყოველდღიურად მიყენებული ზიანის გამო. მსგავსი შემთხვევა საბედნიეროდ წარმოადგენს გამონაკლისს, მაგრამ ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტები შესაძლებელია გამორჩეს სოციალური სამსახურის თვალთახედვას. ჟოელტაჟანამ, მიიღო მონაწილეობა მირელ დიუმას ძალადობის მსხვერპლი ბავშვების საკითხისადმი მიძღვნილ გადაცემაში[2], სადაც მან ისაუბრა იმაზე, თუ როგორ უთხრეს უარი იმ ბავშვის მონახულებაზე, ბავშვი, რომელიც მანვე გადაარჩინა მრავალ ტანჯვას...

სპეციალური მომზადების გარეშე, მედიატორობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯერ კიდევ ოჯახის გარემოცვაში მყოფ ბავშვს, შესაძლოა, მას ემუქრებოდეს შურისძიება მშობლების მხრიდან, ოჯახის საიდუმლოს გაცემის გამო.

---

2 პირადი ცხოვრება, საზოგადოებრივი ცხოვრება, სატელევიზიო არხი France 3, 2004 წლის 3 აპრილი

ბატონი მ. არის პარიზის გარეუბანში მდებარე ერთ-ერთი სკოლის დირექტორი. მან წაიყვანა კლასი მუნიციპალურ აუზზე. ერთ-ერთი მოსწავლე, პატრიკი, ჯიუტად უარს ამბობს გახდაზე. დიდი ყოყმანის შემდეგ, მან ჩურჩულით თქვა, რომ სხეულზე აქვს იარები. ბატონმა მ.-მ დაინახა რომ ბავშვის სხეულზე მართლაც იყო ქამრის დარტყმით მიყენებული დაზიანებები. პატრიკმა გაანდო, რომ მას მუდმივად სცემდნენ მშობლები.

შოკირებულმა ბატონმა მ.-მ გააფრთხილა სკოლის სოციალური დაცვის სამსახური და მაშინვე დაიბარა პატრიკის მშობლები. კაბინეტში, ბავშვის თანდასწრებით, მან უსაყვედურა მშობლებს და გააფრთხილა, რომ სასტიკი მოპყრობის ფაქტების განმეორების შემთხვევაში, პოლიციაში საჩივარს შეიტანდა. პატრიკის მშობლებმა პირობა დადეს, რომ აღარ შეეხებოდნენ შვილს, მაგრამ იმავე საღამოს მშობლებმა სასტიკად სცემეს ბავშვს და ფეხებით დაკიდეს. სოციალური სამსახურის შეტყობინება პროკურორთან პატრიკისთვის დრამატული შემთხვევის შემდეგ შევიდა, რაც დირექტორის სტრატეგიულ შეცდომას მოჰყვა.

როგორც წესი, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასტიკი მოპყრობის ფაქტი წარმოადგენს რთულ სიტუაციას, სადაც მოძალადეები მოხერხებულად მანიპულირებენ. გარეშე პირის შუამდგომლობა უნდა ხორციელდებოდეს სათანადო სამსახურებში მომზადებული პროფესიონალების მიერ. ნებისმიერ შემთხვევაში, სავალდებულოა თანმდევი დაცვითი ღონისძიებების გატარება. უმნიშვნელოვანესია კოორდინირებული მოქმედება. მოწმეს, ოჯახის წევრის, თუ გარეშე პირის „სწორი რეფლექსი“ არის ზარის განხორციელება ეროვნულ სატელეფონო სამსახურში.

დავაზუსტებ, რომ ზარების 89% ნომერზე 119 არის ანონიმური. ყოველი შემტყობინებლის სრული უფლებაა, არ დაასახელოს თავისი ვინაობა. ამავე დროს, ოპერატორისთვის საჭიროა საკმარისი ინფორმაციის მიწოდება საფრთხეში მყოფი ბავშვის ვინაობის, მისი ადგილსამყოფელის, საფრთხის სიმძიმის შესახებ და თუ რამდენად სასწრაფოა ჩარევა. ბავშვებს და მოზარდებს თვითონ შეუძლიათ დარეკვა და მათი ნომერი არ აისახება ტელეკომის ამონაწერში. ოპერატორები გადიან სპეციალური მომზადების კურსს და შეუძლიათ "ჩუმი ზარებითაც" კი ამოიცნონ სხვისი ტანჯვა.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ მისასალმებელია ძალადობის მსხვერპლი მოზარდების სატელეფონო მომსახურების ეროვნულ სააგენტოში მასწავლებლების მიერ განხორციელებული ზარები, მიუხედავად ადმინისტრაციული იერარქიისა.

ამონარიდი 1989 წლის 10 ივლისის n 89-487 კანონიდან

მუხლი 71-სახელმწიფოს, დეპარტამენტების, სამოქალაქო საზოგადოების შემადგენლობაში შემავალი საჯარო ან კერძო იურიდიული პირების მიერ, ქვეყნის მასშტაბით, შექმნილია უფასო სატელეფონო სამსახური (ცხელი ხაზი). ეს სამსახური ხელს უწყობს არასრულწლოვანთა მიმართ სასტიკი მოპყრობის პრევენციასა და ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების დაცვას. ეს სამსახური მოთხოვნისთანავე გასცემს ინფორმაციას ან რჩევებს ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო მსხვერპლი არასრულწლოვნების მდგომარეობის შესახებ. 68-ე მუხლით დადგენილი დებულების თანახმად, იგი გადასცემს საბჭოს გენერალურ პრეზიდენტს ყველა შეგროვებულ ინფორმაციას და ფორმულირებულ შეფასებებს ამ არასრულწლოვ-

ნების შესახებ. ეს სამსახური ატარებს წლიურ ეპიდემიოლოგიურ კვლევას შეგროვილი ინფორმაციისა და აღნიშნული მუხლის დებულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

სამსახურს აქვს საჯარო ინტერესთა ჯგუფის ადმინისტრაციული საბჭოს, ბავშვთა და ოჯახის დაცვის ასოციაციების, ექსპერტების და კვალიფიციური პირებისგან შემდგარი ტექნიკური კომიტეტის მხარდაჭერა. ტექნიკური კომიტეტი კონსულტაციებს ატარებს საორგანიზაციო და სამოქმედო, აგრეთვე დეპარტამენტებთან თანამშრომლობის საკითხებზე. სამსახური აკეთებს დასკვნას ამ მუხლის მეორე აბზაცში განსაზღვრული ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგების გამოქვეყნებამდე.

სამსახურის ფინანსური მხარდაჭერა, გარდა ჯგუფის წევრებისგან მიღებული სახსრებისა, წარმოებს სახელმწიფოსა და დეპარტამენტების მიერ თანაბარი წილით. ყოველი დეპარტამენტის ფინანსური მონაწილეობა განისაზღვრება მოსახლეობის შესაბამისად. სატელეფონო სამსახურის კოორდინატების გამოქვეყნება სავალდებულოა არასრულწლოვანთა მომსახურების ყველა ორგანიზაციასა და სამსახურში.

თავი 1-5

რაში მდგომარეობს შეტყობინება?

1989 წლის 10 ივლისის კანონი არასრულწლოვანთა მიმართ სასტიკი მოპყრობის პრევენციისა და ბავშვთა დაცვის შესახებ, ამარტივებს საჯარო სამსახურების ოპერატიულ ჩარევას, რისთვისაც საკმარისია მხოლოდ ერთი მოქალაქის ჩვენების საფუძველზე შესრულებული შეტყობინება.

ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების უფლება ნებისმიერ მოქალაქეს აქვს, მაგრამ უფრო ხშირად ამას აკეთებენ ბავშვთა დაცვის სფეროს პროფესიონალები. არასრულწლოვანთა სოციალური სამსახურების მუშაკები და ჟანდარმერია ასრულებენ იგივე მოვალეობას, თუ ისინი აღმოჩნდებიან ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტის წინაშე. მეტად მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა წინასწარი გამოძიებისა ან გამოძიების სტადიაში, აგრეთვე დამატებითი ინფორმაციის მიწოდების, რჩევების, ორიენტირებისთვის.

არსებობს შეტყობინების ორი საშუალება: ადმინისტრაციული გზა, რომელსაც მიმართავენ სხვადასხვა სატელეფონო ხაზის მეშვეობით: მოზარდთა ჯანმრთელობის მწვანე ხაზი, SOS-ნარკომანია და ა.შ. და სამართლებრივი გზა, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი. ბავშვი არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ იგი შეიძლება თავად გამოცხადდეს იუსტიციის სახლში და შეხვდეს ბავშვთა მოსამართლეს.

ადმინისტრაციული გზა

შეტყობინება შესაძლოა გაგზავნილი იყოს ბავშვთა დაცვის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში. შეტყობინება შეიძლება შევიდეს სანიტარული და სოციალური სამსახურის დეპარტამენტის დირექციაში დეპარტამენტის ან 119-ის მეშვეობით, მაგრამ როგორც წესი იგი ხორციელდება ბავშვთა სოციალური დახმარების საშუალებით, რომელიც ასევე შედის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში. საბოლოოდ, 1989 წლიდან, გენერალური საბჭო უფლებამოსილია, კოორდინაცია გაუწიოს ყველა ქმედებას ბავშვთა დაცვის სფეროში. სწორედ ამ საბჭოს პასუხისმგებლობაა დეპარტამენტის მწვანე ნომრების ფუნქციონირება (მოსმენა). ბავშვთა სოციალური დახმარების სამსახურის საქმიანობა არ შემოფარგლება მხოლოდ ძალადობის ფაქტებზე რეაგირებით. მას ეკისრება სხვა მისიები ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სფეროში. მაგალითად, წინასწარი მოკვლევების ჩატარება ბავშვის შვილად აყვანისთვის.

ბავშვთა სოციალური დახმარების სამსახურში შეტყობინებები შედის იერარქიული საფეხურების შესაბამისად: სოციალური მუშაკი აწვდის ინფორმაციას სამსახურის ინსპექტორს, რომელიც საქმეს გადასცემს ბავშვთა სოციალური დახმარების სამსახურის დეპარტამენტის დირექტორს, რომელიც იღებს ბავშვის დაცვისთვის მორგებულ ზომებს.

ბავშვთა სოციალური დახმარების სამსახური, ძალადობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, უფლებამოსილია აწარმოოს დაკვირვება ბავშვის საცხოვრებელ პირობებზე და განსაკუთრებულ შემთხვევებში შესთავაზოს განთავსე-

ბა. იმ შემთხვევაში თუ ოჯახი ეწინააღმდეგება გადაწყვეტილებებს, სოციალური დახმარების სამსახური მიმართავს სამართლებრივ ორგანოს (როგორც წესი, არასრულწლოვანთა მოსამართლეს).

სამართლებრივი გზა

შეტყობინება შესაძლოა გაეგზავნოს უშუალოდ რესპუბლიკის პროკურორს, ან არასრულწლოვანთა ბრიგადას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. რესპუბლიკის პროკურორი შესაძლოა მისაწვდომი იყო ოცდაოთხი საათის განმავლობაში. ხოლო არასრულწლოვანთა ბრიგადისთვის შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს პოლიციისა ან ჟანდარმერიის მეშვეობით. ამ პროცედურის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ გადაუდებელი ჩარევის საჭიროების შემთხვევაში, მაშინვე იწყება გამოძიება და შესაძლებელი ხდება ბავშვის ოჯახისგან განრიდება და ოჯახის მიმართ იძულებითი ზომების მიღება უმოკლეს ვადებში. არ არის საჭირო, რომ შეტყობინების ავტორმა მისცეს ჩვენება სასტიკი მოპყრობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ პოლიციის მიერ დადასტურებული ფაქტები საკმარისად დამაჯერებელია, რესპუბლიკის პროკურორი უფლებამოსილია, საჩივრიდან ან პოლიციის უფროსის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, განსაზღვროს ყველა გასატარებელი ღონისძიება არასრულწლოვანის დაცვის უზრუნველსაყოფად.

ძალადობის ფაქტის დადასტურების ან ბავშვის საფრთხეში ყოფნის თაობაზე გონივრული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, საქმეში ერთვება ორივე ინსტანცია, ადმინისტრაციული და სამართლებრივი. პროკურორი აკისრებს სოციალურ სამსახურს ბავშვზე ზედამხედველობას,

ხოლო სოციალური ადმინისტრაცია შუამდგომლობს პროკურორთან ან ბავშვთა მოსამართლესთან ბავშვის ოჯახისგან განრიდების და მოძალადის მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით. ეს ღონისძიებები გულისხმობს მშობლებისთვის უფლებების სრულ ან ნაწილობრივ ჩამორთმევას.

თავი 1-6

შეშინებული ბავშვი/მოძალადე ბავშვი: რა იწვევს პიროვნების გაორებას?

„ღამეებს ვატარებდი საწოლში. გული მიჩქარდებოდა, სისხლი მეყინებოდა, ფოთოლივით ვცახცახებდი. ვკვდებოდი. ვფიქრობ, ასე კვდებიან ნელ-ნელა, როდესაც ისმენენ, თუ როგორ სცემენ დედას. ჩემი ცხოვრების ერთი ნაწილი გავატარე სიკვდილის შეგრძნებით. რა თქმა უნდა, შემდეგ ისევ ვცოცხლდებოდი. (...) ეს არის ჩემი ამბავი, - წერს ჟურნალისტი ოლივიე ჟისბერ თავის წიგნში, სადაც ამაღელვებლად იხსენებს ბავშვობის მძიმე გამოცდილებას. (...) ამბავი, რომლის შესახებ დიდხანს საკუთარ თავსაც კი ვერ ვუტყდებოდი, მეგონა ვერ გადავიტანდი. (...) დიდხანს მეძინა ჯაყვით ბალიშის ქვეშ, მამაჩემის გამოსაფატრად, თუ ოდესმე მოუვიდოდა ღამით ჩემთან ჩხუბის იდეა"[3].

მოძალადესთან გაიგივების მექანიზმი წარმოშობს იდენტობის ფრაგმენტაციას (პიროვნების გაორებას): მსხვერპლის საწყისი უმანკოება ითავსებს ღრმა დანაშაულის სურვილს, რომელიც ჩასახულია აგრესორის, ხშირ შემთხვევებში საყვარელი ადამიანის, მისაბაძი პიროვნების მიერ. მოძალადე იწვევს ძალადობის მსხვერპლის ან ძალადობის მიმართ უძლური მოწმის მომწყვდევას თავის მახეში, „ასწავლის“ მას ძალადობის წესებს და მისგან ჩუმად ყოფნას მოითხოვს. მაშინ, როდესაც ძალადობა ხორციელდება მის ან მისთვის საყვარელი ადამიანის მიმართ, ბავშვი ხვდება

[3] ფრანც-ოლივიერჟისბერ, ამერიკელი, პარიზი, გალიმარ, 2004

სამყაროში, სადაც ყველაფერი განსხვავდება მისთვის ჩვეული ცხოვრებისგან. მოძალადე იღებს ბავშვისთვის გაუგებარ პოზიციას, მოცულია ბავშვისთვის გაუგებარი ფორიაქით. ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელი გრძნობების პირისპირ აღმოჩენილი მსხვერპლი რიგ რიგობით ითავისებს სხვადასხვა თვისებას: ხან არის ბავშვი, რომელსაც „დაავიწყდა“, არ აქვს გაუცნობიერებული აგრესია, ხან - თანამონაწილე, რომელმაც „მიიღო“ ძალადობა, ინცესტი, და რომელიც, შესაძლოა, შეეცდება ძალადობრივი სახით დაიმორჩილოს სხვა პიროვნება. ტრავმის უცაბედი დავიწყება გამოწვეულია უფროსის საქციელით, რომელიც სექსუალური ძალადობის დასრულებისთანავე აღადგენს ნორმალურ გარემოს.

ძალადობის შემდეგ, მოძალადის თვალთახედვაში მოქცეული მსხვერპლი მალავს თავისი პიროვნების „წყეულ“ მხარეს, დაახლოებით ისე, როგორც კაფკას პერსონაჟი „მეტამორფოზაში“. გარეგნულად მსხვერპლი ავლენს ურთიერთსაპირისპირო პიროვნულ თვისებებს: ხან მორჩილის და პასიურის, ხანაც - მოძალადის და აგრესორის.

სოციალური მუშაკების ჯგუფური მუშაობის დროს, ხშირად ხდება ისე, რომ ერთსა და იმავე ბავშვს ან მოზარდს ეძლევა განსხვავებული შეფასება. ერთის აზრით, ეს არის ჩაკეტილი ბავშვი, რომელიც წარმოაჩენს თავს მსხვერპლის სახით, ხოლო მეორის აზრით, ის არის გამომწვევი, მოუსვენარი, აღელვებული, საშიში. პრესაში, სტატიებში ვხვდებით კეთილსინდისიერი მოწმეების მიერ გაკეთებულ სრულიად განსხვავებულ დახასიათებებს დანაშაულის ჩამდენი პიროვნებების შესახებ.

ლორას საქციელი მეტად განსხვავდებოდა მისი უმცროსი დებისგან. თერაპევტთან საუბრისას მან გამოავლინა

მზრუნველი და ღირსეული დამცველი უფროსი დის პოზიცია. მეორეს მხრივ, აღმზრდელი ადასტურებდა მის ცუდ გავლენას უმცროს დებზე. ლორამ აიძულა თავისი დები, მასთან ერთად ჩაედინა დანაშაულებათა მთელი სერია, რაც არც კი ახსოვდა.

მსხვერპლი ვერ აცნობიერებს თავისი პიროვნების განსხვავებულ ასპექტებს თერაპიულ ჩარევამდე, რომლის დროსაც ხდება ერთი ან მეორე ასპექტის უფრო მკაფიოდ გამოვლენა პაციენტისთვისაც და თერაპევტისთვისაც. თერაპიის კურსის მიზანია, პიროვნული ერთიანობის დარღვევის აღდგენა. ერთმანეთს დაცილებული ნაწილები თავისთავად ვერ ხვდებიან ერთმანეთს. მსხვერპლის ფსიქიკის აღსადგენად მივმართავთ აგრესიის ფაქტის შეხსენებისა და რეფორმულირების (ხელახალი მოყოლის) გზას. ჩვენ უნდა დავეხმაროთ პაციენტს, მიაღწიოს ძალადობის მსხვერპლის სტატუსისა და აგრესორის ძალადობრივი კომუნიკაციის უკუგდების განცდას. განვითარების ეს სტადიები საშუალებას გვაძლევს, ბავშვი გათავისუფლდეს დანაშაულის გრძნობისგან და მისი მოძალადესთან იდენტიფიცირებისგან. მსხვერპლი ნელ-ნელა თავისუფლდება მოძალადის "მომაჯადოებელი" ზეგავლენისაგან. ზოგიერთისთვის ამ „მოჯადოებამ“ შეიძლება მეტად დრამატული შედეგი გამოიღოს. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში, ინცესტის მსხვერპლი გოგონა შემდგომში კრიმინალი გახდა.

ერთ დღეს მსხვერპლთა ასოციაციიდან მაცნობეს, რომ დამირეკავდა ახალგაზრდა ქალბატონი, სახელად კოლეტი, რომელსაც ჰქონდა მამის მკვლელობის მცდელობა. რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა სატელეფონო ზარი:

პაციენტი: ალო, ვისურვებდი თქვენთან შეხვედრას.

თერაპევტი: გისმენთ, რამ შეგაწუხათ?

პაციენტი: მოხდა მამის მკვლელობა.

თერაპევტი: კოლეტი ბრძანდებით? თქვენს ზარს ველოდებოდი...

პაციენტი: იცოდით?.. ციხიდან გამოვედი...

ასეთი დამთხვევით დაიწყო სანდრინის მკურნალობა, რომელიც ვერ ამბობდა „მე მოვკალი მამაჩემი,“, არამედ იმეორებდა „მოხდა გასროლა!“ და რომელსაც ჰქონდა პიროვნების ფრაგმენტაციის (დისოციაციის) სერიოზული პრობლემა.

სანდრინს არ ახსოვდა მამის მკვლელობის მომენტი. მან წერტილი დაუსვა მამასთან მიმართებაში თავის ათწლიან მტანჯველ სექსუალურ მონობას და დედის გულგრილობას. თავისი კრიმინალური ქმედების შესახებ სანდრინს მეხსიერებაში დარჩა მხოლოდ დენთის სუნი მამის კუთვნილი იარაღისა, რომელიც სწორედ იმ საწოლის გვერდით იდო, სადაც ძალადობა ხდებოდა. ამ იარაღით მამა არაერთხელ ემუქრებოდა თვითმკვლელობით. სასამართლოზე სანდრინი იტყვის: „ეს თოფი იყო მთელი ჩემი ბავშვობა...“.

რამდენიმე დღის წინ, წინასწარი დაკავების საკნიდან გამოსული სანდრინი მამამისის საფლავთან „გამოფხიზლდა“. მას სრულიად არ ახსოვდა, თუ როგორ მივიდა სასაფლაოზე, საძულველ საფლავთან. საშინელ წვიმაში

გალუმპულს, იქ ყოფნის არანაირი სურვილი არ ჰქონდა. ვერც მიხვდა როგორ აღმოჩნდა იმ ადგილას, თითქოს მონუსხული. შეშინებულმა იმ აზრით, რომ მომავალშიც შეიძლება გაუცნობიერებელი ქმედება ჩაიდინოს (მამის მკვლელობის გარემოებები), სანდრინმა გადაწყვიტა დახმარებისათვის მიემართა.

თერაპიამ შესაძლებლობა მისცა სანდრინს გაეგო მისი პათოლოგიის შესახებ, გარკვეულიყო მისი პიროვნული დისოციაციის ასპექტების უმრავლესობაში და დაეწყო ახალი ცხოვრება[4].

[4] მარტინ ნისი, პიერ საბურენმ როდესაც ოჯახი თელავს

თავი 1-7

რატომ არ ესმის ზოგიერთ მამას, როდესაც შვილი ითხოვს შველას?

ხალხი, რომელიც დღეს უნდა მივიღო ბუტ-შომონის ცენ-ტრში, შორიდან მოდის. მართალია, ისინი საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობენ, მაგრამ არჩიეს, ჩვენთვის მოემართათ, რათა მათი ამბავი არ გახმაურდეს.

მათი ისტორია ბანალურია სისასტიკის თვალსაზრისით. ამ წყვილს ჰყავს თერთმეტი წლის შვილი, პოლი. სამი კვირის წინ, პოლმა ტირილით მიმართა მათემატიკის მასწავლებელს. მან უამბო რ.-ის, ოჯახის ახლობლისა და მეზობლის მხრიდან ალერსის შესახებ. დროულად მიიღო ზომები ბავშვთა დაცვის სამსახურის ყველა მუშაკმა. სკოლის ექიმმა სასწრაფოდ მიაწოდა ინფორმაცია რეს-პუბლიკის პროკურორს. სკოლის თანადგომის სამსახურ-მა მშობლებს შესთავაზა ბავშვის მიყვანა ფსიქოთერაპევ-ტთან და, მსხვერპლის ინტერესებიდან გამომდინარე, საჩივრის შეტანა აგრესორის წინააღმდეგ.

მამის რეაქცია იყო არასწორი. სამწუხაროდ, ეს არის პედოფილიის მსხვერპლი ბავშვის მშობლების ბუნებრივი რეაქცია. გულახდილი აღიარებით მიღებული დარტყმა იმდენად სასტიკია, რომ ზოგირთს უჩნდება სურვილი, თავის დაცვის მიზნით, მოახდინოს ფაქტების მინიმიზა-ცია, რათა „ჩაახშოს სკანდალი“.

ახალგაზრდა მსხვერპლის მამა დელიკატურ სიტუაციაში აღმოჩნდა: იგი კარგად იცნობს აგრესორს, რომელიც მისი ერთ-ერთი ახლო მეგობართაგანია. მას აქვს გულ-წრფელი სიმპათია ამ ადამიანის მიმართ. იგი ვერ ხედავს

მასში პედოფილს, რომელიც მას დაუახლოვდა შვილის გაუპატიურების განზრახვით. გარდა ამისა, მამა არის მუნიციპალური მრჩეველი და შიშობს, რომ მომხდარის გამო დაწყებული მითქმა-მოთქმა მისთვის გამანადგურებელი არ აღმოჩნდეს.

ყველაფრის მიუხედავად, იგი თანხმდება, მიიყვანოს პოლი ფსიქოთერაპევტთან, რომელიც ურჩია სკოლის თანადგომის სამსახურმა. ფსიქო-სამედიცინო-პედაგოგიური ცენტრის ფსიქოთერაპევტმა, თავის მხრივ, შესთავაზა ოჯახური თერაპიის მეთოდი. თავდაჯერებული და მუდმივად საზოგადოების წინაშე მყოფი ადამიანისთვის, ოჯახური თერაპია აღმოჩნდა შიშის მომგვრელი. მან უხალისოდ და ყოყმანით სთხოვა თავის მეუღლეს, დაგვკავშირებოდა და ეზრუნა ისეთი ცენტრის შერჩევაზე, რომელიც იქნებოდა აღიარებული, მაგრამ მათ ქალაქს მოშორებული. მე ისინი მივიღე რამდენიმე დღის შემდეგ. ძალადობის აღიარებას ერთ თვეზე ნაკლები დრო დასჭირდა. ამ საქმეში ეს არის მეტად გონივრული ვადა.

პირველი შეხვედრისთანავე დავაფასე ის ძალისხმევა, რაც ამ ადამიანს ჩვენთან მოსასვლელად დასჭირდა. იგი ეწინააღმდეგებოდა საკუთარ თავს, ვერ ბედავდა საუბარს მისი შვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე, რის შესახებ არავისთვის მოუყოლია თერაპევტების გარდა. მის გამომეტყველებაში სირცხვილის გრძნობა იკითხებოდა. მისი შემყურე, პოლი ვერ ლაპარაკობდა.

ჩემი, როგორც თერაპევტის სამუშაო, მიმართული იქნება ძალადობით გამოწვეული შოკის მდგომარეობაში მყოფი ოჯახის გრძნობების გაცოცხლებაზე. თუკი ოჯახში ეს განცდა დარჩება, რომელიც მომხდარს საიდუმლოდ შეინახავს, ბავშვს მთელი სიცოცხლის ექნება გაურკვე-

ველი დამოკიდებულება მოძალადის მიმართ და ვერ მოახერხებს მისგან თავის დაღწევას.

ერთად, ჩვენ აღვადგენთ მომხდარის მიმდინარეობას, პოლს საშუალებას მივცემთ, ისაუბროს იმაზე, რაც შეემთხვა. დედას და მამას მივცემთ საშუალებას, გამოხატონ თავიანთი გრძნობები, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ამჯობინებენ სიბრმავეს პედოფილის მიმართ.

მშობლები სინანულით გაიხსენებენ, რომ არ მიაქციეს ყურადღება შვილისგან მიღებულ მინიშნებებს (სკოლაში შედეგების გაუარესება, უარი ფეხბურთის თამაშზე, ხშირი ტირილი). მამა, დედა და შვილი ერთმანეთს ეტყვიან სიმართლეს, რაც დიდი ხნის წინ უნდა ეთქვათ, და აღადგენენ ოჯახურ ურთიერთობებში გაჩენილ ბზარს .

დედის გაოგნებული გამოხედვის შემყურე, გრძნობების ნაკლებად გამომხატველი ბუნების მქონე მამა, საბოლოოდ, შვილს აიყვანს ხელში, დაამშვიდებს და გაიზიარებს მის განცდებს. ასე გაუჩნდება მამას ახალი, შვილის დამცველის დამოკიდებულება. იგი დათანხმდება აგრესორის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას, არა სამაგიეროს გადახდის მიზნით (რასაც მანამდე გაურბოდა), არამედ სიტუაციის სწორად შეფასებისათვის. შედეგად, მოხდება ბავშვისთვის მსხვერპლის სტატუსის აღიარება, ხოლო აგრესორისთვის - საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა და თერაპიის კურსის გავლა მსგავსი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით.

მამა გადალახავს ბოლო დაბრკოლებას და ისაუბრებს მის ახლო გარემოცვაში იმაზე, თუ რა შეემთხვა მის შვილს. მეტიც, იგი აამოქმედებს თავის კომუნაში საინფორმაციო ქსელს მცირეწლოვნების მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციის მიზნით.

თავი 1-8

რატომ არჩევს დედა დუმილს ინცესტის შემთხვევაში?

დედა იშვიათად არის ინცესტის გამომწვევი. ამასთანავე იგი ხშირად არის ოჯახურ კერაში მომხდარი სექსუალური ძალადობის აქტიური ან პასიური თანამონაწილე. რა თქმა უნდა, არსებობენ შვილის დამცველი დედებიც. საუბარია იმ დედებზე, რომლებიც მეუღლის ან მეგობრის მხრიდან შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის შემჩნევისთანავე წყვეტენ მოძალადესთან ურთიერთობას და მის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვთ. თუმცა, ასეთი დედები უმცირესობას წარმოადგენენ. როგორც წესი, დედებს, რომელთა შვილი აღმოჩნდა ძალადობის მსხვერპლი, აქვთ გაორებული, პასიური დამოკიდებულება მსგავსი ფაქტის მიმართ. დაკითხვისას ისინი ამბობენ, რომ ვერ გააცნობიერეს მომხდარი. ასეთ პოზიციაში მყოფი დედა უარს ამბობს, რომ მისცეს ჩვენება მეუღლის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ჩვენების მიცემის შემთხვევაშიც კი, ის არ წყვეტს მეუღლესთან ურთიერთობას, ამ უკანასკნელის პატიმრობაში ყოფნის დროს. დედის ამ ტიპს ვუწოდებთ „ინცესტის თანამონაწილე“ დედას.

მიწვეულმა მარკ-ოლივიე ფოჟილის გადაცემაში „ყველას ვერ მოვეწონებით“ (სატელევიზიო გადაცემა არხზე France 3), სადაც ვსაუბრობდი ვირჟინი ტალმონის წიგნის შესახებ „ინცესტი“, მიმოვიხილე მსხვერპლთა პოსტ-ტრავმატული დისოციაციის შემთხვევები. ავტორმა მოხერხებულად გამოთქვა ის, რაზეც აქამდე არ საუბრობდა. მისი უნარი, დაანახოს დედას, თუ როგორი მძიმე იყო მისგან ფსიქოლოგიური მიტოვება, ბევრ მსხვერპლს დაეხმარება დაარღვიოს დუმილი

„საკუთარი დედა არ მიჯერებს (...). ფსიქოლოგი, ფსიქოანალიტიკოსი, მთელი დღე ურთიერთობს განსაცდელში მყოფ ბავშვებთან, ხან ერთ და ხან მეორე სემინარზე, ფსიქოლოგიაა ყველაფრის ცენტრი, და ამ დროს შენ, შენ საკუთარ შვილს ვერ მატყობ ვერაფერს. ვერაფერს. მართალია, ხუთი წელია ხარ ანტიდეპრესანტების ქვეშ, მერე? კარგი, ხუთი წელია მკურნალობ. მე, შვიდი წელია რაც ვარკვევ, და არაფერი გაქვს ჩემთვის სათქმელი?“, ამბობს ვირჟინი ტალმონი.

ხანდახან, ფსიქოლოგიური შეთქმულება აგრესორთან, გულგრილობის პოზიციაზე უარესია.

დიანამ დიდი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა, დაშორებოდა თავის მეგობარს, რომელიც მის შვილს, პატარა გოგონას, მისგან დაუმალავად აუპატიურებდა. პროცესის განმავლობაში შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს დედა მოქმედებდა მხოლოდ შვილის ინტერესებიდან გამომდინარე. მაგრამ, დაკავების შემდეგ, დიანა რეგულარულად აკითხავდა მის მეგობარს ციხეში და რაც ყველაზე უფრო გასაკვირია, შვილი თან დაჰყავდა. დედა ამას ხსნიდა მოსაზრებით, რომ გარეუბნის მატარებელში თავს იცავდა პოტენციური სექსუალური თავდამსხმელებისგან.

დედას, რომელსაც თვითონ აქვს ბავშვობაში გადატანილი ძალადობა, ან შესწრებია სექსუალური ძალადობის აქტს, სირთულე ექმნება არჩევანის გაკეთებაში მამაკაცს და ბავშვს შორის. ასეთი დედები თითქოს ყოყმანობენ ორ „კანონმდებლობას“ შორის: ოჯახსა და ძალადობრივ ტირანიას შორის. სინამდვილეში, ოდესღაც ძალადობის მსხვერპლ დედას, არ აქვს გათავისებული თავისი შვილის მიმართ დედის როლი. გოგოს შემთხვევაში, მან შეიძლება იგი აღიქვას სხვა ქალად, ანუ თავისი ქმრის

საყვარელ ქალად და „დახუჭოს თვალი“ მის საქციელზე.

ზოგიერთი მოსამართლე ამ ტიპის პასიურ დამოკიდებულებას მიიჩნევს დანაშაულად, რადგან სწორედ ეს წარმოადგენს სასტიკი მოპყრობის ძირითად ფაქტორს. მსგავსი დამოკიდებულება არა მხოლოდ ამარტივებს, არამედ ამწვავებს ბავშვის ტრავმას, რომელიც არ იყო დაცული დედის მიერ.

მოსამართლეთა უმრავლესობა, მიუხედავად ყველაფრისა, დედის ამ ტიპს „კარგ“ დედად ხედავს და მას იცოდებს. სინამდვილეში, ამ უკანასკნელს შვილისადმი სიყვარული არ ამოძრავებს. მისი ამბივალენტურობა (გაორება) ბავშვის ტანჯვას აძლიერებს და ახანგრძლივებს.

მსგავსი დანაშაულის პრევენციის მიზნით, სამართლიანი იქნებოდა ამ ტიპის დედისთვის პირობითი სასჯელის გამოტანა და მისი მკურნალობა, რაც მას დაეხმარებოდა, სავარაუდოდ, უკეთ გაეცნობიერებინა საკუთარი ბავშვობის ისტორია.

თავი 1-9

შეიძლება თუ არა ბავშვმა მოიგონოს სექსუალური ძალადობის შესახებ?

ყველას შეიძლება დაებადოს მსგავსი კითხვა. ბავშვთან ურთიერთობისას, ყველას შეგვიმჩნევია ბავშვის უნარი, გადაასხვაფეროს ყოველდღიურობა. მათი სიცოცხლის პირველი წლები ოცნებისა და ზღაპრის სამყაროში მიმდინარეობს, სადაც კატას შეუძლია გააღოს კარადა და ივახშმოს დროზე ადრე, ან ჰყავდეს მასწავლებელი, რომელიც არასოდეს აძლევს საშინაო დავალებას. ფაქტია რომ, ბავშვი იგონებს და თხზავს ამბებს მისი მდიდარი ფანტაზიის წყალობით

ბავშვის მიერ გამოგონილი ან გადასხვაფერებული ყველა ამბავი კავშირშია მის ასაკთან, მისთვის კარგად ნაცნობ გარემოსთან ან მის საქმიანობასთან. უფროსებს შორის სექსუალური ურთიერთობის სფერო მისთვის სრულიად უცნობია და სცდება მისი გაგების საზღვრებს. ბავშვს არ შესწევს უნარი წარმოიდგინოს და დაწვრილებით აღწეროს სექსუალური აქტი, თუ იგი მას არ შესწრებია, ან თავად არ არის ძალადობრივი ზემოქმედების მსხვერპლი. ეს უდავო არის ჭეშმარიტებაა.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ბავშვს შესწევს უნარი, შეთხზას სექსუალური ხასიათის ისტორია და რომ მისი შთაგონებისათვის საკმარისი იქნებოდა უფროსებს შორის შემთხვევით სექსუალური აქტის ან ტელევიზიით პორნოგრაფიული ფილმის ნახვა.

ეს მოსაზრება არ არის გამართლებული თუნდაც იმიტომ, რომ უფროსებს შორის სექსუალური ურთიერთობის შემსწრე ბავშვი ყოველთვის განიცდის გაურკვევლობას. მშობლების ყვირილი, მათი სხეულების მდგომარეობა, ბავშვისთვის უკავშირდება ტკივილის განცდას და დანახული მას გაიგივებული აქვს ჩხუბთან. სასქესო ორგანოების როლი მისთვის არ არის მთავარი. მისი აღქმა იმდენად სცილდება ნანახ სურათს, რომ იწვევს მასში მღელვარებას და შეუძლია დაუკავშიროს მხოლოდ ბავშვური გულუბრყვილო ფიქრები.

პორნოგრაფიული ფილმის ადრეულ ასაკში ნახვა ასევე იწვევს ვიზუალურ შოკს, ბავშვი აღწერს მას წყვეტილად და გამოხატულია მისი მღელვარება.

ბავშვს, რომელიც საუბრობს სექსუალური ძალადობის ფაქტზე, სრულიად ეცვლება გამომეტყველება. იგი ვერ საუბრობს მისთვის ჩვეული მანერით და იგრძნობა სიმძიმე, მოდუნება და შიში. იგი საუბრობს წყვეტილად, შეჩერებებით. ბავშვს ხშირად აღენიშნება „ჩავარდნები“ მეხსიერებაში. იგი სასოწარკვეთილია. თუკი ბავშვი იყო გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის მონაწილე, მას უჭირს საუბარი, იგი ბორძიკობს და დარცხვენილია. თუ უფროსი დროულად ვერ მიხვდა, რისი თქმა უნდა ბავშვს, იგი შეიძლება ჩაიკეტოს საბოლოოდ.

სქესობრივ ცხოვრებას ადრეულად ნაზიარევი ბავშვებიც კი, ვერ ხვდებიან გაუკუღმართებულ სექსუალურ ურთიერთობას და არ შესწევთ უნარი, მოიგონონ ამბავი ამ საკითხზე.

ბავშვი ასევე ვერ ხსნის ძალადობის შედეგად გაჩენილ ზოგიერთ თავის მიდრეკილებას, როგორიცაა, მაგალი-

თად, განმეორებითი, ხშირი, საჯაროდ დასანახი მასტურ-ბაცია. იმ შემთხვევებშიც კი, თუ იტანჯებიან ამ მდგომა-რეობის გამო, ბავშვები ამჯობინებენ დუმილს, სანამ უფროსები არ გამოკითხავენ, თუ ვინ დაანახა მათ ეს ამაზრზენი ჟესტები.

ზოგიერთი ასევე მიიჩნევს, რომ ბავშვის მონათხრობი შეიძლება გამოწვეული იყოს ოიდიპოსის კომპლექსით. ეს მტკიცებულებაც არ შეესაბამება სინამდვილეს. იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც ფროიდმა დაუკავ-შირა ოიდიპოსის კომპლექსი, ბავშვმა შეიძლება გამოთ-ქვას დედასთან ან მამასთან დაქორწინების სურვილი. ეს არის ნორმალური ეტაპი მის ემოციურ განვითარებაში. სექსუალური აგრესია ბლოკავს ბავშვებში ოიდიპოსის კომპლექსის ბუნებრივ პროცესს. მისი განვითარება წყდება და ფოკუსირებულია მხოლოდ ტრავმატიზმზე.

სექსუალური ფანტაზიების არსებობა სრულებით ნორ-მალური მოვლენაა, მაგრამ ძალიან ცოტა ბავშვი ყვება ამის შესახებ. მათი უმრავლესობა ის ბავშვები არიან, რომლებიც აღიარეს სექსუალური ძალადობის მსხვერპ-ლად, ან ბავშვები, რომლებიც გაიზარდნენ საეჭვო გარე-მოში, რომელიც საზიანოდ მოქმედებს მათ ფსიქიკაზე, მაგალითად, ისეთ გარემოში, სადაც ხდებოდა ინცესტი, მაგრამ თვითონ ბავშვი არ იყო ამის მონაწილე.

ფანტაზიებსა და რეალობაზე ექსპერტებს აქვს გასხვა-ვებული შეხედულებები. ფროიდის გარეშე, მსოფლიო შეიცვლებოდა... პირველმა მან გაბედა უფროსი ადამიანის პრობლემების დაკავშირება მომწიფების ასაკამდე გადა-ტანილ სექსუალურ ტერორთან, შოკთან, ან ნაადრევ სექსუალურ სიამოვნებასთან. მაგრამ მან იმდენად განა-სხვავა ეს დამოკიდებულებები, რომ ბევრი იბნევა.

ზოგიერთი სისტემატურად ეჭვს ქვეშ აყენებს ბავშვის აღიარებით ჩვენებას იმ მოსაზრებით, რომ იგი ხშირად უარყოფს მომხდარს. უამრავი ბავშვი ვერ ბედავს თავისი ჩვენების დაცვას, მისი აღიარების შედეგების გაცნობიერების შემდეგ. ამ მოსაზრების მხარდამჭერები ვარაუდობენ, რომ ბავშვის ჩვენება ხშირად ერთ-ერთი მშობლის მიერ არის ნაკარნახევი, რომელსაც სურს, ერთგვარად გაუსწორდეს ოჯახის სხვა წევრს. მაგალითად: დედა, რომელსაც უნდა განქორწინება ბრალის წაყენებით, ერთ-ერთი შვილისგან მამის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას მოითხოვს. ზოგჯერ მშობელი ბავშვს იყენებს ახლობელი ადამიანის წინააღმდეგ...

ეს არგუმენტები ნამდვილად არ არის ძლიერი. პრაქტიკულად შეუძლებელია, გააგებინო ბავშვს, თუ რაში მდგომარეობს სექსუალური ძალადობა. როგორ უნდა ასწავლო ზეპირად, შემდეგ დამაჯერებლად მოაყოლო გაკვეთილი, რომლის შინაარსი არ ესმის? თუ ვინმე დასაშვებად მიიჩნევს ბავშვის მიერ საკუთარ თავზე მსგავსი ამბის მოგონებას, საჭიროა სიღრმისეული გამოძიება, რადგან ხშირად დგინდება, რომ ოჯახი არის ზედმეტად ეროტიზებული, ან ამ ოჯახში არის ინცესტის შემთხვევა.

არის შემთხვევები, როდესაც ოჯახი ზემოქმედებას ახდენს ბავშვზე და აიძულებენ ბავშვს, მისცეს ხელახალი ჩვენება, რომ არ შელახოს ოჯახის ღირსება. ზეწოლა მოდის ოჯახის წევრებისგან, ან თვით აგრესორისგან. ზეწოლას თან ახლავს ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარა, რის საფრთხე და რეალურობა კარგად არის ნაცნობი ბავშვისთვის. ეს საკმარისია, რომ ბავშვს სრულიად საპირისპირო ათქმევინონ.

ჩვენების უარყოფა შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს

პოლიციის დაკითხვით. პოლიციელები აფრთხილებენ ბავშვს მისთვის და ბრალდებულისთვის მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რითაც ხშირად აფრთხობენ ბავშვს.

პოლინი, არის თერთმეტი წლის პატარა გოგო. რამოდენიმე დღის განმავლობაში იგი უწევდა წინააღმდეგობას ჟანდარმს, რომელიც განუწყვეტლივ უტარებდა დაკითხვას, სანამ ბავშვმა ჩვენება არ შეცვალა. კმაყოფილმა შედეგით, მან დაურეკა აღმზრდელს და ამცნო „საქმის ახალი გარემოებები". გაოგნებულმა აღმზრდელმა გაიგონა პოლინის მიერ დათრგუნული და მორჩილი ტონით დასმული კითხვა: „ხომ ვთქვი რაც გინდოდა, შეიძლება წავიდე?".

პატიმრობის ვადისგან განსხვავებით, დაკითხვა არ არის რეგლამენტირებული. დაკითხვისას ბავშვზე განხორციელებული მსგავსი ზეწოლის შედეგად, რომელსაც არ არის აუცილებელი, რომ ატარებდეს ჟანდარმი, ბავშვი შეიძლება „გატყდეს". ანუ, მან შეიძლება უარყოს ჩვენება, ტყუილი თქვას ან დაიბრალოს რამე. საქმე ეხება „საჭიროებიდან გამომდინარე ტყუილს", მცდელობას, ოჯახს დაუბრუნდეს მოჩვენებითი წონასწორობა. ბავშვი კიდევ ერთხელ ცდილობს, თვითონ მოხსნას დაძაბულობა ოჯახში და წარდგეს არა სასტიკი მოპყრობის მსხვერპლის, არამედ ტყუილში მხილებულის სახით.

თუ ვერავინ მიხვდება მსგავსი სიცრუის მიზეზს, რაც არცთუ ისე იშვიათია ბავშვებში, რომლებიც მიჩვეული არიან ტერორს მშობლების მხრიდან და ემორჩილებიან მათ ტირანიას, ვერაფერი შეუშლის ხელს ბავშვის ისევ აგრესორის გარემოცვაში მოხვედრას და ეს უკანასკნელი ხშირად აზღვევინებს ბავშვს მისი ამბოხის გამო.

თერაპიაში ოცწლიანი გამოცდილების საფუძველზე,

ხელახლა დავადასტურებ ფუნდამენტურ ჭეშმარიტებას: ბავშვი არ იგონებს სექსუალურ ძალადობას. მცდარია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბავშვის მიერ ადრე მიცემული ჩვენების უარყოფა ან შეცვლა ძალადობის ფაქტების „გამოგონებაზე“ ან გადაჭარბებაზე მიუთითებს. ბავშვის ამგვარი უკანდახევა უმეტესწილად დაკავშირებულია პრობლემებთან და დარღვევებთან მის გარემოცვაში.

ყალბი ბრალდების ამოცნობის ცოდნა

პროფესიონალები ხშირად აწყდებიან სექსუალური ძალადობის ბრალდებებს ან პრეზუმპციას, როდესაც მათ აქვთ სერიოზული ეჭვები, რადგან არ არსებობს ქცევის ზუსტი სქემა და იშვიათია სწორად დასმული დიაგნოზი ფიზიკური დაზიანების შესახებ. მაგალითად, როდესაც ბრალი ედება სრულიად შეულახავი რეპუტაციის მქონე პიროვნებას, რომელსაც აქვს კარგი მეტყველების უნარი და შეუძლია დამაჯერებლად უარყოს დანაშაულის ჩადენა. ამასთანავე, თუ პიროვნებას აქვს დადებითი დამოკიდებულება სავარუდო მსხვერპლთან. ეს სულაც არ გამორიცხავს სექსუალური ძალადობის შესაძლებლობას. აუცილებელია, ამ შემთხვევებში პროფესიონალებმა გაითვალისწინონ, რომ მათი ინტუიცია შეიძლება იყოს შემაცდენელი.

რა თქმა უნდა, ყალბი ბრალდების შემთხვევები არსებობს. ჩვენი ვარაუდით, ეს შეადგენს ბრალდებათა სრული რაოდენობის 5-დან - 10% -მდე. ყალბი ბრალდება შეიძლება იყოს გამოწვეული ზიანის მიყენების სურვილით, ან იმ შემთხვევაში, თუ ერთერთ მშობელს სურს ბავშვის მეურვეობის დაკანონება. შესაძლებელია, ერთ-ერთმა მშობელმა დაადანაშაულოს მეორე სექსუალურ ძალადობაში. ძალიან რთულია იმის დადგენა, ყალბია თუ არა

ბრალდება. მაგრამ, არსებობს ყოველი შემთხვევისათვის დამახასიათებელი პირობები, რაც ეხმარება განასხვავონ იგი სამართლიანი ბრალდებისაგან. თუ უფროსი ადამიანი ამეორებინებს ბავშვს მის ნათქვამს, ბავშვის საუბარი, მეტყველების სტილი, ლექსიკა მისი ასაკისა და განვითარებისთვის შეუსაბამო იქნება.

ყალბი ბრალდების შემთხვევაში, ბავშვი ისაუბრებს ბევრად ნაკლებ დამახასიათებელ წვრილმანზე. იგი მექანიკურად იმეორებს ერთსა და იმავე ამბავს. თანმიმდევრობის შეცვლა მისთვის არის დამაბნეველი და იგი ვეღარ აღადგენს მოვლენათა მსვლელობას. ბავშვები, რომლებიც ნამდვილად არიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, არიან დარცხვენილი, შეშინებული, მორიდებული, ჩუმდებიან მოყოლისას. ამავდროულად, ბავშვები, რომლებიც იგონებენ ძალადობის ამბავს, არიან ემოციურად ნაკლებად დამაჯერებლები და იმეორებენ ერთსა და იმავე სიტყვებს. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მშობელთა ზემოქმედების დამადასტურებელი ფაქტები, ან რომ მათ მიაწოდეს დამატებითი დეტალები, შესაძლებელია ფიქრი ყალბ ბრალდებაზე. ასევე მნიშვნელოვანია, არსებობს თუ არა ყალბი ბრალდების მოტივი. მოზრდილი ბავშვები მიმართავენ ყალბ ბრალდებას მაშინ, როდესაც მათ სურთ ზიანი მიაყენონ ერთ-ერთ მშობელს ან სურთ თავიანთი საცხოვრებელი პირობების შეცვლა.

მოზარდები უფრო ხშირად მიმართავენ ცრუ ბრალდების ხერხს საჭიროების შესაბამისად.

ბერანჟერი, 15 წლის მოზარდი, რომლის მამას ბავშვობა გამოვლილი აქვს ალჟირის ომის დროს. იგი მუდმივად ძალადობდა ფიზიკურად თავის შვილებზე, განსაკუთრებით ბერანჟერზე. სასოწარკვეთილმა გოგონამ მოიგონა

ინცესტის ამბავი, რათა ჩივილით მიემართა სოციალური სამსახურისათვის. მართლაც გამოვლინდა ფიზიკური ძალადობის ფაქტები, მაგრამ ინცესტი არ დადასტურდა. მამა წარსდგა სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ბერანჟერმა უარი თქვა ყველა ბრალდებაზე, იგი არ უარყოფდა გაუპატიურებას, მანამდე სანამ მამა არ დათანხმდა თერაპიის კურსის გავლას შვილთან ერთად. სოციალური მუშაკების დახმარებით მოხერხდა მამის და შვილის დაახლოება. აღელვებულმა დედამ, რომელიც მხარს უჭერდა ბერანჟერს, საბოლოოდ აღიარა, რომ მან გამოიგონა გაუპატიურების ფაქტი დახმარების მოთხოვნის გასამძაფრებლად. ფიზიკური ძალადობის გამო, მამას მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა თხუთმეტი თვით. თერაპიის დროს, ბერანჟერმა თქვა: „ეს რომ არ გამეკეთებინა, მოვკვდებოდი!“. გოგონამ აჯობა, აიძულა მამა შეეცვალა აღმზრდელობითი სისტემა და უკეთ გაეგო მისი. მაგრამ რის ფასად?

მარტინ ნისი

მართლმსაჯულების რესურსები

თავი 2-1

ბავშვთა დაცვა: რა შეიცვალა XIX საუკუნის შემდეგ?

1997 წელი გამოცხადებულია საფრანგეთში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის წლად. საბედნიეროდ, მართალია დაგვიანებით, მაგრამ მოხდა არსებული რეალობის ეროვნული დონის პრობლემად აღიარება, წლების მანძილზე ამ პრობლემას ვერც ვხედავდით, ვერც მისი სათანადო პრევენცია მოვახდინეთ. თერაპიაში ჩვენი წინგადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ჩვენი დასკვნები არ განსხვავდება 1886 წელს დოქტორ პოლ ბერნარის მიერ გაკეთებული დასკვნებისგან. მის სადისერტაციო სამედიცინო ნაშრომში გაშუქებულია მცირეწლოვანი ბავშვების მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შემთხვევების საზარელი სტატისტიკა. (იხ. „სექსუალური ძალადობის სიხშირე“). რა გზა არის განვლილი მას შემდეგ?

1880 წლიდან XX საუკუნის დასაწყისამდე სისხლის სამართლის კოდექსში თანმიმდევრულად დამატებულ იქნა მრავალი სპეციფიკური დანაშაული, რაც ბავშვთა დაცვის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა: 1887 წლიდან სკოლებში აიკრძალა მოსწავლეების ფიზიკური დასჯა; 1889 წლიდან ბავშვის მიმართ ფიზიკური სასჯელის გამოყენების გამო მშობლის უფლებების შეზღუდვა

დაწესდა, ხოლო 1898 წლიდან განისაზღვრა ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობრივი ქმედება.

1912 წლიდან, ბავშვთა საქმეების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიქმნა სპეციალური თანამდებობა - ბავშვთა მოსამართლე. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ იმ ეპოქაში სასამართლო, ისევე როგორც მოქალაქეთა უმრავლესობა, ტრადიციული ოჯახის კონცეფციის მიმდევარი იყო და მთლიანად ეფუძნებოდა ოჯახის უფროსის ავტორიტეტს, ან უფრო დაზუსტებით მამაკაცის უფლებას.

მიიჩნეოდა, რომ ოჯახი არის „პირადი საქმე“, რომელსაც მხოლოდ ოჯახის უფროსი განაგებს, ან ხშირად, მისი პირდაპირი წინაპარი. საზოგადოებას არ ჰქონდა ოჯახის საქმეში ჩარევის უფლება. ოჯახი არ აღიარებდა მისი წევრების დამოუკიდებლობას. ქალს ეკრძალებოდა მუშაობა მეუღლის თანხმობის გარეშე. გარდა ამისა, ქალისთვის არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა ხელს უშლიდა მისი უფლებების აღიარებას საკუთარ ოჯახში.

ომის წინა პერიოდში, შეიქმნა ბავშვთა დაცვის საჯარო სამსახური და თანდათანობით ჩამოყალიბდა ოჯახის დაცვის თანამედროვე სისტემა. ტრადიციული ოჯახის იდეოლოგიიდან გამომდინარე, რაც დომინირებდა იმ პერიოდში, ოჯახის პოლიტიკის ძირითად საზრუნავს წარმოადგენდა გამრავლება და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის დაცვა.

1945 წელს ხდება მამის უფლებების რეგლამენტირება. ჩნდება უფრო გახსნილი, ღია ოჯახის კონცეფცია, დამყარებული მისი ყოველი წევრის უფლებებისა და იდენტობის პატივისცემაზე. ქალი (ცოლი) თავისუფლდება ქმრის მეურვეობისგან, ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები

აღიარებენ ბავშვის განვითარების აუცილებლობას საზოგადოებაში, განსაკუთრებით ოჯახში.

მეოცე საუკუნის 50-იან წლებში სამეცნიერო კვლევებმა ყურადღება მიაპყრო ბავშვის მიმართ ძალადობრივ ქმედებებს. მიუხედავად გარკვეული წინსვლისა თერაპიისა და სამართლებრივი კუთხით, საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა, დაენახა ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებული დრამის სიმძაფრე.

გავიარეთ თუ არა ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ეტაპი? სხვადასხვა ეკონომიკურმა კრიზისმა, რაც გამოიარა საფრანგეთმა, გაამწვავა ინდუსტრიულად განვითარებული საზოგადოების დისტრესი. პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა კონვენცია, ჩვენი სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი ფუნდამენტთაგანი, დაგვეხმარა იმის შეგნებაში, რომ საზოგადოება, რომელიც თავს მიიჩნევს განვითარებულად, არ შეიძლება შეეგუოს ძალადობას საკუთარ მიწაზე. ნამდვილი დემოკრატია ასევე გამოიხატება ბავშვის უფლებათა კონვენციის დაცვაში. ამ იურიდიულ დოკუმენტს მხარი დაუჭირეს ნიუ იორკში 1989 წელს, ხოლო საფრანგეთის მიერ მისი რატიფიკაცია მოხდა 1990 წლის 20 ნოემბერს.

სწორედ ამ წინსვლის შედეგია1989 წლის 10 ივლისის კანონი, რომელიც გულისხმობს ოჯახის დემოკრატიზაციას. ამ კანონის საფუძველზე შექმნილი სატელეფონო ხაზის (119) წყალობით, ბავშვს საკმარისი დამოუკიდებლობა ენიჭება. მას საშუალება ეძლევა, მიმართოს დახმარებისათვის საზოგადოებას, რომელიც მის უფლებებს და ინტერესებს დაიცავს. მშობლები ვერ შეუქმნიან მას დაბრკოლებას. საქმე არ ეხება ოჯახური კავშირის გაუქმებას, ან ამ უკანასკნელის არსებობის აუცილებლობის

ეჭვის ქვეშ დაყენებას. საუბარია, ამ კავშირის (არასრულ-ფასოვნების) დეფიციტის შემთხვევაში, ბავშვისთვის ხელ-შეწყობაზე, ჰქონდეს უსაფრთხო ბავშვობა და ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

გასაგებია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი შექმნილია მსჯავრდებულისთვის სასჯელის განსაზღვრისათვის და არა მსხვერპლისთვის დახმარების გასაწევად. ამასთანავე, 1998 წლის 17 ივნისის კანონი ითვალისწინებს სექსუალუ-რი დანაშაულის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას: მსხვერპლის ასაკს. 1999 წლის 1 ივლისიდან დასაშვები გახდა სექსუალური ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის მიერ მიცემული ჩვენების ვიდეო/აუდიო ჩანაწერის გამოყენება. მიუხედავად ამისა, 2003 წელს, აღძრული საქმეების მხოლოდ შემთხვევების 7%-ში ჩანს მისი ეფექტური გამოყენება, გვახსენებს ბავშვთა დამ-ცველი, კლერ ბისე. ყოველ მეცადინეობაზე ვიმეორებ, უფრო ზუსტად დაჟინებით მოვითხოვ სოციალური მუშა-კებისგან, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ისარგებ-ლონ ბავშვის პროცესზე თანხლების უფლებით და მოით-ხოვონ ბავშვის მიერ მიცემული ჩვენების ფირზე აღბეჭდ-ვა.

რა თქმა უნდა, ბავშვის რეაბილიტაცია არ ხდება უშუა-ლოდ სასამართლო პროცესზე, მაგრამ მოსმენისა და დაც-ვის პირობების გაუმჯობესება დადებითად მოქმედებს მის მდგომარეობაზე. რეაბილიტაცია მიმდინარეობს თერაპიის არსებული სოციალური მხარდაჭერის პარალელურად.

ამრიგად, 1998 წლის 17 ივნისის კანონს მოჰყვა მსხვერპ-ლის „ფსიქოლოგიური კომფორტის“ გაუმჯობესება მოსმე-ნის დროს. ბავშვს მიეცა უფლება, პროცესის მსვლელო-ბის დროს ჰყავდეს თანმხლები პირი, რომელსაც იგი

ენდობა. ამავდროულად, კანონი კრძალავს თანმხლები პირის გამოსვლას სასამართლო პროცესზე. მისი ფუნქცია შემოიფარგლება მხოლოდ ბავშვის თავდაჯერებულობის და რწმენის ამაღლებაში.

კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი - სისტემატურ სახეს იღებს სამედიცინო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. ეს ეხმარება ნაკლებად სპეციალიზირებულ მოსამართლეებს ისეთი რთული ფენომენის უკეთესად გარკვევაში, როგორიცაა აღქმის და გახსენების უნართა შეზღუდვა, რაც დამახასიათებელია სექსუალური ძალადობის აქტით გამოწვეული შოკისთვის. აღნიშნული ფენომენის გათვალისწინებით, მოსამართლეებს შეუძლიათ უკეთ შეაფასონ ამ ტიპის სისასტიკით გამოწვეული გამოხატვის სირთულე.

ჯერ კიდევ 1989 წლის კანონი გულისხმობდა სპეციალური ადმინისტრატორის დანიშვნას. გამარტივდა მისი ანაზღაურება, რაც იმ დრომდე წარმოადგენდა პრობლემას. ადმინისტრატორის საქმიანობა მეტად გავდა ნებაყოფლობითს, რაც საბოლოო ჯამში ზღუდავდა მათ არსებობას. ეს ადმინისტრატორი შეიძლება ყოფილიყო ფსიქოლოგი, ბავშვთა ექიმი, ოჯახის წარმომადგენელი, ან, საუკეთესო შემთხვევაში, ბავშვთა მოსამართლის მანდატით აღჭურვილი პირი. სავალდებულო გახდა ამ სფეროში პროფესიონალების სათანადო მომზადება. მოსამართლის ან ადვოკატის მეუღლეობა არ ნიშნავს, რასაც ხშირად ვაწყდებით, ამ როლის შესრულების შესაძლებლობას! რა თქმა უნდა, სოციალური მხარდამჭერის ფუნქცია წარმოიშვა „ქველმოქმედი ქალბატონების“ საქმიანობიდან. მაგრამ, მას შემდეგ განვითარდა და სპეცილურმა ადმინისტრატორმა უნდა შეასრულოს სავალდებულო როლი.

1998 წლის 17 ივნისის კანონით ასევე გამარტივებულია

მსხვერპლის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურება. რაც შეეხება სოციო-სამართლებრივი მეთვალყურეობის დანერგვას, რაც გულისხმობს რეციდივის თავიდან აცილების მიზნით მსჯავრდებულის კონტროლს აღმასრულებელი მოსამართლეს მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში, რასაც შეიძლება ერთვოდეს იძულებითი მკურნალობა. (სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 131-36-4).

1998 წლის 17 ივნისის კანონი ნაწილობრივ ითვალისწინებს თერაპევტის არჩევის თავისუფლებას. მსჯავრდებული ირჩევს მკურნალ ექიმს. ამასთანავე, მისი არჩევანი უნდა იყოს შეთანხმებული კოორდინატორთან. მუდმივი უთანხმოების შემთხვევაში, მკურნალი ექიმის შერჩევა წარმოებს აღმასრულებელი ოფიცრის მიერ. სინამდვილეში არ არსებობს „თავისუფალი არჩევანი“. რა გამოსავალია, სვამს კითხვას ბერნარ კორდიე, კრიმინალური სამსახურის სპეციალისტი, როდესაც პაციენტს არ აქვს მკურნალობის სურვილი და ამოძრავებს მხოლოდ იძულებითი მკურნალობის თავიდან აცილების სურვილი?

ბავშვობაში, ბრიტნის მამა მას ფიზიკურად ეხებოდა ყოველგვარი სექსუალური ძალადობის გარეშე, მაგრამ მისი მუდმივი დამცირების ფონზე. პატარა გოგონა მამას წინააღმდეგობას ვერ უწევდა. როდესაც ბრიტნი ოცი წლის გახდა, მან მამის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა სასამართლოში, ხოლო შემდეგ უკან დახევა გადაწყვიტა. სასამართლო პროცესის დღეს მან მოითხოვა პირადი შეხვედრა პრეზიდენტთან და მოითხოვა მამისთვის შეწყალება, პატიმრობის არიდება; და აი, რა მოხდა: მამას მიუსაჯეს პირობითი სასჯელი და იძულებითი მკურნალობა. მამა გავლენიანი ადამიანი იყო, მისი უბის წიგნაკი სავსე იყო პრესტიჟული მისამართებით. მამა ამაყად

უყვებოდა შვილს იმ მეგობარ ფსიქიატრთან ფინჯან ყავაზე შეხვედრის შესახებ, რომელიც მან სასჯელის მოსახდელად და იძულებითი მკურნალობის გასავლელად შეარჩია. შეშინებული და აცრემლებული ბრიტნი მიყვებოდა მამის გარყვნილებასთან დაკავშირებული უკვე მერამდენე მტკივნეული ეპიზოდის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი მას ძალადობის ფაქტის გამოვლენის საშუალებას აძლევდა, ბრიტნიმ გაჩუმება ამჯობინა. შემდგომ იგი მძიმედ დაავადდა.

აუცილებელია საკანონმდებლო ორგანოების მიერ ბავშვის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის თავისებურებების გაგება. ძალადობის ამ ფორმის აღიარებისთვის არ უნდა იყოს საჭირო იმის მტკიცება, რომ გამოყენებულია „ძალა, მუქარა, თავდასხმა“. ბავშვთან მიმართებაში, ეს ტერმინები კანონიდან ამოღებული უნდა იყოს, რადგან ისინი შემუშავებულია ზრდასრულ ადამიანზე განხორციელებული ძალადობის განსაზღვრისათვის. საჭიროა, სისხლის სამართლის კოდექსში გაკეთდეს შემდეგი სახის განსაზღვრა: „ნებისმიერი სექსუალური სახის აქტი ბავშვსა და მშობელს, ან ავტორიტეტის მქონე უფროს ადამიანს შორის განისაზღვროს როგორც სექსუალური ძალადობა“. ეს ნიშნავს, რომ „ბავშვსა და უფროსს შორის ყველანაირი სექსუალური კავშირის აკრძალვა უნდა იყოს აღიარებული აბსოლუტურ ნორმად და უნდა გამორიცხავდეს ყველა შესაძლო შეთანხმებას. დავაზუსტოთ, რომ საფრანგეთში სქესობრივი სიმწიფის ასაკად მიიჩნევა თხუთმეტი წელი. თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე სექსუალური სახის დანაშაულად ითვლება მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც უფროსი არის მსხვერპლის მეურვე.

თუკი ჩვენს საზოგადოებას გააჩნია სექსუალური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედებებით გამოწვეული დამანგრეველი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის ამბიცია, ამ ბრძოლის წარმართვისათვის პრაქტიკოსებს სათანადო განათლება უნდა მივცეთ. ამას მოითხოვს ბავშვთა მიმართ სექსუალურ მოძალადეთა მკურნალობის სპეციფიკა და მსხვერპლის მაღალი მგრძნობელობა.

თავი 2-2

მართლმსაჯულება და თერაპია: როგორ ვითანამშრომლოთ?

ყოველდღიურმა ურთიერთობამ მსხვერპლთან, მათი შიშებისა და დისტრესის დანახვამ, მათმა მღელვარებამ იმის გამო, რომ არ დაუჯერებენ ან ვერ გაუგებენ, და ბოლოს, უიმედობამ, ყოველდღიურმა ხვედრმა,- ყოველივე ამან დამარწმუნა, რომ: ყველამ ერთად, ფსიქოთერაპევტებმა და სოციალურმა მუშაკებმა, მოსამართლეებმა და ადვოკატებმა უკეთესად უნდა აღვიქვათ ძალადობის სისასტიკე და ვებრძოლოთ მას.

ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობის აქტის უგულებელყოფამ ან გაანალიზებამ, შესაძლოა, ბავშვებთან მომუშავე საუკეთესო სოციალური მუშაკი პრო-პედოფილად აქციოს. ბავშვებთან მომუშავე ზოგიერთი პროფესიონალი იჯერებს მსხვერპლი ბავშვის მშობლების მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ყველაფერი კარგადაა. მოძალადის „ფარული დამცველის“ პოზიციიდან, ამგვარი პროფესიონალები ქვეცნობიერად ხელს უწყობენ ძალადობრივი ქმედებების განხორციელებას, ძალადობის გაგრძელებას. ოჯახის სისტემის უკეთესად ცოდნა ხელს შეუწყობდა მსგავსი დანაშაულის აღმოფხვრას.

ბავშვთა დამცველის როლში, ხშირად მიწევს შეხვედრა საფრთხეში მყოფ ბავშვებთან მათ მშობლიურ სახლებში, მიმღებ ოჯახებში (famille d'accueil) ან ბავშვთა სახლებში - შემთხვევის სირთულიდან გამომდინარე.

პირველად, როდესაც შევეხე ინცესტის დრამას, ძალიან სწრაფად გავაცნობიერე, რომ მართლმსაჯულების კუთხით სათანადო ცოდნა არ გამაჩნდა. მე მეგონა, რომ

მხოლოდ ბავშვთა მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მიიღოს როგორც ადმინისტრაციული ან სამოქალაქო, ისე სამართლებრივი ხასიათის გადაწყვეტილებები; მხოლოდ რესპუბლიკის პროკურორს (პროკურატურას) აქვს უფლებამოსილება, ჩაატაროს სადამსჯელო ღონისძიებები.

პედოფილიის შემთხვევებს ჩვენ მივყავართ კრიმინალისა და დანაშაულებრივი ქმედებების სფეროში. მსხვერპლი მიმართავს თერაპევტს სამართლიანობის აღდგენის სურვილით, მაგრამ ისინი ხშირად უგულებელყოფენ სარჩელის შეტანის პროცედურას. პირველი კონსულტაცია ხშირად ეთმობა სარჩელის შეტანის პირობების განხილვას და მის აღძვრას. არის თუ არა გასული ვადა? სურს თუ არა მსხვერპლს, დაარღვიოს დუმილი, რომელშიც არის მოქცეული მოძალადის მიერ?

ზოგიერთ მსხვერპლს ამოძრავებს არა იმდენად მოძალადის ციხეში ჩასმის სურვილი, რამდენადაც ის, რომ მას სურს მიიღოს პასუხი კითხვაზე „რატომ“. ეს კითხვა მსხვერპლს ძალადობის პირველი შემთხვევიდანვე უჩნდება და ზოგჯერ ოცი წლის განმავლობაში შეიძლება ტანჯავდეს. სიმპტომები, რომლებიც მსხვერპლს აგრესიის დასაწყისიდანვე აღენიშნება, მოგონებებს უღვიძებს, რომლებიც ხშირად დღედაღამ აწუხებს. თერაპია მიმართული იქნება ამ პიროვნებისთვის მიყენებული ზიანის შეფასებისკენ.

ასეთი განცდების მიუხედავად, დანაშაულის გრძნობის, მუქარის, დასჯისა და მიტოვების შიშის, კერძოდ, დედის მიერ მიტოვების შიშის გამო, მსხვერპლი თავს იკავებს სარჩელის შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისგან.

მსხვერპლთა (დაზარალებულთა) უმრავლესობას სრულიად დაკარგული აქვს სამართლიანობის აღდგენის იმედი, რაც მომაკვდინებელია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. სამწუხაროდ, მათი ეს განცდა, ხშირ შემთხვევაში, მართლდება მართლმსაჯულების პროცესების არასწორი მიმდინარეობის გამო, რასაც მოჰყვება ძალიან არასასიამოვნო რეზონანსი და მოსახლეობას არასასურველ წარმოდგენას უქმნის მართლმსაჯულებაზე. ამ დროის მანძილზე მოსამართლეები ჩუმად არიან. ისინი იცავენ პროცესის დასრულებამდე კომენტარის გაკეთებისგან თავის შეკავების ვალდებულებას... რა გამოსავალია მათთვის, ვინც არ იცნობს მართლმსაჯულების (სასამართლოს) მექანიზმს.

გააცნობიერა რა, რომ ფრანგები ნაკლებად იცნობენ (არ ცნობენ) მართლმსაჯულების სისტემას, უტროს ცნობილი ვერდიქტის შემდეგ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ „ამიერიდან, პროკურორი შეასრულებს პრეს-მდივნის (სპიკერის) მოვალეობას (...), განმარტავს სისხლის სამართლის პროცედურას, უარყოფს არსებულ ჭორებს, ჩაატარებს სწავლებას faire de la pédagogie“.

აუცილებელია, რომ ყველა პროფესიული უნარ-ჩვევის შეჯერებით, შეიქმნას ბავშვებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პრაქტიკა. ჩვენი პირველი ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ფსიქოთერაპევტების, მოსამართლეების, ექიმებისა და ადვოკატებისგან, შეეცადა გარკვეულიყო მართლმსაჯულების ლოგიკაში, რადგან ჩვენი თერაპია უკეთ შეეთავსებინა მართლმსაჯულებასთან. 1990 წელს, დარწმუნებულები, რომ ძალადობის აქტების გამოვლენის შემთხვევების რაოდენობა გაიზრდებოდა, ჩვენ შევიმუშავეთ პროტოკოლი, რომელიც ეფუძნებოდა ბავშვის უფლებებს, რაც იმ

დრომდე ნაკლებად იყო შესწავლილი. იმ დროს არცერთ პროფესიონალს არ ჰქონდა მიღებული სპეციალური განათლება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მკურნალობის სფეროში. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა პროფესიული პრაქტიკის განახლება.

დღეს ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ უნდა მოვამზადოთ პაციენტები, პატარები და დიდები, სასამართლო პროცესების დასაძლევად - საშუალოდ, 6-7 თვის განმავლობაში. ჩვენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, მსხვერპლს ვაფრთხილებთ და წინასწარ ვამზადებთ მოძალადესთან დაპირისპირებისთვის; ვატყობინებთ სამხილების მოსაპოვებლად ზოგჯერ სავალდებულო არასასიამოვნო სამედიცინო გამოკვლევებისა და საგამოძიებო პროცედურების აუცილებლობის შესახებ; ჩვენ განვუმარტეთ ბავშვებს მათ უფლებას, ჰყავდეთ საპროცესო წარმომადგენელი და ადვოკატი. ამჟამად, ზოგიერთი ამ პროფესიონალთაგან, თანხმდება, დაესწროს თერაპიის სეანსს, რათა უკეთ გაუგონ თავიანთ პატარა კლიენტებს. ჩვენ მუდმივად კავშირში ვართ მათთან. მხოლოდ ბავშვთა დაცვის ქსელის სპეციალურ აღმზრდელს აქვს უფლება, შევიდეს კონტაქტში სამართალდამცველთან.

ამელი ოთხი წლის იყო, როდესაც უთხრა მამას, რომ საზაფხულო ბანაკის ინსტრუქტორმა აიძულა შეხებოდა მის სასქესო ორგანოს. ამელი მუდმივად შეშინებულია, საშინელი სიზმრებით შეწუხებული, ყოველ ღამე ატირებული იღვიძებს, აღენიშნება უნებლიე შარდვა ძილში. ამ ფაქტის აღმოჩენით გამოწვეული შოკიდან გამოსულმა მშობლებმა ყველა სავალდებულო სამართლებრივი ქმედება შეასრულეს: ჩივილი და სარჩელის შეტანა.

ამელის, რომელიც ამჟამად უკვე 6 წლისაა, წარადგენს ადვოკატი. სასამართლო პროცესამდე რამდენიმე თვით ადრე, ადვოკატი მოვიდა თერაპიულ სეანსზე, რითაც გოგონას ნდობა დაიმსახურა. გაოგნებული მშობლების თვალწინ, ჩემი მხარდაჭერით გამხნევებულმა ბავშვმა დახატა დანა, რომლითაც აგრესორი მას ემუქრებოდა, რაც აქამდე უცნობი იყო ჩვენთვის. შეიცვალა ძალადობის გარემოებები: მუქარა იარაღის გამოყენებით. ამელიმ საბოლოოდ უსაფრთხოდ იგრძნო თავი.

ჩვენ დავადგინეთ, რომ თერაპევტისა და სოციალური მუშაკების ჩართვა სასამართლო პროცედურის მსვლელობაში აჩქარებს თერაპიის შედეგს. ბავშვს ნდობა უჩნდება. მსხვერპლი ნელ-ნელა თავისუფლდება მოძალადის მიმართ შიშის გრძნობისგან და უფრო თავისუფლად ამხელს, თუ რა სახის ზეწოლის მსხვერპლი იყო მისგან. როგორც ზოგიერთი ადვოკატი ხუმრობით აღნიშნავს, „ფსიქიატრები ამბობენ, რომ მხოლოდ მოძალადის დამნაშავედ ცნობას მოჰყვება თერაპიის შედეგი“. ერთგვარად თერაპიის შემცველია თვით სასამართლო პროცესი. მსხვერპლი იგებს თუ აგებს პროცესს, აგრესორისთვის ნათელია, რომ მართლმსაჯულება არსებობს და ყოველთვის შეიძლება სარჩელის ხელახალი შეტანა განსახილველად. 2004 წლიდან, სექსუალური ძალადობის მცირეწლოვან მსხვერპლს შეუძლია შეიტანოს სარჩელი მისი სრულწლოვანებიდან ოცი წლის შემდეგაც.

ინცესტის შედეგად მიღებული ტრავმისგან გათავისუფლების მიზნით, სინდიმ 25 წლის ასაკში მიიღო კონსულ-

ტაცია მისი უფლებების შესახებ, გაიაროს თერაპიის კურსი. მისი მამინაცვალი, ყოფილი სამოცდარვიანელი[1], სექსის თავისუფლების მქადაგებელი, მხარს უჭერდა „ინცესტის უფლებას“. სინდის ეგონა, რომ ყველაფერს გაუმკლავდა, მაგრამ როდესაც დაიწყო სწავლა სამართლის ფაკულტეტზე, და აღსანიშნავია, რომ იყო ბრწყინვალე სტუდენტი, წარსულმა მას თავი შეახსენა. სინდი უკიდურესად დეპრესიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, იმდენად, რომ მას ამ ფაკულტეტზე სწავლისთვის თავის დანებება უნდოდა.

სინდის დაბადების დღიდან რამდენიმე დღეში, მამინაცვალმა მას მანქანა მოპარა მისი საქმროს თვალწინ. სინდიმ გაიაზრა იმ თაღლითობათა სერია, რომელშიც მამინაცვალი მუდმივად ამყოფებდა, რაც მისთვის აუტანელი გახდა. ეს იყო პირველი გაცნობიერება, რაც თერაპიის კურსის საწყის ეტაპს წარმოადგენს. სინდი გამოდის „ჰიპნოზის“ მდგომარეობიდან, რომელშიც წლების განმავლობაში იმყოფებოდა. ის ისევ მიუბრუნდა სამართლის სფეროს, ამჯერად უკვე სამართლიანობის აღდგენის მოლოდინით. თერაპია იწყება. პროცესი დაეხმარება მას, როგორც მამინაცვლის უკვე შეცვლილ მსხვერპლს, შეიტანოს სარჩელი და გამოჯანმრთელდეს უძველესი ტრავმებისგან, ახალი ვადის გადაწევის წყალობით.

სირცხვილის და დანაშაულის გრძნობა იცვლება ...

[1] საფრანგეთის 1968 წლის მაისის მოვლენების მონაწილე.

თავი 2-3

როგორ გავიგოთ ბავშვის ხმა სასამართლოში?

მცირეწლოვან ბავშვს აქვს სრულიად განსხვავებული რიტმი და გამოხატვის უნარი. მოზრდილ ადამიანს შეუძლია მეტ-ნაკლებად შეაჯამოს სიტუაცია, გამოჰყოს ძირითადი მეორე ხარისხოვნისაგან, ზუსტად გაიგოს და გაიმეოროს ნათქვამი, გაიხსენოს ადრე გამოყენებული ტერმინები, რაც უკიდურესად რთულია ბავშვებისთვის.

როდესაც საუბარია ძალიან პატარა ბავშვზე, უკვე მიღწევაა, თუკი ის თუნდაც რამდენიმე სიტყვას მაინც იტყვის მომხდარის შესახებ. ბავშვის მეტყველება, ძალადობის აქტის ან სექსუალური თავდასხმის აღწერისას, წყვეტილია და ძალიან ფაქიზი. ზოგჯერ დიდი ძალისხმევა სჭირდება ფაქტის გამოაშკარავებას. უმთავრესად, ბავშვი არ „საუბრობს“ გადამხდარზე მხოლოდ ერთხელ. როგორც წესი, ბავშვი საიდუმლოს უმხელს ოჯახის გარეშე პირს, იმდენად დიდია მისი სირცხვილის გრძნობა.

სასამართლო პროცესზე, ბავშვისგან საჭირო ინფორმაციის მისაღებად, მეტად მნიშვნელოვანია მისი ნათქვამის გაგება, ბავშვური ლოგიკის კარგად ფლობა. თერაპევტების დარწმუნება არ არის საკმარისი. მოსამართლე მოითხოვს ძალადობის მტკიცებულებებს, სამხილებს. მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია ბრალდებულის დამცველი, რომელიც მუდმივად ეჭვქვეშ დააყენებს ბავშვის ნათქვამის სისწორეს. ამ დროისთვის საქმეთა უმეტესი ნაწილი საქმის შეჩერებით მთავრდება.

სასამართლო პროცესი ბავშვისთვის უმძიმეს განსაც-

დელს წარმოადგენს მისი ხანგრძლივობის, უხეში მიმართვის, ზეწოლისა და განცდილი ტკივილის გამო. ეს გამოცდა არ გამოიწვევდა ახალ ტრავმას იმ შემთხვევაში, თუ თავის დროზე უფროსებისთვის განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამჟამად მორგებულია მცირეწლოვანთათვის, სრულად იქნება დაცული. ჯერჯერობით ეს ასე არ არის.

დავუშვათ, რომ ბავშვმა გაუმხილა მომხდარის შესახებ სოციალურ მუშაკს, რომელიც სრული გაგებით მოეკიდა და განაცხადით პროკურორს მიმართა. პროკურორმა დაჩქარებული წესით გადაუგზავნა საქმე ჟანდარმერიას (სოფელში), ან მცირეწლოვანთა საქმეების ბრიგადას (ქალაქში). შესაძლოა, დაიწყოს საქმის მოსმენა. განსაცდელი იწყება პირველივე მომენტიდან, როდესაც ჟანდარმი ან პოლიციელი შეახსენებს ბავშვს, რომ „მისი ნათქვამი მეტად მნიშვნელოვანია“ და რომ მას შეუძლია „დააპატიმროს მისი მშობლები“. რამდენჯერ გამოიწვია ამგვარმა სიტყვებმა უკანდახევა და მსხვერპლში დანაშაულის გრძნობის გაჩენა! ძალადობის მსხვერპლ ბავშვს არ სურს, რომ მისი მშობლები წავიდნენ ციხეში. მას აქვს სურვილი, რომ ყველაფერი „დასრულდეს“.

სწორედ ამ მიზნით, ჩემმა მეგობარმა, რეჟისორმა ალინ ისერმანმა თავისი ფილმის „ეჭვის ჩრდილი“ დასაწყისშივე, მსხვერპლის პირისპირ გამოიყვანა ახალგაზრდა მოუქნელი ჟანდარმი და ათქმევინა ეს საზარელი სიტყვები, რასაც მყისიერი შედეგი მოჰყვა. მოღუშული ალენ ბაშუნი, რომელიც მოძალადე მამის როლს ასრულებდა, ბავშვს კომისარიატში აკითხავს. მსხვერპლი ბავშვი, ალექსანდრინა, უკან იხევს და ძალადობას უარყოფს. სცენარის კითხვისას, ზოგიერთი მსახიობი ბოლომდე დარწმუნებული იყო ბავშვის სიცრუეში...

მოძალადესთან დაპირისპირება გაწონასწორებულ მოზრდილ ადამიანსაც დააკარგვინებდა სიმშვიდეს. მსგავსი სირთულეების გადალახვის მიზნით, პოლიციის სისტემაში შეტანილია საგულისხმო ცვლილებები. გთავაზობთ ქცევის კოდექსს, რომელიც ერთობლივად შეიმუშავა ეროვნულმა პოლიციამ და ეროვნულმა ჟანდარმერიამ:

მუხლი 1. საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს ეროვნული პოლიციისა და ეროვნული ჟანდარმერიის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს.

მუხლი 2. ყველა მოქალაქე სარგებლობს უფლებით, იყოს მოსმენილი, ასევე გაეწიოს დახმარება ან შველა ნებისმიერ მომენტში ეროვნული ჟანდარმერიის ერთეულისა და ეროვნული პოლიციის სამსახურის მიერ.

მუხლი 3. შეხვედრის ხარისხი განისაზღვრება თავაზიანობის, თავშეკავებულობისა და კორექტულობის ნორმების შესაბამისად, ასევე უნდა ითვალისწინებდეს პირის მოთხოვნაზე მყისიერ რეაგირებას.

მუხლი 4. განსაკუთრებული მიღებით სარგებლობენ სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი პირები.

მუხლი 5. ეროვნული პოლიციისა და ეროვნული ჟანდარმერიის სამსახურები იღებენ სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი პირების მიერ შეტანილ საჩივრებს.

მუხლი 6. განაცხადი პირის გაუჩინარების შესახებ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და მყისიერ რეაგირებას.

მუხლი 7. ეროვნული პოლიციის სამსახურები და ეროვნული ჟანდარმერიის ერთეულები ვალდებულნი არიან, ინფორმაცია მიაწოდონ განმცხადებელ პირს (მომჩივანს), განაცხადში აღწერილთან დაკავში-

რებული მათი ქმედებებისა და ამ ქმედებათა შედეგების შესახებ.

ვიდეო/აუდიო ჩანაწერის პრაქტიკა შეიძლება მშვენივრად გამოიყენებოდეს დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით. ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო პროცესზე ბავშვის დასწრება არ იქნება სავალდებულო. ამრიგად, ბავშვს მოვარიდებთ მისი აგრესორის ფიზიკური სიახლოვით გამოწვეულ შიშის გრძნობას. იგი დაცულად იგრძნობს თავს. მეორე მხრივ, ბავშვი არ იქნება იძულებული, რომ ძალიან ხშირად იმეოროს მისი ჩვენება - როგორც წესი, ადვოკატს აქვს ჩანაწერის წვდომა.

ჩანაწერის გამოყენება სასამართლო პროცესზე მოსმენის მსვლელობის შემოწმების საშუალებას იძლევა, მაგრამ ვიდეო ჩანაწერის პრაქტიკა შორს არის ყველგან გამოყენებისგან საფრანგეთში. ვწუხვარ, რომ ვიდეო ჩაწერა ხშირად არ გამოიყენება მთელი პროცედურის მანძილზე. ვგულისხმობ გამოძიებას და მართლმსაჯულების პროცესებს. სამწუხაროდ, ამის შედეგად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, უტროს საშინელ საქმეზე, ჩვიდმეტმა ადვოკატმა დაკითხა მსხვერპლი ბავშვები, რადგან მათ არ გააჩნდათ მოსმენების აუდიო ჩანაწერები. წარმოუდგენელი განცდა... ეს ინსტიტუციური ძალადობა მძიმე ტვირთად აისახა ნაფიც მსაჯულთა ქვეცნობიერში. დავაზუსტოთ, რომ ამჟამინდელმა იუსტიციის მინისტრმა, ბ-მა მ. პერბენმა, გამოჰყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც ჩაატარებს უტროს საქმის მსვლელობის, კერძოდ ბავშვების ჩვენებებისა (საუბრის/პაროლეს) და ექპერტიზის შეგროვების პირობების ანალიზს, რეფორმის შეთავაზების მიზნით.

ვიდეო ჩანაწერი აგრეთვე იძლევა ბავშვის არავერბალური

კომუნიკაციის სიგნალებზე, სხეულის პოზაზე, მიმიკასა და სახის გამომეტყველებაზე დაკვირვების და დაფიქსირების საშუალებას. პატარა ბავშვებს ხშირად არ შესწევთ უნარი, სიტყვებით გადმოსცენ გადატანილი მოვლენები. ისინი ტრავმის გამომწვევი სცენების გათამაშებას თოჯინებით და სხვადასხვა ნივთებით ახდენენ.

ბეზანსონში, დიდი ხნით ადრე, სანამ ეს კანონით დასაშვები გახდებოდა, ჩვენმა ყოფილმა სტაჟიორმა, ოდილ მორისმა, ოჯახის ექიმმა, ფსიქიატრთან დომინიკ ფრემისთან ერთად, სასამართლოსთვის და ჟანდარმერიისთვის შეიმუშავა პროტოკოლი (ოქმი) არასრულწლოვანთა ვიდეო-მოსმენებისთვის. იგი რეგულარულად ეხმარებოდა თანამშრომლებს ბავშვების არავერბალური კომუნიკაციის აღქმასა და გააზრებაში. სამართალდამცავებმა აღნიშნეს, რომ ამგვარმა თანამშრომლობამ მათ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია მოწმეთა უკეთ გაგებაში.

მახსოვს, თხუთმეტიოდე წლის წინ, ვთანამშრომლობდი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ბავშვების გამოკითხვის გზამკვლევის შემუშავებაზე. უკვე იმ დროს ვთავაზობდით მოსმენისას ჩანაწერის პრაქტიკის გამოყენებას. სულ პატარა გოგონა გადატანილი ძალადობის შესახებ საუბრობდა მხოლოდ ჩემს სეანსებზე და უარს ამბობდა პოლიციელის თანდასწრებით მოყოლაზე, მიუხედავად ჯგუფის ძალისხმევისა ენახათ „ქერა გრძელთმიანი“ ოფიცერი“. გამოკითხვის სეანსის ვიდეოჩანაწერის ნახვისას, გოგონას სპონტანური ჟესტის წყალობით მოხერხდა პოლიციელების დარწმუნება. ჩემთვის საჩვენებლად, თუ სად მიაყენეს ტკივილი, ბავშვმა მიიტანა მარკერი თავის სასქესო ორგანოსთან და თითქოს ცდილობდა ჭრილობის მიყენებას. მშობლის მიმართ შიშის, სიყვარულის, ლოიალურობის ურთიერთსაპირისპირო გრძნობებსა და ძალა-

დობის აქტების დასრულების სურვილს შორის ქვეცნობიერ კონფლიქტში მოქცეულმა ბავშვმა იპოვა ინფორმაციის თვალნათლივ, სიტყვების გარეშე გადმოცემის საშუალება.

მეორე მხრივ, არსებობენ „გულმოდგინე“ პოლიციელები, რომლებიც მსხვერპლი ბავშვების დაკითხვას იმგვარად და ისეთ პირობებში ატარებენ, თითქოს დამნაშავესთან ჰქონდეთ საქმე. სასარგებლო იქნებოდა დოკუმენტის შექმნა, სადაც მკაცრად იქნება რეგლამენტირებული ბავშვის დაკითხვის დრო. ცნობილია, რომ ეჭვმიტანილის პატიმრობის ხანგრძლივობა ზუსტად არის განსაზღვრული, უდანაშაულობის პრეზუმპციის გათვალისწინებით. ამავდროულად, მოწმის შემთხვევაში, გამოკითხვის ხანგრძლივობას განსაზღვრავს გამომკითხველი.

სამართალწარმოების პროცედურის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ერთის მხრივ, საჭიროა ექსპერტების სწორად შერჩევა. მათ უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ მოსამართლეები მათ არ გადასცემენ უფლებამოსილებას დაიჯერონ ან არ დაიჯერონ ბავშვის მიერ მიცემული ჩვენება. ექსპერტი არის ის, ვისაც შეგნებული აქვს მისი მოვალეობა - მიაწოდოს მოსამართლეს ფაქტები და არა მისი გრძნობები.

მეორეს მხრივ, ამ ტიპის საქმეებზე მუშაობა შეიძლება მიენდოს სპეციალისტებს, ბავშვთა ადვოკატებს ან სპეციალიზირებულ მოსამართლეებს. ხშირად ბავშვის უფლებებს იცავს ადვოკატი, რომელსაც არ აქვს გავლილი სპეციალური მომზადება. ამ შემთხვევაში დაცვის ხარისხი არის არადამაკმაყოფილებელი (inégale). (დაცვა არის არასამართლიანი). სიტუაციის გამოსწორება მიმდინარეობს ძალიან ნელი ტემპით. სასამართლოთა უმრავლესობაში

ამჟამად, შექმნილია „არასრულწლოვანთა არხი/antenne“ სადაც ახალგაზრდა მოხალისე ადვოკატებს შეუძლია მიიღონ სათანადო განათლება. ბავშვთა მოსამართლის მიერ დანიშნულმა ადმინისტრატორმა იცის ამ დაბრკოლების შესახებ და ამიტომ, ადვოკატის არჩევისას, ის ცდილობს, როგორც წესი, ნახოს ამ დარგის სპეციალისტი ბავშვთა უფლებების საუკეთესო დაცვის უზრუნველსაყოფად.

უფრო და უფრო მეტი დეპარტამენტი იწყებს პროფესიული ასოციაციების ჩამოყალიბებას, რომელთა საქმიანობას წარმოადგენს ბავშვთა უფლებების დაცვის კონტროლი. ეს არ არის მარტივი და მოითხოვს მსჯელობას/réflexion და კონსულტაციებს ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე ამ დარგში მომუშავე პარტნიორებთან.

და ბოლოს, საჭიროა მოსამართლეთა სპეციალური მომზადების მოთხოვნა. მათი სამუშაო არ არის მარტივი. მათგან ბევრს ელოდებიან. ძალადობა ბავშვთა მიმართ, და განსაკუთრებით სექსუალური ძალადობა ან ინცესტი, მოითხოვს დიდ ემოციურ დატვირთვას და ხშირად საჭიროა საკუთარი თავისთვის კითხვების დასმა. არც თუ ისე დიდი ხანია, ბუტ შომონის ცენტრში დავიწყეთ სპეციალური მართლმსაჯულების სისტემის ახალგაზრდა მსმენელების მიღება, ანუ ეროვნული უმაღლესი სკოლის სტუდენტებისთვის სტაჟირების ჩატარება. სტუდენტები, რომლებსაც უკვე დადებული აქვთ ფიცი, ესწრებიან ოჯახური ფსიქოთერაპიის კურსს და ამგვარად სწავლობენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის უკეთ გაგებას. ეს არის უახლესი გამოცდილება, რომელიც მოწმობს მართლმსაჯულების პროცესის დროს მსხვერპლის მიმართ კარგი დამოკიდებულების უდიდეს მნიშვნელობას.

სწავლებაში უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს მსხვერპლის განცდებისა და მოძალადის მანკიერების დაპირისპირება.

„პირველივე სეანსიდან შევძელი დამენახა მათი განცდების სიძლიერე. ეს არ იყო მხოლოდ გამოთქმული ტანჯვა. მათი სევდიანი, მეტყველი თვალები ამბობდნენ იმას, რის თქმასაც სიტყვებით ვერ ბედავდნენ. სეანსის დროს მქონდა საშინელი განცდა, ხშირად თვალებზე ცრემლი მადგებოდა, და მეორეს მხრივ, მეუფლებოდა უდიდესი სიხარულის გრძნობა, როდესაც ვხედავდი მსხვერპლთა ბედნიერ სახეებს და მათ უნარს, ეფიქრათ სხვა რამეზე. მათთან ურთიერთობამ ძალა შემმატა და აქამდე მიღებულ თეორიულ სწავლებაზე მეტად დამანახა, რომ სამართალწარმოებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს მათ გამოჯანმრთელებას“ – წერს კაროლინ ჰენოკი სტაჟირების ანგარიშში.

მართლმსაჯულების წარმოებაში ინერგება ეს ახალი მიდგომა. სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება ისე, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 3-4 წლის ბავშვების შემთხვევაში, მათი ჩვენება განიხილება მთლიანობაში: სიტყვები, მიმიკა, ნახატები, რაც წარმოადგენს ყველა ბავშვის გამოხატვის ჩვეულ საშუალებას. მაგალითისთვის მოგიყვანთ ნაწყვეტს რენის სასამართლო პროცესიდან. საქმე ეხება 3 და 5 წლის გოგონების მომვლელი ძიძის მეუღლის მიმართ პედოფილიაში საბრალდებო გადაწყვეტილების გამოტანას. სასამართლომ გაითვალისწინა ერთერთი გოგონას ენურეზის სიმპტომები და ღამის კოშმარები. ამ სიმპტომებს მასტურბაცია რომ დამატებოდა, საქმე გვექნებოდა „ძალადობის მსხვერპლი ბავშვის სინდრომთან“.

„(...) 1996 წლის 23 თებერვალი, ფინისტერის (დეპარტამენტი საფრანგეთში) ბავშვთა დახმარების განყოფილებიდან გაიგზავნა საჩივარი კიმპერის (ცენტრალური ქალაქი ფინისტერის დეპარტამენტში) სასამართლოში სამი წლის ბავშვის ჩვენებებზე დაყრდნობით. გოგონას (დაბადებული 1993, 27 იანვარს) 1993 წლიდან ჰყავდა მომვლელი ძიძა. ბავშვი ამბობდა, რომ ძიძის არყოფნის დროს, ამ უკანასკნელის მეუღლე ეხებოდა მის სასქესო ორგანოს. ექიმთან გასაუბრების დროს ბავშვმა ასევე აღიარა, რომ ნანახი აქვს მამაკაცის სასქესო ორგანო. ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების საფუძველზე, არავითარი ანომალია არ იყო გამოვლენილი. დასაწყისში, მამაკაცი უარყოფდა დანაშაულს, ხოლო ბოლოს აღიარა რომ ბავშვის სასქესო ორგანოზე საცხის წასმის შემდეგ მან იქ მოათავსა თითი".

„1996 წლის 4 ოქტომბერს, კიმპერის სასამართლოს მიმართვაში, ბავშვის დედამ აღნიშნა, რომ მისი ქალიშვილი, დაბადებული 1991 წელს, რომელიც იმყოფებოდა ძიძის მზრუნველობის ქვეშ, 1992 წლის აგვისტოდან 1995 წლის სექტემბრამდე, 1995 ზამთარში ხშირად ხატავდა ერთსა და იმავე ნახატს, რომელსაც ხსნიდა შემდეგნაირად: „მამაკაცის სასქესო ორგანო შედის ბავშვის მუცელში და ბავშვი არის დაპატიმრებული სამუდამოდ“. დედა მიუთითებდა ცვლილებებზე მისი შვილის ქცევაში 1995 წლის აპრილიდან. ბავშვი უარს ამბობდა ძიძასთან სახლში მისვლაზე. 1996 წლიდან ბავშვს დაეწყო ენურეზი და ღამის კოშმარები.(...)“

ამონარიდი 1998 წლის 17 ივნისის კანონიდან

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 28

მუხლი 706-50: რესპუბლიკის პროკურორი ან გამომძიებელი მოსამართლე, არასრულწლოვნის მიმართ განზრახ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, ნიშნავს დროებით (სპეციალურ) ადმინისტრატორს, თუ დაზარალებულის ინტერესები არ არის სრულად უზრუნველყოფილი კანონიერი წარმომადგენლების ან ერთერთი მათგანის მიერ. დროებითი ადმინისტრატორი უზრუნველყოფს არასრულწლოვნის ინტერესების დაცვას და აუცილებლობის შემთხვევაში წარმოადგენს მას სასამართლოში, (გამოდის მისი სახელით) როგორც მოსარჩელე. მოსამართლე ნიშნავს არასრულწლოვანთა დამცველს, თუ მას უკვე არ ყავდა არჩეული.

მუხლი 706-51: წინამდებარე მუხლის თანახმად, ადმინისტრატორი დასახელებულია (კომპეტენტური) მოსამართლეს მიერ ბავშვის ნათესავებს შორის, ან სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით განსაზღვრული პირების სიიდან. ამავე დეკრეტით განისაზღვრება მათი ანაზღაურებაც.

მუხლი 706-52: 706-47 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებისა და ინფორმირების მსვლელობა, მსხვერპლი ბავშვის თანხმობით, ან თუ მას არ შესწევს უნარი, მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, ექვემდებარება აუდიო-ვიდეო ჩაწერას.

არასრულწლოვნის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის შესაბამისად, წინა აბზაცში ხსენებული ჩანაწერი შესაძლოა იყოს მხოლოდ აუდიო. რესპუბლიკის პროკურორის ან გამომძიებელი მოსამართლის მიერ ჩანაწერის გაკეთების უარყოფა უნდა იყოს მოტივირებული.

რესპუბლიკის პროკურორი, გამომძიებელი მოსამართლე ან გამოძიებაზე პასუხისმგებელი პოლიციის ოფიცერი უფლებამოსილია ჩანაწერის შესასრულებლად მოითხოვოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი. ამ პიროვნების შერჩევა წარმოებს მე-60 მუხლის დებულებების შესაბამისად. პირი ვალდებულია შეინახოს პროფესიული საიდუმლო მე-11 მუხლში ჩამოთვლილი პირობების თანახმად. სასამართლოს პროცედურის დროს ჩანაწერის გამოყენების გამარტივების მიზნით კეთდება ჩანაწერის ასლი. ასლი ერთვის საქმეს. ჩანაწერის დედანი ილუქება.

გამომძიებელი მოსამართლის მოთხოვნის საფუძველზე, ჩანაწერი შესაძლოა იყოს ნაჩვენები ან მოსმენილი სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს. ამ უკანასკნელის ასლი შესაძლებელია იყოს ნაჩვენები ან მოსმენილი მხარეთა, ადვოკატების ან ექსპერტების მიერ, გამომძიებელი მოსამართლის ან სასამართლოს მდივნის თანდასწრებით.

ნებისმიერი პირის მიერ წინამდებარე მუხლის დებულებების თანახმად შესრულებული ჩანაწერის გავრცელება ისჯება ერთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით და 100 000 ფრანკის ოდენობით ჯარიმის გადახდით.

საჯარო მოქმედებათა დასრულებიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ ჩანაწერი და მისი ასლი ექვემდებარება განადგურებას ერთი თვის ვადაში.

მუხლი 706-53: - გამოძიების მიმდინარეობისას ან ინფორმაციის მოპოვებისას, 706-47 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნის სასამართლო პროცესზე წარდგენა წარმოებს რესპუბლიკის პროკურორის ან გამომძიებელი მოსამართლის გადაწყვეტილებით,

ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მცირეწლოვნის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნით, ფსიქოლოგის ან ბავშვებთან მომუშავე ექიმ-სპეციალისტის, ოჯახის წევრის ან 706-50 მუხლის დებულებების თანახმად არჩეული დროებითი ადმინისტრატორის, ან ბავშვთა მოსამართლის მანდატის მქონე პირის (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირის) თანდასწრებით.

თავი 2-4

როგორ მივიღოთ ინფორმაცია თერაპიის დროს?

10 წლის მარის სექსუალური ქცევით შეშფოთებულმა აღმზრდელმა განაცხადა პროკურატურაში. დაინიშნა არასრულწლოვანთა მოსამართლე. ამ უკანასკნელმა, რომლისთვისაც კარგად არის ცნობილი ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, გამოთქვა სურვილი, შეგვეფასებინა გოგონას მდგომარეობა. ჩვენი დასკვნა მას დაეხმარებოდა გადაწყვეტილების მიღებაში მარის ინტერესებიდან გამომდინარე, რომლის მამაც იყო ეჭვმიტანილი ინცესტში.

ჩვენ დაწესებულებაში მივიღეთ ათიოდე პიროვნება. გამოგვიგზავნეს სპეციალისტები, რომლებიც მუშაობდნენ მარისთან: სოციალური მუშაკები, სკოლის სოციალური დახმარების მუშაკი, იმ სექტორის სოციალური მუშაკები, რომლებიც მუშაობენ მარის მშობლებთან, ფსიქოლოგი, დაწესებულების დირექტორი და ასევე ფსიქიატრი.

მარი არის მისთვის კარგად ნაცნობი პირების გარემოცვაში. მისი ოჯახის რამდენიმე წევრი ასევე მიიღებს მონაწილეობას გასაუბრებებში, მათ შორის არის დეიდა და მისი რამდენიმე და და ძმა, რომელთაგან ერთ-ერთს აღენიშნება იგივე სიმპტომები.

ბუტ-შომონის ცენტრში არცერთი ბავშვი არ მოდის მარტო. ამასთანავე, ბავშვის სურვილის გათვალისწინებით, ან თუ ჩავთვლით, რომ მნიშვნელოვანია მისი ცალკე მოსმენა, გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს თანმხლები პირისგან განცალკევებით. როგორც წესი, განცალკევებით გასაუბრების სურვილს გამოთქვამენ მოზარდები,

მაგრამ ზოგჯერ მცირეწლოვანი ბავშვებიც.

მსხვერპლი ბავშვისთვის მეტად მნიშვნელოვანია მოზრდილთა მხარდაჭერა. მართალია, ხშირია შემთხვევები, როდესაც დასაწყისში ისინი არ ენდობიან ბავშვის მონათხრობს. ეს სრულიად გასაგები საქციელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი მცირეწლოვნის მოსმენა ძალიან მძიმეა. ჩვენ ვისწავლეთ ამის გადალახვა და სრული ნდობა გამოვხატოთ ბავშვის მონათხრობის მიმართ.

მახსოვს, მარის აღიარების შემდეგ, რომელიც ნაწილობრივ ადასტურებდა გადატანილ ძალადობას, სოციალურმა მუშაკმა სრულიად მშვიდად წარმოთქვა: „გოგონა ალამაზებს!“. ძალადობის ძნელად წარმოსადგენი და დასაჯერებელი სისასტიკე, იგი პარადოქსულ ქცევას და ინსტინქტურად უკან დახევას იწვევს. მსგავსი რეაქცია ხშირია, მაგრამ დიდხანს არ გრძელდება.

მსხვერპლი ბავშვი, მიუხედავად საფრთხისა, თავს დაცულად იგრძნობს მხოლოდ მისთვის და მის მოსასმენად შეკრებილი უფროსების გარემოცვაში. ასეთი გარემო არ გამოიწვევს ბავშვის აღელვებას და რწმენას შეჰმატებს მას. ჩვენი თერაპიის ოთახში დამონტაჟებულია ვიდეოკამერა. ბავშვის სურვილის შემთხვევაში, ვახდენთ გამოკითხვის ჩაწერას. ბავშვებს მოსწონთ ვიდეოს გამოყენება და იყენებენ მას, როგორც მოწმეს. მათი საშინელი ამბის ჩვენთვის განდობამდე თავად ამოწმებენ ჩანაწერის ხარისხს - დაცვის მოლოდინში იმედგაცრუებული ბავშვები ეჭვის თვალით უყურებენ ჩვენ ერთგულებას. სეანსის განმავლობაში ხდება გამომკითხველების ჩართვა თერაპიის პროცესში.

თუ ფსიქოთერაპევტი დისტანცირებულია, ცივი და უყურადღებოა ბავშვის მონათხრობის მიმართ, ბავშვი გრძნობს გულგრილ დამოკიდებულებას. აუცილებელია ბავშვთან ურთიერთგაგების დამყარება, მაგრამ ამავდროულად სათანადო დისტანციის დაცვა. ჩვენი დამოკიდებულებით, ემოციებით და პოზიციის მკაფიოდ ჩამოყალიბებით ვცდილობთ მივცეთ ბავშვს საშუალება, გულწრფელად გამოხატოს თავისი გრძნობები. ეს მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც ათავისუფლებს ბავშვს ლაპარაკის შიშისგან. ეს ყოველთვის რთულია, მაგრამ არ შეიძლება ემოციური მომენტების უგულებელყოფა. ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ უფროსს შესწევს უნარი, შეიგრძნოს და გაიგოს ის, თუ რის გადატანა მოუხდა მას.

სეანსების დროს, მოძალადე მამაზე ბავშვთან საუბრისას, ჩვენ ვკრძალავთ მის მოხსენიებას კნინობითი ფორმით - „მამიკო“, რათა თავიდან ავიცილოთ ბავშვის დაბნევა. ერთი მხრივ, ბავშვი გაუცნობიერებელ ერთგულებას ავლენს ერთ დროს ალერსიანი მშობლის მიმართ, რომელიც მას დღესაც უყვარს და უნდა, რომ ბავშვობის ეს კარგი მოგონებები განსაკუთრებული სიფაქიზით იყოს შენარჩუნებული; ხოლო მეორეს მხრივ, იგივე მშობელი - მოძალადე და აგრესორია, რომელიც ბავშვმა მოცემულ მომენტში უნდა ამხილოს და რომლისაც ეშინია. აქ მიზანშეწონილია ნეიტრალური ტერმინის „მამა“ გამოყენება. ასევე ვიქცევით, როდესაც დამნაშავე ან აგრესორი არის დედა. ამ ლექსიკური გაურკვევლობის დაძლევის მიზნით, ჩვენ ვთავაზობთ მარის, ისევე როგორც სხვებს, ყოველთვის მოახდინოს რეაგირება, როდესაც სოციალური მუშაკი გამოიყენებს ტერმინებს „დედიკო“ ან „მამიკო“. ამ ტერმინების ამოღება გასაუბრების დროს ამყარებს დისტანციას ემოციურ დონეზე და სწრაფად ათავისუფლებს ბავშვს დანაშაულის გრძნობისგან.

ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს სოციალური მუშაკების პროფესიულ ფორმირებასაც. ისინი აცნობიერებენ რეალობის გადასხვაფერების და ჩადენილი ძალადობის, წარმოუდგენელი სისასტიკის უკუგდების საკუთარ ტენდენციებს; შესაბამისად, გაიაზრებენ გაჩენილ სურვილს, შეამსუბუქონ და „შეალამაზონ“ ბავშვის აღიარება. „საკითხი უნდა დაისვას შემდეგნაირად: შესწევთ თუ არა უნარი იმუშაონ მსხვერპლ ბავშვებთან, თუ კი ვერ დაუშვებენ ძალადობის ფაქტებს მშობლების მხრიდან და თანაუგრძნობენ მათ?“

ჩვენი მუშაობა მარისთან დაიწყება ფაქტების შეგროვებით ანუ ჩვენების მიღებით. მასთან საუბრისას არ უნდა მოვერიდოთ "სექსუალური ძალადობის“ აღმნიშვნელი, ბავშვისთვის გასაგები სიტყვების გამოყენებას.

ხანდახან ბავშვი ვერ ახერხებს მისი დისკომფორტის გამომწვევი მიზეზების გამოხატვას. იგი ამბობს, რომ თავად არაფერი უნახავს, ხოლო მისი თოჯინა ან სათამაშო დათუნია შეესწრო ყველაფერს და მას გადააქცევს მოწმეებად. თუ მათ „ვალაპარაკებთ“, ბავშვი გამოიყენებს სათამაშოებს მთხრობელებად და საკუთარ დრამას მოყვება. ამგვარად გაიხატება ძალადობის ხასიათი და წარმოშობა პატარებში, ან ფსიქოლოგიური ფრაგმენტაციით პარალიზებულ მოზარდებში.

თუ სეანსის დროს მოხერხდება მკაფიოდ გამოკვეთილი ჩვენების მიღება, სოციალური მუშაკები, ან თავად ჩვენ შევუდგებით სარჩელის შეტანის პროცედურას. შედეგიანი თერაპიის მისაღწევად, სასამართლო პროცედურა უნდა მიმდინარეობდეს მკურნალობის პარალელურად.

სეანსის მსვლელობისას, სოციალური მუშაკების დახმა-

რებით ხდება ოჯახის „გენოგრამის“ - ერთგვარი გენეა-ლოგიური ხის გამოსახვა. ეს გვეხმარება მივაგნოთ ოჯახ-ში ძალადობის კვალს სხვა თაობებში. მარის ოჯახის შემთხვევაში, დეიდისგან შევიტყვეთ, რომ მარის მამა ახალგაზრდობაში თავად იყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ამის შესახებ სოციალურ მუშაკები არ იყ-ვნენ ინფორმირებული. ოჯახური კონტექსტის ამგვარი ანალიზი ნელ-ნელა გამოავლენს ოჯახის საიდუმლოს, რაც დაგვეხმარება მივაკვლიოთ სექსუალური ძალადობის წარმოშობას, საწყისს.

გენოგრამის გარდა, სექსუალური ძალადობის გამოსავლე-ნად გამოიყენება ბავშვის სპონტანური ნახატები. ჩვენი ჩა-რევის გარეშე, ბავშვის მიერ შესრულებული გამოსახუ-ლებების მიხედვით, შესაძლებელია გამოიკვეთოს სექსუა-ლური ძალადობის თეზა. კერძოდ, გამოსახულებების ამ კატეგორიას მიეკუთვნება ფალოსის ფორმის სახლები, სასქესო ორგანო ერექციის დროს. ქალის მიერ განხორ-ციე-ლებული სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, ნახატებში იკვეთება ქალის გარეთა სასქესო ორგანოს ფორმები. ნახატები, სადაც ბავშვი წითლად ან შავად გამოსახავს ძალადობის კვალს სასქესო ორგანოს ან პირის არეში, ნახვრეტებით ფურცელზე, ან ნახატები, რომლებიც გამოხატავენ მის შიშს ან მოკვლის სურვილს.

ამ ნახატების ცვლილება (განვითარება) მკურნალობის დროს მეტყველებს თერაპიის შედეგიანობაზე. რამდენიმე სეანსის შემდეგ ნახატები იღებენ ბანალურ ხასიათს და გამოხატავენ ბავშვის თავდაცვის სურვილს: ბრჭყალები, განრისხებული მზერა, ღილებზე შეკრული კაბა, ან ხდება უფრო ლაღი - გაღებული ფანჯრები, მხიარული ფერები და სხვა.

მკურნალობის დასაწყისში მარის აღენიშნებოდა აგზნებადობა, ხასიათის ცვალებადობა. მისი ნახატები იყო დაჯღაბნილი, გამოხატავდნენ მის მღელვარებას და სიძულვილს, გამოწვეულს მოგონებებით სექსუალურ ძალადობებზე.

ორი სეანსის შემდეგ მარი დამშვიდდა. მარის შემთხვევაში, ჩვენი თერაპია დასრულდა, როდესაც მას დაუბრუნდა ღიმილი, სასკოლო დავალებების შესრულების უნარი და იგი გათავისუფლდა მისი საიდუმლოსგან.

ნებისმიერ შემთხვევაში, მეტად მნიშვნელოვანია სასამართლო პროცესის და მკურნალობის კურსის ერთდროული მიმდინარეობა. ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ მოძალადე იქნება მხილებული და მოიხდის სასჯელს კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. ეს ასევე ვრცელდება არასრულწლოვან აგრესორებზე. ასაკის მიხედვით, არსებობს სამართლებრივი დებულებების მთელი არსენალი, ბოდიშის წერილიდან - ციხემდე და ზოგჯერ მოითხოვს ბავშვთა მოსამართლის სპეციალურ მითითებას.

ზოგიერთი ბავშვი და უფროსი გადის ინდივიდუალური თერაპიის კურსს. ზღვარი უფროსებსა და ბავშვებს შორის მკაფიოდ არის განსაზღვრული და თითოეული ინარჩუნებს მის ავტონომიას.

დაკითხვის პრინციპი

ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რასაც შეიძლება მიაღწიოს ჯანმრთელობის დაცვის პროფესიონალმა, არის სექსუალური ძალადობის შესახებ ბავშვის ან მოზრდილის გამოკითხვისას სპონტანური ჩვენების მიცემის მიღწევა. ამისათვის სავალდებულოა შემდეგი პირობების

დაცვა.

პრობლემის ცოდნა

სავალდებულოა, პროფესიონალი კარგად გაერკვეს სექსუალური ძალადობის ბუნებაში და მის დინამიკაში, რადგან შეძლოს სათანადო კითხვების დასმა.

საკითხისადმი ადექვატური დამოკიდებულება

შესაძლებელია, გამომკითხველის მიერ დასმულმა კითხვამ ჩვენების მიღებით გამოწვეული დისკომფორტი გადასცეს ბავშვს. პროფესიონალმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას შეკითხვა, თუ რამდენად არის მზად, მიიღოს ჩვენება და მოემზადოს მისთვის ფსიქოლოგიურად.

სამოქმედო გეგმა

პროფესიონალს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული სამოქმედო გეგმა: როგორ გამოიყენოს ჩვენება? რა თქვას? რა დასკვნები გამოიტანოს? ეს მას სანდოობას შემატებს გამოკითხვის დროს.

სპეციფიკური კითხვების დასმისას, გამოყენებული უნდა იყოს სათანადო ლექსიკა: ბავშვების უმრავლესობა ვერ გაიგებს შემდეგნაირად დასმულ კითხვას: „ყოფილხარ თუ არა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი?“; გაგების შემთხვევაშიც კი, შესაძლოა, ბავშვი არ აიგივებდეს მიღებულ გამოცდილებას „სექსუალურ ძალადობასთან“. უმჯობესია კითხვის ასე დასმა: „შენზე უფროს ადამიანს ხომ არ ჰქონია იძულების მცდელობა, შეხებოდი მის სასქესო ორგანოებს?“. (...) ზოგჯერ მიზანშეწონილია მანამდე დაისვას კითხვა, რომელიც დაეხმარება პროფესიო-

ნალს გაარკვიოს, თუ რა სიტყვებს ხმარობს ბავშვი გენიტალიებზე საუბრისას.

სირთულის ამოცნობა

ჩვენების მიცემამდე, ხშირად ბავშვებს სირცხვილის, შიშის, უხერხულობის გრძნობები ეუფლებათ. იმის გათვალისწინებით, რომ მსგავს გამოცდილებაზე საუბარი რთულია, გამოკითხვის ამ ნაწილში აჩქარება მიზანშეწონილი არ არის. ამას გარდა, ბავშვს აბრკოლებს შიში, თუ რა მოხდება გამხელის შემდეგ. უმჯობესია, დამატებით დაისვას კითხვები და ბავშვს დრო მიეცეს მოსაფიქრებლად, გასცეს თუ არა მათზე პასუხები. ამასთანავე, ბავშვს არ უნდა მიეცეს ჩვენების არ მიცემის პრეტექსტი.

გამოცდილების ნორმალიზაცია

საჭიროა, ბავშვს განემარტოს, რომ მსგავსი რამ სხვა ბავშვებსაც შემთხვევიათ. ეს მას ჩვენების მისაცემად სითამამეს შემატებს.

ჰიპოთეზებისა და მსჯელობის მინიმიზაცია

გამოკითხვის მწარმოებელი პირი უნდა მოერიდოს ვარაუდების დაშვებას მსხვერპლი ბავშვის მიმართ. იგი არ უნდა მიუდგეს ბავშვს, როგორც „განაწყენებულს“ აგრესორის მიმართ.

გასაუბრების პრინციპი

სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, ბავშვის გამოკითხვა მრავალი ასპექტის მომცველი პროცესია და დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე, სიტუაციაზე, ბავ-

შვის ასაკზე, ძალადობის ბუნებაზე, ოჯახის რეაქციაზე, არსებული ინსტიტუციების რესურსებზე და საზოგადოებაზე. (...)

მულტიდისციპლინარული მიდგომა

რამდენიმე წლის წინ, სექსუალური ძალადობის შემთხვევებში პირველად გამოკითხვას აწარმოებდა პასუხისმგებელი პირი: ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ექიმი, სოციალური მუშაკი, პოლიციელი. ჩვენებები შეიძლებოდა მიღებული ყოფილიყო სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა მიერ. მათგან უმრავლესობა მივიდა დასკვნამდე, რომ სავალდებულოა ყოველი დაწესებულებისა და პროფესიონალის როლის მკაფიოდ განსაზღვრა. ამრიგად, ყველა შემთხვევის განხილვა იქნება სამართლიანი და ისარგებლებს შესაბამისი დაწესებულების მომსახურებით. გადაწყვეტილებას მიიღებს მედიცინის, სოციალური სფეროს თუ პოლიციის პროფესიონალთაგან შემდგარი ჯგუფი.

სრული გამოკვლევა

ადრე, სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ყველა ბავშვს არ უტარდებოდა სრული სამედიცინო შემოწმება. ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია ამგვარი გამოკვლევების აუცილებლობა.

გამხელის უარყოფითი გავლენის მინიმიზაცია

ჩვენების მიცემის გადაწყვეტილების მიღებისას, ბავშვებს ნაკლებად შეუძლიათ, წინასწარ განსაზღვრონ მოსალოდნელი არასასიამოვნო გამოკითხვების რაოდენობა. ბავშვს ამოძრავებს ძალადობის შეწყვეტის და იმ პიროვნების მხარდაჭერის სურვილი, ვისაც გადატანილი ძალადობის

შესახებ მოუყვება. სამწუხაროდ, ხშირად ისე ხდება, რომ გამხელას უფრო მეტი ზიანი მოაქვს ბავშვისთვის, ვიდრე ძალადობის ფაქტს. ამიტომ, დიდი ძალისხმევაა საჭირო ამგვარი ჩარევით გამოწვეული უარყოფითი გავლენის შესამცირებლად. გამოკითხვათა რაოდენობა სავალდებულო მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ინფორმაციის მიღებას და ბავშვის დაცვას. მეტად მნიშვნელოვანია, ბავშვის, მისი საჭიროებებისა და მისი დამოკიდებულების გათვალისწინება. ამ მიზნით, აუცილებელია შემცირდეს იმ შეხვედრების რაოდენობა, სადაც იგი დაიკითხება ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით. მეტიც, მნიშვნელოვანია ბავშვს ზუსტად და დაწვრილებით განემარტოს ყველა მოსალოდნელი პროცედურა. ბავშვს უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება, რადგან მან არ ჩათვალოს თავი უფროსთა ბიუროკრატიის მსხვერპლად. (...)

ოჯახის მხარდაჭერის გაზრდა

კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის მატრავმირებელ გავლენის სიმძიმეს დიდწილად განსაზღვრავს ოჯახის წევრების მხრიდან მხარდაჭერის ხარისხი. სამწუხაროდ, სექსუალური ძალადობა ხშირად იწვევს ოჯახური წრისგან ბავშვის დაშორებას. საუკეთესო შემთხვევაში, ოჯახის წევრები დამნაშავედ გრძნობენ თავს მომხდარის გამო. უარეს შემთხვევაში, მათ არ სჯერათ ბავშვის და მოძალადეს იცავენ. მოძალადე შეიძლება იყოს მათთვის ძალიან საყვარელი ადამიანი, მამა, მეუღლე ან ოჯახის რომელიმე სხვა წევრი. უმნიშვნელოვანესია კარგი დამოკიდებულების შენარჩუნება ოჯახის იმ წევრებს შორის, რომლებსაც ძალადობასთან საერთო არაფერი აქვთ. აუცილებელია, მათ გაეწიოთ ფსიქოლოგიური დახმარება და მიეცეთ

საშუალება, გააანალიზონ სიტუაცია, საკუთარი გრძნობები, რათა გაჩენილი უარყოფითი ემოციები მსხვერპლზე არ მიმართონ. ამას გარდა, პროფესიონალებმა ოჯახის წევრებს სრულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მომხდარის შესახებ, დაარწმუნონ ისინი, რომ დაუჯერონ ბავშვს და მის მიმართ თანადგომა გამოხატონ. ასევე, გამართლებულია მშობლების მხარდამჭერი ჯგუფების არსებობა. ზოგჯერ საჭირო ხდება მშობლებისთვის დახმარების გაწევა წარსულში მათ მიერ გადატანილი სექსუალური ძალადობის გამოსავლენად და ტრავმის დასაძლევად.

თავი 2-5

სოციალური მუშაკები, მოსამართლეები: შესაძლებელია ნეიტრალურობის შენარჩუნება, როცა მსხვერპლი ბავშვია?

ინცესტის შემთხვევაში, ბავშვზე სექსუალური ძალადობა არ არის ჩვეულებრივი დანაშაული. არავის არ შესწევს უნარი, დარჩეს გულგრილი სიტუაციის მიმართ, რომელიც სრული სისასტიკით ამსხვრევს ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტაბუს და გამოავლენს კაცობრიობის იმ ასპექტს, რომლზეც უმრავლესობას საუბარიც კი არ გვსურს.

ურთულესია მსგავსი მოვლენის შეფასება. მამას, დედას და შვილებს შორის დამახინჯებული ურთიერთობების გამოაშკარავება სრულიად ეწინააღმდეგება ჩვენს წარმოდგენას ოჯახზე. მსგავსი შემთხვევების აღქმაში, თავად პროფესიონალებიც კი, ქვეცნობიერად, ნაწილობრივ ავლენენ პირად გრძნობებს და თავიანთ დამოკიდებულებას ოჯახურ ცხოვრებაზე. რიგ შემთხვევებში, ეს იწვევს აუხსნელ ქმედებებს მათი მხრიდან გამოკითხვის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესების დროს.

ზოგიერთი სიტუაცია განსაკუთრებით შემაშფოთებელია და შეიძლება უთანხმოების მიზეზი გახდეს ოჯახის ისტორიის (ანამნეზის), ძალადობის ხასიათის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის და თვით მოძალადის ან მოძალადეების იდენტობის გამო. სოციალური მუშაკები, მოსამართლეები და ექსპერტები ვერ თანხმდებიან და „ყველა ინარჩუნებს თავის აზრს“.

ზოგჯერ შესაძლებელია, ნამდვილი კონფლიქტი წარმოიშვას ყველა პროფესიონალს შორის. გამოცდილება გვიჩვე-

ნებს, რომ ეს შემთხვევები ხშირად ეხება ინცესტს დედის მხრიდან, ან ასევე დედის მიერ შვილის მკვლელობას ან მკვლელობის მცდელობას, კერძოდ, მიუნჰაუზენის სინდრომის შემთხვევაში.

მამასა და შვილს შორის ინცესტური კავშირი გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე დედას და შვილს შორის. ეს უკანასკნელი სცილდება წარმოდგენის ფარგლებს. მისი გამოვლენა შოკს იწვევს და ქვეცნობიერად გვიჩნდება მსგავსი ურთიერთობის უარყოფის სურვილი. დედები, რომლებიც ძალადობენ შვილებზე, რასაც შესაძლოა მოჰყვეს შვილის სიკვდილი, ასევე იწვევენ მძაფრ უარყოფით დამოკიდებულებას.

შეფასების სტადიაზე, ჯგუფის ნაწილს ამგვარი ფაქტი დაუჯერებლად მიაჩნია. როგორც წესი, სოციალურ მუშაკებს ქვეცნობიერი შიში აქვთ, რომ მათთვის „კარგი“ დედა დამნაშავედ იქნება ცნობილი. ასეთ შემთხვევაში, ისინი საკუთარი შეხედულებების თავსმოხვევას ცდილობენ ჯგუფის სხვა წევრებისთვის. ამ დროს, პროფესიონალთა მცდარი მსჯელობა რეალურად გამოწვეულია გარკვეულ ასპექტებზე თვალის დახუჭვით.

ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა დედის და ქალიშვილის, აგრეთვე, მამამთილის და რძლის ინცესტურ ურთიერთობას, კონფლიქტმა ბავშვის დაცვის ჯგუფში (ქსელში) ისეთ დონეს მიაღწია, რომ კინაღამ შეუშალა ხელი ჟიუსტინს ნაფიც მსაჯულთა წინაშე ჩვენების მიცემაში.

სასამართლო პროცესზე, ნაფიც მსაჯულთა წინაშე ზუსტად ჩვენების მიცემის წინ, ერთ-ერთმა სოციალურმა მუშაკმა ბავშვს მიუთითა ორ ჟანდარმს შორის, ბრალდებულის სკამზე მჯდარ დედაზე და მიმართა სიტყვებით: „ხედავ,

დედა როგორი დაღლილი ჩანს?“. თორმეტი წლის ასაკში, ნაფიც მსაჯულთა წინაშე გამოსვლა ისედაც საკმაოდ ამაღელვებელია ბავშვისთვის. სოციალური მუშაკი შეეცადა, გოგონასთვის თავს მოეხვია მისი სუბიექტური დამოკიდებულება და გადამწყვეტ მომენტში მასში დანაშაულის გრძნობა გაეჩინა. ჩემი აღშფოთების გამოხატვით, შევძელით თავიდან აგვეცილებინა ბავშვისთვის დამღუპველი გადაწყვეტილების მიღება. ადვილი შესაძლებელი იყო, გოგონას უარი ეთქვა ჩვენების მიცემაზე. საბოლოოდ დედას მიუსაჯეს თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა. ჟიუსტინი გათავისუფლდა ტერორისგან, რომელიც მას წლების მანძილზე ტანჯავდა.

პროცესის შემდეგ ჟიუსტინს ჩაუტარდა მკურნალობის ინდივიდუალური კურსი, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა მისი მდგომარეობა.

ჯგუფის წევრებს შორის მსგავსი კონფლიქტები არსებობს ბავშვის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი ფიზიკური ძალადობის შემთხვევათა განხილვის დროსაც. ზოგიერთი პროფესიონალი აღარ აკვირდება ფაქტების ზუსტ მიმდინარეობას და არც ბავშვის ჩვენებებს. ისინი შემოიფარგლებიან საკუთარი კონცეფციით დედის და შვილის ურთიერთობის შესახებ, ხელმძღვანელობენ საკუთარი ბავშვობის მოგონებებით. ასეთი კონფლიქტები, რომლებიც ჯგუფის შემადგენელი თითოეული ადამიანის ბავშვობის ანარეკლს წარმოადგენს, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას ქმნიან სოციალური მხარდაჭერის განსაზღვრისთვის, თერაპიისთვის და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მართლმსაჯულების პროცესის სწორად წარმართვისთვის.

ეს კონფლიქტები იმდენ ენერგიას მოითხოვს ჯგუფის წევრებისგან, რომ საბოლოოდ, არცთუ ისე იშვიათად, პროფესიონალის მიერ ისეთ რთულ პროფესიაზე უარის თქმის მიზეზი ხდება, როგორიც არის ბავშვთა დაცვა. ამას ვუწოდებთ პროფესიულ „გადაწვას“.

თავი 2-6

რა ვადა აქვს მსხვერპლს საჩივრის შესატანად?

როდესაც შედგენილია აქტი ძალადობის შესახებ, მსხვერპლ ბავშვს, უფრო სწორად, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადმინისტრატორს გონივრული ვადა ეძლევათ სასამართლოში სარჩელის შესატანად, დამნაშავის დასჯის და ზარალის ანაზღაურების მოსათხოვნად. უმეტეს შემთხვევებში, გამოვლენის დროს, მიყენებული ზარალის დადგენა და სასამართლო პროცედურა პრაქტიკულად ერთდროულად მიმდინარეობს.

დიდ სირთულეებს იწვევს დაუდასტურებელი დანაშაულებრივი ან კრიმინალური ქმედებები, რადგან ბავშვი, მის სრულწლოვანებამდე, მოძალადე ოჯახში რჩება. ასეთ შემთხვევაში, აგრესორი მშობლის მეურვეობის ქვეშ მყოფ ბავშვს სამართლებრივი ქმედების უფლება არ აქვს. კანონით დადგენილი ვადები შეიძლება ამოიწუროს უფრო ადრე, ვიდრე ბავშვი ინცესტური ურთიერთობის მარწუხებისგან ფსიქოლოგიურად გათავისუფლდება. სწორედ ამ მიზეზის გათვალისწინებით, 1989 წლის 10 ივლისის კანონის თანახმად, სამართლებრივი ქმედებების დაწყების ვადა გახანგრძლივებულია მსხვერპლი ბავშვის სრულწლოვანებიდან 10 წლით. მსხვერპლ ბავშვს საშუალება მიეცა, შეიტანოს სარჩელი მასზე მოძალადის/მოძალადეების წინააღმდეგ 28 წლის ასაკამდე. ხოლო 2004 წლის 9 მარტის კანონის მიხედვით, ეს ვადა კიდევ 10 წლით გახანგრძლივდა, ანუ 38 წლის ასაკამდე. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ზრდასრულ ასაკში სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცედურის წამოწყება ბავშვობაში გადატანილ ძალადობასთან დაკავშირებით, მოითხოვს ხასიათის დიდ სიმტკიცეს.

ზოგიერთებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ვადის პირველი გახანგრძლივება. ამას მოჰყვა ვადის მეორედ გახანგრძლივება, მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ სამართლებრივი ქმედების დაწყების ვადები რამდენჯერმე გახანგრძლივდა, მაინც არსებობს მეტად საგულისხმო სირთულეები. მაგალითად, ჯერაც არ არის გათვალისწინებული ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა ნაწილობრივი ან სრული ამნეზია. ეს მახასიათებელი ხშირად აღენიშნება ძალადობის მსხვერპლს, როგორც გადატანილი ძალადობისგან ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის დამახასიათებელია ამნეზიის მრავალი სახეობა. როგორ შეიძლება აიხსნას ზრდასრული ადამიანის მიერ მოულოდნელად ისეთი მტკივნეული ამბის გახსენება, როგორიცაა ძალადობის აქტი?

დამახსოვრება არის ფენომენი, რომელიც რთული მექანიზმებით მიმდინარეობს, ხშირად სრულიად გაუცნობიერებელად. ისეთი მოულოდნელი თავდასხმების დროს, როგორიცაა, მაგალითად, ბომბის აფეთქება, მეხსიერების უნარი ქვეითდება მიღებული შოკის გამო. მდგომარეობიდან უვნებლად გამოსვლის შემთხვევაში, მსხვერპლს გარკვეული ფსიქოპათოლოგიური მოვლენები აღენიშნება.

შოკით დისოცირებული (პასიური) ინდივიდი უძლურების გრძნობით არის მოცული. მომდევნო წამებში მისი მოქმედება გაუაზრებელი და თითქმის მექანიკურია. იგი აფეთქების შედეგად გვერდით მყოფ დაზარალებულს უწევს დახმარებას საკუთარი უსაფრთხოების საზიანოდ, ან აფეთქების ადგილიდან რაც შეიძლება შორს გარბის.

მას არ ექნება უნარი, „გადმოსცეს“ შოკის გამომწვევი

მოვლენის ზუსტი მსვლელობა და არ ემახსოვრება, რაც ნახა, თქვა ან მოიმოქმედა. მას დარჩენილი ექნება მოგონებების ფრაგმენტები, რომელთა მეხსიერებიდან გამოდევნა ფსიქოლოგის დახმარებით მოხდება.

აფეთქება დაკავშირებულია ომთან... ტრავმატული ნევროზების სიმპტომები ჩამოთვლილი და აღწერილი აქვს ზიგმუნდ ფროიდს 1914-1918 წლის ომის შემდეგ. მათ რიცხვს მიეკუთვნება განმეორებადი კოშმარები, სიკვდილის შიში, ფსიქოსომატური აშლილობა, თავის არიდების და განრიდების ქცევა, მეხსიერების დარღვევა, აკვიატებული სურათებ-ხატები. ეს თეორიული კვლევები ვიეტნამის ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებზე დაკვირვებამაც დაადასტურა.

„აფეთქება ბავშვის სხეულში“: ამ სიტყვებით აღწერენ ძალადობის მსხვერპლები ოცი წლის წინ გადატანილ თავდასხმებს. ეს სიტყვები ნასესხებია ომისა და ტერორიზმის ლექსიკონიდან შიშის, მოულოდნელობისა და სიკვდილის შიშის გამოსახატად, რაც მათ განიცადეს ინცესტის დროს.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ტრავმული შოკის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ინცესტური ან პედოფილური ძალადობის მსხვერპლები ქვეცნობიერად უკუაგდებენ მეხსიერებიდან ემოციურად უმართავ მოვლენებს. მოგონებების ზედაპირზე ამოსაწევად საჭიროა განსაკუთრებული კონტექსტი.

ეს კონტექსტი შეიძლება თავად იყოს სასტიკი: პირველად გადატანილი ძალადობის აქტი შეიძლება დააბრუნოს მეხსიერებაში მომდევნო თავდასხმამ. ხშირად სასიყვარულო კონტექსტმა, კერძოდ, სექსუალურმა ურთიერ-

თობამ შეიძლება გააცოცხლოს იმ დრომდე უკუგდებული მოგონებები.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობას არ აქვს წვდომა მის მოგონებებთან, რაც მეტად სპეციფიკური მდგომარეობაა.

ჟანა, 25 წლის, არის დეპრესიული და მიდრეკილი თვითმკვლელობისკენ. მან, საქმროსთან სქესობრივი კავშირის დამყარების მცდელობისას, გონება დაკარგა. მას ამოუტივტივდა მეხსიერებაში მისი ინცესტური კავშირი. ამ გარემოებით აღელვებულმა ჟანამ მიმართა დახმარებისთვის და დედასთან და დასთან ერთად გაიარა თერაპიის კურსი, რომლის დროსაც აღმოჩნდა, რომ მამამისი ასევე ძალადობდა მის უმცროს დაზე. ნელ-ნელა, მოხერხდა სრული სიმართლის აღდგენა მათი ოჯახის შესახებ. ჟანამ მამის წინააღმდეგ სამართლებრივი ქმედებების წამოწყება გადაწყვიტა. მისი სიმართლე დაადასტურა სხვადასხვა ექსპერტმა, ფსიქიატრმა, ექიმმა, რაც ასევე დადასტურდა მის სხეულზე არსებული ნაიარევებითაც. მამა, რომელიც გამოძიების დროს მიიმალა, დამნაშავედ ცნეს და სასამართლო პროცესზე მას დაუსწრებლად მიესაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამართალი გულისხმობს დამნაშავის დაუსწრებლად გასამართლებას, თუ ბრალდებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესს არ ესწრება. იგივეს გულისხმობს სისხლის სამართალიც მძიმე კატეგორიის საქმეებისთვის. ლარუსში, ფრანგული ენის განმარტებით ლექსიკონში, დაუსწრებლობა მიჩნეულია დანაშაულის აღიარებად.

ტიერი, ოცდათხუთმეტი წლის, იყო გაუპატიურებული რვა წლის ასაკში. წლების მანძილზე, ის სრულებით გა-

მოდევნის ცნობიერებიდან ამ ძალადობას. ტიერი დაქორწინდა, შემდეგ მამა გახდა. მისი უფროსი შვილის დაბადების დღეს, როდესაც ბავშვი რვა წლის გახდა, ტიერს სრული სიზუსტით წარმოუდგა თვალწინ ძალადობის აქტი, რომლის მსხვერპლიც თავად იყო ბავშვობაში.

შესაძლებელია, ქალს მოულოდნელად გაახსენდეს მამის მიერ გაუპატიურება პირველი მშობიარობის დროს. მაგალითად, ვირჟინი ტალმონს უცბად დაეუფლა უსიამოვნო გრძნობა, როდესაც შეამჩნია მამამისის ხელი მისი შვილის მუცელზე.

აქ არ არის საუბარი განყენებულ შემთხვევებზე. არაერთმა თერაპიულმა ჩარევამ ზრდასრული ასაკის პირებთან მოგვცა საშუალება, „დაბადებულიყო“ იმ დრომდე მსხვერპლის მეხსიერებაში ღრმად შენახული მოგონებები. ხშირად ეს ხდებოდა დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, რასაც მსხვერპლი ხშირად უსამართლობად მიიჩნევს. საფრანგეთის კანონმდებლობა გულისხმობს ერთგვარ დავიწყების უფლებას, მაშინ, როცა სხვა ქვეყნები არ ცნობენ ხანდაზმულობის ვადას სისხლის სამართლის საქმეებზე და დამნაშავეთა სამართლებრივი დევნა დასაშვებია მათი სიცოცხლის ბოლომდე.

ეს მდგომარეობა მეტად აღმაშფოთებელია, რადგან, მაგალითად, საზოგადოებრივი ქონების მითვისების საქმეებზე ხანდაზმულობის ვადა მოქმედებს ფაქტების დადგენის დღიდან.

ამ პარადოქსული სიტუაციის ილუსტრირების მიზნით, მოვიყვან მაგალითს, რომელიც წამოადგინა ჩემმა მეგობარმა, ადვოკატმა პიერ-ოლივიე სიურმა. იგი აწარმოებს

კვლევებს ისეთ რთულ საკითხზე, როგორიცაა მსხვერპლის უფლებები სამართალწარმოებაში.

„დამნაშავის აპოლოგეა, ჭა და მოტოციკლეტი“.

სამი ახალგაზრდა - ორი ბიჭი და ერთი გოგონა - გადაწყვეტენ ერთობლივად შეიძინონ მოტოციკლეტი და შექმნეს მცირე საზოგადოება. ორივე ბიჭს უყვარდა ეს გოგონა, რომელმაც უარყო ერთი და დათანმხდა მეორეს. როდესაც ეს შეიტყო უარყოფილმა, მოკლა მეგობარი და ჩააგდო ჭაში მოტოციკლეტთან ერთად, ხოლო შემდეგ გააუპატიურა გოგონა. მკვლელობის და გაუპატიურების შედეგად ტრავმირებულ გოგონას მეხსიერებიდან სრულებით ამოვარდა სცენა, რომელიც მიმდინარეობდა სხვა მოწმის გარეშე. თხუთმეტი წლის შემდეგ, იმ ადგილზე მისვლისას, გოგონას გაახსენდა ყველაფერი. ჭიდან იყო ამოღებული მოტოციკლეტი და ის, რაც იყო დარჩენილი უბედური ახალგაზრდა ბიჭის სხეულიდან. იცით რა ელის დანაშაულის ჩამდენს? იგი არ იქნება გასამართლებული არც გაუპატიურების და არც მკვლელობის ჩადენისთვის. სამაგიეროდ, მან უნდა აანაზღაუროს მოტოციკლეტის დაზიანებით მიყენებული ზარალი, რადგან ვადის ათვლა იწყება დანაშაულის მხილების დღიდან! ასეთია ჩვენი სამართალი, რომელიც იცავს ქონებას და არა ადამიანს.

1998 წლის 18 ივლისის კანონმა სიტუაცია შეცვალა და მსხვერპლს საშუალება მისცა, დანაშაულის ჩადენიდან ოცი წლის ვადაში შეიტანოს სარჩელი სასამართლოში არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ. 2004 წლის 9 მარტის კანონით, მანამდე არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა - დამამძიმებელი

გარემოებებში არასრულწლოვნის გაუპატიურების და მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, მსხვერპლის სრულწლოვანებიდან ოცწლიანი ვადით გახანგრძლივებით; ხოლო მისი სრულწლოვანებიდან ათი წლის ვადით - არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის, მისი გარყვნის, უხამსი მოპყრობის, არასრულწლოვანთა კორუფციისა და პორნოგრაფიული სურათებისთვის. (დანაშაული, რომელიც მანამდე კანონმდებლობით არასაკმარისად იყო გათვალისწინებული).

ზოგიერთი მოსამართლე უკმაყოფილებას გამოთქვამს კანონის ახალი დებულებების გამო... მაგრამ, არასრულწლოვანთა ძალადობის დრამატული შედეგების გათვალისწინებით, ვსვამ კითხვას: „როდის აღიკვეთება ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობა?“

თავი 2-7

როგორ ხდება მსხვერპლის კომპენსაცია?

სხეულისა და ფსიქოლოგიური ტრავმების გარდა, დანაშაულის დადგენის შემდეგ ძალადობის მსხვერპლისთვის იწყება დამატებითი დესტაბილიზაციის ფაზა.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მოსამართლის გადაწყვეტილებით, მსხვერპლი ბავშვი სასწრაფოდ უნდა გამოიყვანონ ოჯახიდან, რადგან მშობლები ბავშვის უსაფრთხოებას საშიშროებას უქმნიან. ბავშვი, რომელიც ვერ იქნება სათანადოდ დაცული საკუთარი მშობლების მიერ, გადაყვანილი უნდა იყოს მიმღებ ოჯახში, რომელსაც შეარჩევს დეპარტამენტის სანიტარული და სოციალური ქმედების სამსახური. ეს პროცედურა გარკვეულ დროს მოითხოვს. იმ შემთხვევაში, თუ ბიოლოგიური ოჯახიდან ბავშვის გამოყვანა სასწრაფოდ უნდა მოხდეს, მიმღებ ოჯახში გადაყვანამდე მას გარკვეული პერიოდის გატარება უწევს თავშესაფარში, რაც ბავშვს „ადგილის არქონის“ შთაბეჭდილებას უქმნის. „მიუსაფარი“ და კანონდამრღვევი მოზარდების გარკვეულ რაოდენობა ამ ქაოტურ გზას გადის.

სრულწლოვანებას მიღწეული, თითქმის მარტო დარჩენილი, მშობლების ძალადობის მსხვერპლი ახალგაზრდა დიდ სირთულეებს აწყდება სამომავლო ცხოვრების მოწყობაში: დეპარტამენტის მხრიდან მიღებული სოციალური დახმარება გათვალისწინებულია მხოლოდ ოცდაერთი წლის ასაკამდე. იგი არის სოციალურად დაუცველი მაშინ, როდესაც ამ ასაკის სხვა ახალგაზრდების უმრავლესობა მშობლების მფარველობის ქვეშაა.

1998 წლის 17 ივნისის კანონი ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლთათვის სპეციფიკურ სამედიცინო-სოციალურ დახმარებას და 100%-ით ანაზღაურებს „ძალადობით მიყენებულ დაზიანებათა“ მკურნალობის ხარჯებს. მაგრამ ეს დახმარება ლიმიტირებულია და მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებს ითვალისწინებს, მაშინ, როდესაც ძალადობით მიყენებული ტრავმები ხანგრძლივ ჩარევას საჭიროებს. აუცილებელი იქნება დაზუსტება, რადგან „ძალადობით მიყენებული დაზიანებები“ შეიძლება მოითხოვდნენ მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას აგრესორის გასამართლების შემდეგაც. პარადოქსული იქნება მოძალადის ფსიქიატრიული მკურნალობა, მაშინ როდესაც მსხვერპლი შეიძლება ყოველგვარი დახმარების გარეშე დარჩეს.

იურიდიული თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ბავშვისთვის ან მოზარდისთვის პრობლემის გადაჭრა, აუცილებელია იმის კონტროლი, რომ მსხვერპლმა გარკვეული ანაზღაურება მიიღოს მისთვის მიყენებული ზიანის სიმბოლური კომპენსაციისთვის. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ეს ანაზღაურება ბავშვში უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს. მისთვის ეს არის „ბინძური ფული“. იგი არ თანხმდება ან ვერ ხვდება, თუ რატომ სთავაზობენ ფულს მისი ტკივილის საზღაურად.

ბავშვთა ადვოკატები უნდა იყვნენ ინფორმირებული, სასამართლო პროცესის დროს, ძალადობის მსხვერპლთა კომპენსაციის კომისიის (CIVI) წინაშე ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის შუამდგომლობის შესახებ. ამ შემთხვევაში კომპენსაციას უზრუნველყოფენ „გარანტიის ფონდები“. იგულისხმება გარეშე მორალური პირი, ხშირად ASE (ბავშვობის დამცველი ასოციაცია), საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლთა დაცვის ასოციაციები (შემდგა-

რი სამოქალაქო პირებისგან). დეპოზიტი იდება მოთხოვნის კანონიერების დადასტურებამდე.

ზოგიერთი დეპარტამენტის ბავშვობის სოციალური დაცვის ასოციაციებმა, მაგალითად ვოკლუზში, ახალი პრაქტიკა შეიმუშავეს: როგორც კი პროფესიონალები გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომ სექსუალური ძალადობის შედეგების სიმძიმის მიხედვით, ბავშვს ესაჭიროება თანხლება სასამართლოში, ყალიბდება სამოქალაქო საპროცესო მხარდაჭერა. ბავშვი სასამართლოში წარმოდგენილი იქნება სპეციალური ადმინისტრატორის მიერ და გვერდით ეყოლება ადვოკატი. კანონის თანახმად, არასრულწლოვანს არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი სასამართლოში.

2004 წლის 2 იანვრის კანონის თანახმად, ბავშვობის დამცველ ასოციაციებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არასრულწლოვანთა ძალადობის ყველა საქმეში სამოქალაქო პირის სახით. ამ პროცესების ხანგრძლივობა და სირთულე დიდ ენერგიას, სიფხიზლეს და მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს იმისთვის, რომ მსხვერპლს გაეწიოს როგორც ფსიქოლოგიური, ისე ტექნიკური დახმარება.

დიდი ქალაქების უმრავლესობაში არსებობს მსხვერპლთა დაცვის (იურიდიული და ფსიქოლოგიური) უფასო სამსახურები. კომისარიატში ან ჟანდარმერიაში საჩივრის შეტანის შემდეგ, მოსარჩელეს, მხარდაჭერის მისაღებად, ქმედებათა სრული ინსტრუქცია ეძლევა.

თავი 2-8

რას ითვალისწინებს კანონი მოძალადე ოჯახისთვის?

კანონთან კონფლიქტში მყოფი ოჯახები

მოძალადე ოჯახები კონფლიქტში არიან კანონთან. კანონის ნაცვლად, ისინი აბსურდული და საშიში წესებით, ხელმძღვანელობენ. ძალადობის ფენომენს უნდა დაუპირისპირდეს მზრუნველობა მსხვერპლ ბავშვთა მიმართ. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს საშუალება უნდა მიეცეთ, რომ მოხდეს ძალადობრივი წესების აღკვეთა მართლმსაჯულების გზით. ეს არცთუ ისე ადვილია.

მამინაცვალი როზზე უფრო მეტად ძალადობდა, ვიდრე მის ძმებზე. მოძალადე, რომელიც მას სისტემატურად სცემდა (და აუპატიურებდა), თავის საქციელს იმით ხსნიდა, თითქოს სხვა შემთხვევაში ძმები იფიქრებდნენ, რომ როზი არის მისი რჩეული შვილი.

მოძალადე მამა, მამინაცვალი ან ბაბუა შეურაცხყოფს კაცობრიობის, ყველა საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ კანონს, რომელიც კრძალავს ინცესტს და ინდივიდს აიძულებს, რომ პარტნიორი საკუთარი ოჯახისგან მოცილებით ეძებოს.

მოძალადე მთელ ოჯახს კარნახობს მისეულ კანონს, მისეულ ტირანიას, ინცესტურ კავშირს, რაც არღვევს ურთიერთობას მშობლებს და შვილებს შორის. ხდება როლების აღრევა: გოგონა გადაიქცევა დედის მტრად, „მისი მეუღლის საყვარელ ქალად“, ხოლო ვაჟი - ერთგვარად გამორჩეულ უფროს შვილად.

ასეთ ოჯახში ქაოტური გრძნობები ჩნდება. მსხვერპლ ბავშვს ერთდროულად აქვს მიჯაჭვულობის და სიძულვილის გრძნობები, რაც ხელს უშლის მას ნაბიჯის გადადგმასა და მართლმსაჯულებისთვის მიმართვაში.

ტაიტელები ინცესტს შემდეგნაირად განმარტავენ: ინცესტისას, მოძალადე პიროვნება არის „სისხლის მჭამელი“, იგი შთანთქავს საკუთარ ოჯახს და საკუთარ თავს.

თერაპიის მიზანს წარმოადგენს როლების ნორმალური გადანაწილების აღდგენა, მომაკვდინებელი ინცესტის ჩანაცვლება იმ კანონით, რომლითაც ხელმძღვანელობს სრულიად კაცობრიობა, რომელიც გვკარნახობს საზოგადოებაში ქცევის ნორმებს და კრძალავს ინცესტს.

ძალადობის გამოვლენისას, მაგალითად, როდესაც ბავშვი სკოლაში გაამხელს მის საიდუმლოს, მოძალადე ოჯახი კონფლიქტში მოდის საზოგადოებასთან. ინცესტის დამახინჯებული (ტრანსაგრესიული) წესები უპირისპირდება საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს და მორალს, რომელიც ინცესტს კრძალავს. თერაპიის პროცესში, ჩვენი ერთ-ერთი მიზანია ამ კონფლიქტის მოგვარება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ინცესტურ ოჯახში არსებული დამანგრეველი ურთიერთობების შეცვლას.

კანონის ყველა ასპექტი მიმართული უნდა იყოს ინცესტური მამის დიქტატორული ხატის მოსასპობად. ბავშვი შეძლებს მიიღოს მსხვერპლის სტატუსი, რომელიც ესაჭიროება მას გარკვეული ხნის განმავლობაში, ხოლო შემდგომში გათავისუფლდება მისგან.

სავალდებულოა მიმართვა სამართალდამცავ ინსტანციებსა და ძალოვან სამსახურებში აგრესორის დასასჯელად

და მსხვერპლის დასაცავად. სასამართლო პროცესის სიმბოლური ეფექტი, რომელიც ოფიციალურად ცნობს ბავშვს მსხვერპლად და აგრესორს დამნაშავედ, ხელს უწყობს დაზარალებული ბავშვის ფსიქიკის რეორგანიზაციას.

პოლიციელები, ჟანდარმები, პასუხობენ მცირეწლოვანი ბავშვის დაცვის საჭიროებებს და ბავშვს არ აქვს შიში სამართალდამცავთა მიმართ. მისთვის პოლიციელის უნიფორმა გაიგივებულია იმ საქმიანობასთან, რომლის ავტორიტეტსაც იგი ცნობს. ბუნებრივია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოძალადე მამა ასრულებდა რომელიმე ამ ფუნქციას.

სასამართლო პროცესები დადებითად მოქმედებს მსხვერპლი მოზარდების მდგომარეობაზე. მათ ცხოვრებაზე საუბარი, მოძალადის დამნაშავედ ცნობა ხელახლა სძენს აზრს მათ არსებობას, ორიენტირებსა და ფასეულობებს უჩვენებს მათ.

სასამართლო პროცესის თერაპიული ეფექტი მსხვერპლთან მიმართებაში აშკარაა, მაგრამ მან შეიძლება ასევე დადებითი გავლენა იქონიოს ზოგიერთ მოძალადეზეც, თუკი ისინი გააცნობიერებენ თავიანთი ქმედებების სრულ სისასტიკეს.

დამნაშავეები, როგორც წესი, საკუთარ პასუხისმგებლობას უარყოფენ და არანაირ თანაგრძნობას არ გამოხატავენ მსხვერპლის მიმართ. ზოგჯერ მომხდარა, რომ მოძალადე „ტყდება“ და ან სასამართლო პროცესზე, ან საგამოძიებო დაკითხვის დროს აღიარებს, რომ წარსულში თავად იყო ძალადობის მსხვერპლი.
დენი, მამა, რომელსაც ინცესტური კავშირი ჰქონდა თავის

შვილთან, გამოძახებულია პოლიციის ინსპექტორთან, შვილის ჩვენებასთან დაკავშირებით. მოულოდნელად, პირველად თავის სიცოცხლეში, ყვება ინცესტურ ეპიზოდს პირადი ცხოვრებიდან და ამბობს, რომ ახალგაზრდობაში თვითონ იყო გაუპატიურებული საკუთარი მამის მიერ... ამ შემთხვევაში, დაპატიმრებით და სოციალური სამსახურის სწრაფი მოქმედებით გამოწვეული შოკი გადამწყვეტი აღმოჩნდა განდევნილი მოგონებების გასაცოცხლებლად.

როდის იწვევს განქორწინებას ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობა

ახალგაზრდა დედის განქორწინების განაცხადს დართული სარჩელი მცირეწლოვანი შვილის მიმართ განხორციელებული სექსუალური თავდასხმების შესახებ, ექვემდებარება გადამოწმებას, როგორც თერაპიის, ისე იურიდიული კუთხით.

პოლიციელები და მოსამართლეები ხშირად ეჭვობენ, რომ დედებს ამოძრავებთ მხოლოდ ქმრისგან კომპენსაციის მიღების სურვილი. მეტიც, ისინი არ ითვალისწინებენ ოჯახის ისტორიას, სადაც ძალადობა თაობიდან თაობაში გრძელდება.

ამრიგად, ოჯახში ძალადობის კვლევებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ქალები, რომლებსაც სცემდნენ, ხშირ შემთხვევებში, ბავშვობაში მსგავსი ძალადობის მსხვერპლი ან ამგვარი დანაშაულის მოწმეები იყვნენ. მათ სასიყვარულო ურთიერთობებში ხშირად ვაკვირდებით განხეთქილებებს ძალადობის ნიადაგზე. შერიგებისას, მათ აქვთ ილუზია, რომ ძალადობა თავისთავად დასრულდება. მაგრამ ეს მეტად იშვიათად ხდება დახმარების და ჩარევის გარეშე.

ქალები, რომლებსაც ადრეულ ასაკში მათ მიმართ ან მათ თვალწინ განხორციელებული ძალადობის აქტებით გამოწვეული ფსიქოლოგიური ფრაგმენტაცია აღენიშნებათ, დიდხანს ვერ აცნობიერებდნენ საკუთარ ბავშვობაში გადატანილ ტანჯვას. ისინი სხვაგვარად რეაგირებენ შვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე. ასეთი ქალები მომხდარს ხშირად მხოლოდ მოძალადე ქმართან ან საყვარელ ადამიანთან დაშორების შემდეგ იაზრებენ. ისინი ნელ-ნელა ახერხებენ გარემოს უკეთესად აღქმას და კარგავენ მათი მეუღლის/საყვარელი ადამიანის იდეალიზირებულ ხატს. მათ დაკარგული დროის ერთგვარად ანაზღაურების სურვილი უჩნდებათ.

შედეგად, ქალბატონები ელოდებიან პროფესიონალებისგან სიტუაციაში სწრაფად გარკვევას. საკმაოდ ხშირად ისინი ავლენენ მოუთმენლობას, სულსწრაფობას, წინააღმდეგობრიობას, მოუხერხებლობას. ყოველივე ეს ხელს უშლის საბოლოო მიზნის მიღწევას - ბავშვის ეფექტურად დაცვას. დაგვიანებული გააზრება (prise de conscience) ხშირად აბნევს მოსამართლეებს, რომლებმაც, თერაპევტებისგან განსხვავებით, არ იციან ასეთი დედების პირადი ცხოვრება და ვერ ხსნიან მათ პარადოქსულ ქცევას.

ხშირად ასეთი საქმეები სრულდება უარყოფითი დასკვნით, რაც არ უტოვებს დედას არავითარ იმედს სამართლიანობაზე. საკუთარ მოლოდინში იმედგაცრუებული, ზოგიერთი დედა არღვევს კანონს და უჩინარდება შვილთან ერთად. თუ მათ არ იგრძნეს თანადგომა, იმედს კარგავენ, რომ ვინმე მათ გაუგებს.

2003 წელს, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა საჭიროდ ჩათვალა, დაესახელებინა საფრანგეთი, როგორც „სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისა და

მათი დამცველი პირების მიმართ მართლმსაჯულების ხარვეზების მქონე“ ქვეყანა. მან „წინდახედულობის პრინციპით ხელმძღვანელობის“ რეკომენდაცია გასცა მართლმსაჯულების ყველა იმ პროცესის მიმართ, სადაც არ დადასტურდა ბავშვის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტი.

ბუტ შომონის ცენტრში ყოველთვის ვიწყებ გაგიჟებული დედებისთვის იმის ახსნას, რომ ეს არ არის შეჯიბრი სირბილში, არამედ ჩართვა მარათონში. მათ უნდა ჩაისუნთქონ, რათა მათი შვილები, მათ მსგავსად არ აღმოჩნდნენ ფსიქოლოგიური ტერორის სამყაროში. მოზრდილების მიერ მიღებული გადაწყვეტილება მას ეხება. ის არის მსხვერპლი, რომელსაც ვერ გაუგეს. არ არის საჭირო ყოყმანი მათთვის შესახსენებლად, რომ მათ თავად, მათი უმეცრებით, გამოიწვიეს პრობლემა, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ. ისინი ვალდებულნი არიან, შეინარჩუნონ სიმშვიდე და იზრუნონ კანონიერ გამოსავალზე...

ბავშვმა ნებისმიერ დროს შეიძლება მიმართოს დახმარებისთვის. მას ყოველთვის აქვს უფლება, გაამჟღავნოს თავისი ამბავი. 2000 წლის 6 მარტიდან, დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანიზაცია უფლებამოსილია დაიცვას და გაავრცელოს ბავშვთა უფლებები, დადგენილი ბავშვის უფლებათა საერთაშორისო კონვენციით და მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციით 1989 წლის 20 ნოემბერს: ბავშვთა დამცველმა (ომბუცმენმა) უნდა განიხილოს ინდივიდუალური მოთხოვნები. მართალია, ქ-ნი კლერ ბისე, ბავშვთა ამჟამინდელი დამცველი, თავად არ მონაწილეობს მართლმსაჯულების პროცესებში, იგი უპირობოდ თანაუგრძნობს ბავშვებს, რომლებიც მას წერენ წერილებს და პირადად პასუხობს მათ.

ოჯახის საქმეთა მოსამართლეს შეუძლია მიიღოს გადაწყვე-

ტილება ბავშვის მოძალადე მშობელთან გაშვების შესახებ და არ გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ბავშვი არის ძალადობის მსხვერპლი; მაგრამ ვისაც არ უნახავს სასამართლოს გადაწყვეტილებით აღშფოთებული ბავშვი, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წინააღმდეგობის გაწევა, და თუ რა სიამაყით გამოაქვს მას პასუხი დამცველის კაბინეტიდან, არ იცის, თუ რამდენად შეიცვალა მსოფლიო.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა დამცველს არ შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკა, ბავშვისთვის წერილის მიღება სახელმწიფო მოხელისგან, რომელიც მას პასუხობს შავით თეთრზე, რომ „არცერთ უფროსს არ შეუძლია მართოს მისი გრძნობები“, - ეს არ არის არაფერი. ბავშვებს უტარდებათ სამოქალაქო აღზრდის გაკვეთილები. მათ იციან, რომ სარგებლობენ გარკვეული უფლებებით. წერილი იწერება ბლანკზე, რომელზეც გამოსახულია რესპუბლიკის დროშა, რომელიც იცავს მათ გადაწყვეტილებას, მიაწვდინონ ხმა პროფესიონალებს, რომლებიც შეაფასებენ მათ მდგომარეობას.

ამგვარად, ბავშვებს ესმით, რომ არსებობენ დედისგან დამოუკიდებლად. სწავლობენ შიშის ტყვეობიდან გამოსვლას მტკიცე გადაწყვეტილების მიღებით. მათი შინაგანი ჩამოყალიბება მისცემს ძალას, წინ აღუდგნენ ნებისმიერ მუქარას და შეურაცხყოფას, გაუმკლავდნენ მენტალურ პრობლემებს და მშობლის მანკიერებას, თუკი სხვას არაფერს შეუძლია მოარიდოს იგი ამას. პირადად მიმართვის უფლება მათ აძლევს საშუალებას, გაიზარდონ შიშის გარეშე.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, ბავშვთა დამცველმა განაცხადა, რომ "სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების საქმეების 70% არ ხვდება სისხლის სამართლის ან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში“.

თავი 3-1

მოძალადე დედა ნამდვილად არსებობს?

სექსუალური მოძალადეები, როგორც წესი, მამრობითი სქესის არიან. რაც შეეხება ინცესტს, ბავშვზე მოძალადე, უმეტეს შემთხვევაში, არის ბავშვის მამა, მამინაცვალი, ბაბუა ან ბავშვის უფროსი ძმა.

ინცესტი დედასთან უფრო იშვიათი მოვლენაა, იმდენად, რომ ამ შემთხვევების რაოდენობა სათანადოდ შესწავ-ლილი არ არის. ამის ერთ-ერთი მიზეზია ქალის ფიზი-კური აგებულება, რადგან ასეთ შემთხვევებში არ ხდება გენიტალიების დაზიანება.

აღსანიშნავია სოციალური მიზეზიც: ყველა სქესობრივ ტაბუს შორის, დედასთან ინცესტი ყველაზე წარმოუდ-გენელი მოვლენაა. ეს არის სექსუალური ძალადობის ფორმა, რომელიც ყველაზე უფრო რთულად მისაღებია.

ხშირად, მოძალადე დედები წარსულში მიტოვებული იყვნენ დედის, მამის ან საყვარელი ადამიანის მიერ. ისინი შეიძლება თავადაც იყვნენ ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ ძალადობის ეს ფაქტები არც გამოვლენილი და არც თავად მის მიერ ყოფილა აღიარებული. საყვარელი ადამიანის მიერ მიტოვება, ან მის მიერ განხორციელე-ბული ძალადობა გადამწყვეტ როლს ასრულებს შვილის მიმართ ძალადობაზე.

დედების ისეთი კატეგორიაც არსებობს, რომელთა ინცეს-ტური დამოკიდებულება ბავშვის სხეულის მოვლაზე

ზრუნვით არის შენიღბული. დედას და ქალიშვილს შორის ინცესტს ზოგჯერ სხეულის „თანამონაწილეობის“ სახე აქვს. დედა შვილს იყენებს როგორც საყვარელს, რომელიც მას მოუვლიდა, მოეფერებოდა. დედას და შვილს შორის ხდება როლების აღრევა და გადადის სექსუალურ ურთიერთობაში. ამგვარი ძალადობა იძულებით მიიღწევა. დედა შვილისადმი სიყვარულს მხოლოდ სექსუალური აგზნების ფაზაში გამოხატავს; უფრო თავშეკავებული, ვიდრე მამაკაცის სექსუალურობა, - ეს ფორმაც საკმაოდ მძიმე შედეგების მომტანია, მისი გარყვნილებითი ხასიათის გამო.

ზღვარი სხეულის მოვლასა და სექსუალურ ძალადობას შორის მცირეა. თუ ბავშვს აჩვევენ სისუფთავეს, თუკი ნორმალურია რომ პირველ წლებში მშობლები ეხმარებიან მას თავის მოვლაში, მათ არ უნდა გამორჩეთ მხედველობიდან, რომ სხეული რომელსაც ბანენ, არის ბავშვის „საკუთრება“, რომელიც მან თავად უნდა შეიცნოს და თანდათანობით მიეჩვიოს.

ეს პრინციპი განსაკუთრებით ვრცელდება ინტიმური ადგილების მოვლაზე. ზოგიერთი აზრისგან განსხვავებით, რაც გვხვდება სახელმძღვანელოებში ბავშვთა მოვლის შესახებ, სასქესო ორგანოები არ უნდა წარმოადგენდნენ სათუთი მოვლისა და განსაკუთრებული ყურადღების საგანს. პატარა ბავშვის სასქესო ორგანო, გოგოსი იქნება ეს თუ ბიჭის, არ უნდა იყოს გაიგივებული ზრდასრული ადამიანის სასქესო ორგანოსთან და იგი არ მოითხოვს იგივე ჰიგიენას.

ეს შენიშვნა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მოკრძალებული დამოკიდებულება სასქესო ორგანოს მიმართ ჩნდება ბავშვებში ძალიან ადრეულ ასაკში. ეს ნორმალური

გრძნობაა, რომელიც თან სდევს პიროვნების ჩამოყალიბებას. სირცხვილის გრძნობა, არ უნდა იყო იგნორირებული და კიდევ უფრო ნაკლებად უნდა იყოს ნაძალადევი. ნატურისტების ბანაკში, პროფესორ მარცეს რუფოს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გაშიშვლებული ბავშვები, თამაშის დროს, ეფლობიან ქვიშაში... საკუთარი სხეულის შესაცნობად უცხო მზერისგან დაცულ ადგილებში.

ხშირად ვხვდებით აგრეთვე გადაჭარბებულ ჰიგიენას. არც თუ ისე იშვიათია, როდესაც ბავშვი სრულებით მოკლე-ბულია საკუთარ სასქესო ორგანოებს, ხშირი და უჩვეულოდ სიღრმისეული ტუალეტის გამო, მშობლის, უმეტესად დედის გაურკვეველი ორაზროვანი მოტივით. ძალიან რთულია იმის დადგენა არის თუ არა ეს გაუცნობიერებელი ქმედება. მშობელი ყოველთვის დარწმუნებულია რომ მოქმედებს ჩვილის საკეთილდღეოდ, როდესაც ასრულებს ექიმების, კერძოდ პედიატრების რჩევით, მაგალითად ბიჭის სასქესო ორგანოს გაწმენდას.

სამი წლის გოგონა, ლინდა, რომლის ბებია მამის მხრიდან და დედა იყვნენ ფარმაცევტები, გაიგზავნა ბუტ-შომონის ცენტრში პედიატრიული კლინიკის მიერ. ექიმები იყვნენ შეშფოთებული ბავშვის ვულვის დეპიგმენტაციით. როდესაც პიერ საბურენი, რომელთანაც ერთად მივიღეთ ოჯახი, კითხვაზე თუ რატომ წმენდენ ასე გულდასმით გოგონას სასქესო ორგანოს, ბებიამ უპასუხა: „აბა თავისით ხომ არ გასუფთავდება“. იგი ხელმძღვანელობდა უფროსი ადამიანის საჭიროებებით.

ფარმაცევტს ეშლებოდა მისი სასქესო ორგანო ჩვილი ბავშვისაში და იყენებდა ძლიერ სადეზინფექციო ლოსიონს თავისი შვილიშვილისთვის. ამგვარ გაუცნობიერებელ

ინცესტურ ქცევას მოყვა გოგონას სასქესო ორგანოს დეპიგმენტაცია ძლიერი ასეპტიკური საშუალების გამოყენების გამო. ამრიგად, ბავშვი მოკლებული იყო საკუთარ სასქესო ორგანოს, რაც იყო ოჯახის ბრალი.

ლინდას ოჯახში გრძელდებოდა ბრძოლა ბავშვის ჰიგიენასთან დაკავშირებით.

ამგვარი საქციელის არასასიამოვნო შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვს სასქესო ორგანო მიეწოდება, როგორც მისი სხეულის არანორმალურად ჭუჭყიანი ნაწილი და დაავადებათა წყარო.

საბოლოოდ, ასეთ პრაქტიკას მივყავართ ეროგენული ზონების ნაადრევად გააქტიურებისკენ. ბავშვი მოქცეულია ემოციურ ხაფანგში. ერთ-ერთი მშობლის მიერ სექსუალურობის გამოწვევის გამო, იგი პატარაობიდანვე უკავშირებს სექსუალურ აგზნებას უფროს ადამიანს.

ასევე საზიანოა ბავშვისთვის ზოგიერთი ძიძის ან დედის მიერ მცირეწლოვანი ბავშვის მასტურბაცია, ბავშვის სასქესო ორგანოს პირით შეხება ბავშვის დასამშვიდებლად. ახალგაზრდა დედას ურჩიეს ამ ხერხის ხმარება ბავშვის დასაძინებლად.

საბოლოოდ საქმე ეხება ფარულ სექსუალურ ძალადობას. კანონი ძალიან იშვიათად ცნობს დამნაშავედ ასეთ დედებს. განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება უცხოელებს, ნაკლებად ინფორმირებული მოსამართლე ხსნის ამგვარ ქცევას დედის კულტურული თავისებურებებით და არცერთი მამა არ არის გასამართლებული!

ხანდახან დედები ითრევენ შვილებს გარყვნილ ქმედებებში სექსის თავისუფლების მოტივით.

ანჟელიკი და მისი უმცროსი ძმა ცხოვრობდნენ „თავისუ-ფალ“ დედასთან ერთად, რომელიც კარგად ფლობდა ჯგუფური სექსის ყველა ხერხს. მან მიიზიდა შვიდი წლის გოგონა, ხოლო მოგვიანებით მოზარდობის ასაკის ბიჭიც. „მე ზუსტად ვიცოდი, რომ ჩემს შვილთან დავკავდებოდი სექსით“, თქვა მან მას მერე, რაც ბავშვები გარყვნილ საქმიანობაში ჩაითრია.

ადაპტაციის უნარის მიუხედავად, ანჟელიკის და მისი ძმის ცხოვრება სავსეა სერიოზული ემოციური და პროფესი-ული სირთულეებით, იქამდე, რომ მორიგი სასიყვარუ-ლო წარუმატებლობის შემდეგ ანჟელიკს აღენიშნება დეპრესია.

თერაპიის სეანსის დროს, ძმამაც და დამაც, როგორც იქნა, დაიწყეს ერთმანეთში საუბარი მათ წარსულზე, რომელსაც ასე სათუთად ნიღბავდნენ. მათ გაიაზრეს, რომ ორივე სათითაოდ აკმაყოფილებდა ალკოჰოლიზ-მით დაავადებული, ინცესტური დედის აღვირახსნილი სექ-სის სურვილს და რომლის „სიყვარულში“ დარწმუნებუ-ლი იყვნენ.

2003 წელს, სექსუალური ძალადობის შესახებ 119-ში შესული ზარების 5,3%-ს შეადგენს დედის მხრიდან სექ-სუალური ძალადობები. ამ ტიპის დანაშაულის არსებობის მიმართ საზოგადოების მხრიდან შემწყნარებლობის და გაცნობიერების ბარიერი იცვლება.

თავი 3-2

და-ძმის ინცესტი: არის ეს სიყვარული?

ინცესტური კავშირი დასა და ძმას შორის მეტად გავრცელებულია. ამ მოვლენას საერთო არაფერი აქვს „ბუნების შეცდომასთან“, როგორც ეს წარმოდგენილია ლიტერატურაში ან კინოხელოვნებაში. ეს არის მეტად სერიოზული ძალადობის აქტი, რომლის შედეგებიც ისევე ძნელად აღმოსაფხვრელია, როგორც ინცესტი ოჯახის სხვადასხვა თაობის წევრებს შორის.

ეს აქტი სრულებით არ არის სპონტანური და მშობლების გამოცდილების ან ინცესტური გარემოს რეპროდუქციას წარმოადგენს, რომელიც ზოგჯერ მომდევნო თაობას უფროსების მონაწილეობით გადაეცემა. ოჯახში, სადაც ყალიბდება ინცესტური კავშირი ძმებს ან დებს შორის, თავიდანვე დარღვეულია ურთიერთობები და არავითარ შემთხვევაში არ არის უმანკო ჯანსაღი.

სიტუაციის უკეთ გასაგებად, მიზანშეწონილია ორი ტიპის ინცესტის განსხვავება. პირველი შემთხვევა: ინცესტური კავშირი ყალიბდება და-ძმას შორის, მნიშვნელოვანი ასაკობრივი სხვაობის დროს (დაახლოებით, ხუთი წელი). მოძალადე, როგორც წესი, არის სიმწიფის ასაკს მიღწეული, ხოლო მსხვერპლი - არა. უმრავლეს შემთხვევებში, უფროსი ძმა აუპატიურებს უმცროს ძმას ან დას. არასრულწლოვანი მოძალადის მიერ განხორციელებული სექსუალური ძალადობა არის სხვა ძალადობის, მაგალითად, მამის მიერ შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის შედეგი. ეს არის თავად მოძალადის მიერ გადატანილი ძალადობის რეპროდუქცია. იგი მსხვერპლზე ძალაუფლების მოპოვებას იგივე ან უფრო სასტიკი

ქმედებებით ცდილობს.

1998-2002 წლებში, ფემინისტურმა გაერთიანებამ ძალადობის წინააღმდეგ ჩაატარა კვლევა, რომლითაც გამოვლინდა, რომ საშუალოდ, წელიწადში მიღებულია 50 ქალის აღიარება, ბავშვობაში მათზე ძმის მიერ განხორციელებული ძალადობის (გაუპატიურების) შესახებ. ამ კვლევამ დაადგინა 9 მსხვერპლი ძმა და 227 და.

ძალადობის შემთხვევები საშუალოდ ეხება 6-დან 12 წლამდე ბავშვებს. აგრესორი ძმები, როგორც წესი, მსხვერპლზე 6 წლით უფროსები არიან, თუმცა, კვლევამ ასევე აჩვენა უფრო ნაკლები ასაკის აგრესორი ძმები (რვა წლის). ძალადობის აქტები მიმდინარეობდა იქ, სადაც ოჯახი ცხოვრობდა, ან ბებია-ბაბუასთან. ძალადობის აქტი შეიძლება იყოს ერთჯერადი, ან გრძელდებოდეს მსხვერპლის მთელი ბავშვობის ან მოზარდობის მანძილზე. ფემინისტურმა ორგანიზაციამ დაადგინა, რომ მშობლების მიერ საჩივრის შეტანის შემთხვევები მეტად მცირეა. აქვე დავამატებთ, რომ ასევე მცირეა მსხვერპლის მიერ სრულწლოვანების შემდეგ შეტანილი საჩივრების რაოდენობა. თუ ვიმსჯელებთ 2003 წლის ბიულეტენით, მათ ჩივილის გადაწყვეტილება მიიღეს დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

ძალადობისკენ მიდრეკილება შეიძლება გამომჟღავნდეს ოჯახური კერის გარეთაც, მაგალითად სკოლაში, მეგობრების მიმართ. ამისათვის არ არის სავალდებულო, რომ ბავშვმა სათანადო სქესობრივ სიმწიფეს მიაღწიოს. მოუმწიფებელიც, იგი გახდება მოძალადე მისი თანატოლების ან მასზე უმცროსების მიმართ.

მეორე ტიპი: ინცესტური სექსუალური კავშირი მცირე ასაკობრივი სხვაობის მქონე ძმებსა და დებს შორის. საქმე ეხება უფრო რთულ შემთხვევას. ბავშვებს არ ამოძრავებს მხოლოდ ძალაუფლების მოპოვების სურვილი. მე ვაკვირდებოდი ორ მოზარდს, დას და ძმას, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ თანაბარი სექსუალური ლტოლვა ჰქონდათ. ეს ბავშვები არ იყვნენ წარსულში აშკარა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ ისინი ზნეობრივად სრულიად დაცემულ ოჯახურ გარემოში იზრდებოდნენ, სადაც მიღებული იყო ეროტიული ხასიათის თამაშები. გოგონა მისდევდა ძმას, რომელიც გარბოდა. დას უნდა დაეჭირა ძმის სასქესო ორგანო და ეს ახალისებდა მშობლებს.

საზოგადოებაში მიღებული ტაბუს უარყოფას ამოფარებული მშობლები, რომელთათვის თავისუფლება საკუთარი მანკიერების შენიღბვის ფორმალური პრეტექსტია, თავად უბიძგებენ შვილებს ინცესტური კავშირისკენ. შეიძლება ითქვას, რომ და-ძმას შორის ინცესტის შემთხვევაში, ორივე ბავშვი მშობლების მსხვერპლია, რაზეც სრული პასუხისმგებლობა მხოლოდ მშობლებს ეკისრებათ.

მსხვერპლის ფიზიკური განკურნება ისევე რთულია, როგორც ძალადობით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრა. მსხვერპლს მეტად ღრმად ექნება გამჯდარი დანაშაულის გრძნობა. ორივეს სათითაოდ მოუწევს ჯანსაღი სასიყვარულო ურთიერთობის აწყობის სწავლა.

ქსავიე და ლიზა თორმეტი და თერთმეტი წლისანი არიან. მამინაცვალი მათზე ფიზიკურად და სექსუალურად ძალადობდა. დედამ ბავშვები მიატოვა და მიმღებ ოჯახში განათავსა. მათ შორის ეროტიული კავშირი სოციალური მუშაკების შოკს იწვევს. ინცესტი წარმოადგენს ერთ-

დროულად გადატანილი ძალადობის რეპროდუქციას და ოჯახური ურთიერთობების ძიებას.

თერაპიის კურსი დაეხმარება მათ, რომ შეიცვალონ ურ-თიერთობების შესახებ ის წარმოდგენა, რომელიც ბავ-შვებს მოძალადე მშობლებმა ჩამოუყალიბეს.

თავი 3-3

რა განსხვავებაა ინცესტს და პედოფილიას შორის?

პედოფილი სხვადასხვა ასპექტით განხვავდება ინცესტური მამისგან, რომელიც ცდილობს აგრესიის გადატანას საკუთარ შვილებზე; პედოფილი კი - მისი აგრესიის სცენარის განსახიერებას იმ ბავშვებზე, რომლებსაც ხვდება.

პედოფილს, როგორც წესი, ყველაფერი ზუსტად აქვს გაწერილი. იგი ძალადობს ან ცდილობს იძალადოს ერთი და იმავე ასაკის, ერთი და იგივე სქესის ბავშვებზე, ზუს-ტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ერთი და იგივე „რიტუალის“ პირობებში, რაც მისი ბავშვობის გამოცდილების სრულიად გაუცნობიერებელ იმიტაციას წარმოადგენს.

ინცესტური მამის ფანტაზია შეიძლება „მოცურდეს“ - ზოგიერთი მშობელი აცნობიერებს ამ ცდუნებას და თერაპევტის დახმარებით, „შეიძლება გამოვიდეს მდგომარეობიდან“. პედოკრიმინალი, არის აშკარა მომხმარებელი, რომელიც გადადის ბავშვიდან ბავშვზე და იყენებს ყველანაირ ეშმაკობას, რათა ხაფანგში შეიტყუოს მსხვერპლთა რაც შეიძლება დიდი რაოდენობა.

როგორც წესი, პედოფილი არ არის მიჯაჭვული ერთ კონკრეტულ ბავშვს, თუმცა, შესაძლებელია, ასეც მოხდეს. ინცესტური მამა, შვილების მიმართ მისი სისასტიკის მიუხედავად, ინარჩუნებს ოჯახისადმი მიჯაჭვულობას. მრავალი სექსუალური მოძალადე მამა ციხიდან წერს თავის მსხვერპლს ისე, თითქოს მათ შორის განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

პედოკრიმინალი ძალადობს სუსტ, სითბოს მოკლებულ, ადვილად მისაზიდ ბავშვებზე. სიყვარულის დეფიციტის მქონე ბავშვებმა, შესაძლებელია, უპასუხონ პედოფილის მიერ შეთავაზებულ „გრძნობებს“.

სოციალურ სამსახურში მუშაობისას, ბავშვთა მოსამართლის წარდგინებით, მახსოვს ათი წლის ბიჭი, რომელსაც, როგორც იქნა, შევხვდი ბავშვთა პროსტიტუციით მოვაჭრე პედოფილთან ორ შეხვედრას შორის. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ბავშვმა, მაკიაჟით სახეზე, გამომიცხადა: „თქვენ არ გესმით რას ნიშნავს გიყვარდეს!“. შეუძლებელი იყო მისი გამოყვანა პროსტიტუციური წრიდან, რასაც დაერთო ტოქსიკომანია. იმ დროს ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად არცერთი სპეციალიზირებული სტრუქტურა არ არსებობდა.

ბოლო წლების მანძილზე შემუშავებული პრევენციული ზომები და გასამართლებულთა რიცხვი იმედის მომცემია. პედოფილებს არ უდგებიან მხოლოდ დანაშაულის კუთხით (არ ვეხები ბავშვის სიკვდილით დასრულებულ შემთხვევებს). ნათელი გახდა, რომ შესაძლებელია მათი მკურნალობა, მათი მხრიდან წინააღმდეგობის დროსაც კი. 1998 წლის ივნისის კანონი შემდეგნაირად აყალიბებს სადამსჯელო ღონისძიებებს და მკურნალობას უწოდებს „სოციო-სამართლებრივ სასჯელს“, რაც გულისხმობს გარდაუვალ ფსიქოთერაპიას ციხიდან გამოსვლის შემდეგ.

ეს არის განმეორებითი დანაშაულის პრევენციის ზომა, რომლის ეფექტურობის შეფასებასაც უახლოეს მომავალში შევძლებთ; მაგრამ 1998 წლის ივნისის კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, მსგავსი სასჯელი ცოტა მსჯავრდებულს მიესაჯა: 1999 წელს - 75, 2000 წელს - 265, 2001 წელს 417, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსამართლეებს არ

სურთ მოქმედება ნორმების გათვალისწინებით. გარდა ამისა, განვიცდით ფსიქიატრების ნაკლებობას, ექიმებს აქვთ მანიპულირების და იმის შიში, რომ, თერაპიის კურსის მიუხედავად, დანაშაული განმეორდება.

თავი 3-4

როგორ ვებრძოლოთ პედოფილიას უკეთესად?

პედოკრიმინალისთვის დამახასიათებელი ობსესიურობის (აკვიატების), ფეტიშიზმისადმი მისი მიდრეკილების გამო, პედოფილი არის პორნოგრაფიული პროდუქციის მომხმარებელი. კერძოდ, ინტერნეტში იგი ათვალიერებს პედო-პორნოგრაფიულ ფოტოებს და ინახულებს ბავშვების თავშეყრის ადგილებს, სადაც იკმაყოფილებს მის მანკიერ სურვილებს.

გახშირდა მოზარდების პორნოგრაფიის ამსახველი დოკუმენტების ამოღება. სისხლის სამართლის კოდექსის 227.23 მუხლის თანახმად, დევნას ექვემდებარება „არასრულწლოვანთა პორნოგრაფიული სურათების დაფიქსირება, ჩაწერა და გავრცელება“, ვრცელდება ვირტუალურ და პედოფილებისთვის განსაზღვრულ სურათებზე. სურათების იმპორტის და ექსპორტის გარდა, ასევე დევნას ექვემდებარება, მათი პირად საკუთრებაში ქონა. სწრაფად ვითარდება ამაზრზენი გამოსახულებების შემცველი ციფრული კომერცია. დიდი რაოდენობით იქმნება პედოფილური საიტები. ასევე მატულობს შემთხვევითი ან მუდმივ დამთვალიერებელთა რაოდენობა, რომელთა კომპიუტერების მყარ დისკზე აღბეჭდილია ინფორმაცია საიტების მონახულების შესახებ. ამ სურათების შეძენა დაფიქსირებულია და პედოფილიით გატაცებული პირების შესახებ მატერიალურ მტკიცებულებას წარმოადგენს, რაც პოლიციას სამუშაოს შესრულებაში ეხმარება.

ევროპის უმრავლესი ქვეყნის კანონმდებლობა არ იძლევა პედოფილიის განსაზღვრებას. საფრანგეთში, პორნოგრაფია და პედოფილია განისაზღვრება, როგორც დანაშაული,

ჩადენილი არასრულწლოვანთა მიმართ, ისევე როგორც გაუპატიურება, სექსუალური ძალადობა, არასრულწლოვანთა კორუფცია, პორნოგრაფიული შინაარსის გამოსახულებების შექმნა და გავრცელება. ცოტა ხნის წინ შეიქმნა საიტი (http://mineurs.gouv.fr), რომელიც მშობლებს და ბავშვებს სთავაზობს მითითებებს ინტერნეტით სარგებლობის შესახებ. მოცემულია არასრულწლოვანთა მიმართ ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით კრიმინალური ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალური ოფისის ელექტრონული მისამართი და მსგავსი ქმედებების გამოვლენისათვის შესავსები სპეციალური ბლანკი.

იმ შემთხვევაში, თუ საიტი მიჩნეულია პედოპორნოგრაფიულად, გამომძიებელი პოულობს მისი შექმნის ადგილს და დაადგენს საიტზე პასუხისმგებელი პირების იდენტობას. აღნიშნული საიტის მისამართი გადაეცემა GESIP ბაზას და ინახება იქ ერთი წლის განმავლობაში. საიტის საფრანგეთში შექმნის შემთხვევაში, საქმე გადაეცემა სასამართლოს ადგილმდებარეობის მიხედვით. თუ საიტი შექმნილია უცხოეთში, შესაბამის ქვეყანას ინფორმაცია გადაეცემა ინტერპოლის მეშვეობით. პასუხი და ინფორმაცია ინახება GESIP ბაზის არქივში, გამოძიების მსვლელობის და სამართლებრივი სამსახურების ინფორმირების მიზნით. 2002 წელს, 5 365 შესული საჩივრიდან, რომელთაგან 355 იყო პორნოგრაფიული ხასიათის, 6 საიტი საფრანგეთში იყო შექმნილი.

ევროპის ქვეყნები შემაშფოთებლად მიიჩნევენ პედოპორნოგრაფიას ინტერნეტით. ჩვენს კონტინენტზე მისი განვითარების დონის ზუსტად განსაზღვრა რთულია. ინტერპოლის მონაცემთა ბაზაში არსებული 150 000 ფოტოს მეშვეობით, შესაძლებელი გახდა 143 მსხვერპლის იდენ-

ტიფიკაცია.

ამჟამად არსებობს არასრულწლოვანთა მიმართ კრიმინალურ ქმედებათა შემსწავლელი მუდმივი სამუშაო ჯგუფი. უკანასკნელი ანგარიშის თანახმად, მასალის პირველადი დამუშავება მოხდა 1997 წელს. გამოძიება მიმდინარეობს შვედეთში და ერთ მილიონ სურათს ითვლის! ამ ფენომენის ტრანსნაციონალური ასპექტი საერთაშორისო თანამშრომლობას მოითხოვს.

ფლერს და კაპუსინს, ცხრა და ექვსი წლის გოგონებს, აღენიშნებათ ხშირი მასტურბაცია. ეს არის ერთადერთი თვალნათელი სიმპტომი: კლასში გოგონები მხიარულები არიან და სიამოვნებით მეცადინეობენ. მათი მშობლები განქორწინდნენ. საცხოვრებლის გაყოფამ დიდი კონფლიქტი გამოიწვია. მამას ფარული ჰომოსექსუალიზმი აღენიშნება. ქონების გაყოფის შემდეგ, იგი ხშირად ათვალიერებდა პორნოგრაფიულ საიტებს სახლშიც და თავის საწარმოშიც.

მამის პედოფილური სურათებით გატაცების აღმოჩენით შეშინებული დედა დაეჭვდა გოგონების სექსუალური ქცევის გამო. ფლერი და კაპუსინი უყვებიან დედას, თუ როგორი იყო მამის „საღამოს კოცნა“. შოკირებულმა დედამ წარუდგინა ოჯახური საქმეების მოსამართლეს სურათები და საბანკო ბარათით შესრულებული გადახდების ქვითრები. მოსამართლის მხრიდან არავითარი რეაგირება არ ყოფილა. დედამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში. ამჟამად ფლერთან და კაპუსინთან არასრულწლოვანთა საქმეების ჯგუფი (ბრიგადა) მუშაობს.

პედოფილი არის „სექს-ტურიზმის“ იდეალური კლიენტი ისეთ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია ბავშვთა პროს-

ტიტუცია, სადაც მოძალადე მარტივად ხვდება ახალ-გაზრდა მსხვერპლს. მესამე სამყაროს ქვეყნების მიერ ტურისტებისთვის საზღვრების გახსნისთანავე ჩნდება პედოფილური ტურიზმი. „სექს-ტურისტი“ ხშირად ჩვეულებრივი პიროვნებაა, რომელიც მოულოდნელად გრძნობს ძალაუფლებას ეკონომიკური უპირატესობის გამო. გარდა ამისა, მაგალითად სამხრეთის ქვეყნებში მოგზაურობისას, მასზე არ ვრცელდება მორალური და სოციალური შეზღუდვები, რაც არსებობს მის ქვეყანაში, და რასაც ერთვის დაუსჯელობის გრძნობა, მისი ანონიმურობის გამო.

„სექს-ტურისტი“ თავს იმართლებს და საკუთარ საქციელზე შემდეგნაირად მსჯელობს: იგი თვლის, რომ „ბავშვთა პროსტიტუცია ფინანსურ დახმარებას წარმოადგენს მსხვერპლისა და მისი ოჯახისათვის“, რომ „ქვეყნის კულტურული ტრადიციების თანახმად, მისაღებია ბავშვთან სექსუალური კავშირის დამყარება“ ან რომ „გოგონები მზეზე უფრო მალე მწიფდებიან“, და ა.შ. ამგვარი თავის მართლება ხიბლავს მხოლოდ მას. ხოლო მართლმსაჯულება კი მათ მიმართ სასჯელს სულ უფრო და უფრო ამკაცრებს.

1998 წლის 18 ივნისის კანონი აძლიერებს არასრულწლოვნების მიმართ სექსუალური თავდასხმებისა და პიროვნების ღირსების შემლახველ დანაშაულებათა პრევენციას და დევნას. იგი გულისხმობს საფრანგეთის მართლმსაჯულების კომპეტენციის გაფართოებას ყველა იმ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვანთა კორუფციას ან არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის აქტებს. სამართლებრივი დევნა ვრცელდება ყველა ასაკის დამნაშავეებზე, საზღვარგარეთ განხორციელებული აქტების ჩათვლით. იგი სრულყოფს

1994 და 1995 წლებში მიღებულ დებულებებს. 2004 წლის 9 მარტის კანონი კი, ახანგრძლივებს სარჩელის შეტანის ვადას.

საფრანგეთის მოქალაქე ან საფრანგეთში მცხოვრები უცხოელი, რომელიც ზიანს აყენებს არასრულწლოვანს მისი უცხო ქვეყანაში ყოფნის დროს (გაუპატიურება, პროსტიტუცია), პასუხს აგებს საკუთარ ქმედებებზე საფრანგეთის სასამართლოს წინაშე, მიუხედავად იმისა, ისჯება თუ არა იგივე დანაშაული უცხო ქვეყნის კანონმდებლობით და მსხვერპლის მიერ მის წინააღმდეგ საჩივრის გარეშეც. სამართლებრივი აბსტრაქციის პრინციპის თანახმად, საქმე განიხილება არა როგორც საზღვარგარეთ, არამედ როგორც საფრანგეთში ჩადენილი დანაშაული. საჭიროა მხოლოდ მტკიცებულებების წარდგენა...

2000 წელს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა საფრანგეთის მოქალაქეს, რომელმაც უცხოეთში თერთმეტი წლის გოგონა გააუპატიურა, რისთვისაც ბავშვის დეიდას გარკვეული თანხა მისცა. დღემდე საფრანგეთში მხოლოდ ხუთი ამ ტიპის პროცესი შედგა. ბავშვთა პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის გასამკაცრებლად მეტი ძალისხმევაა საჭირო! კანონი იმ მორალური პირების (ტურისტული სააგენტოების და სხვა ოპერატორები) დევნის უფლებას ძლევა, რომლებიც სექს-ტურიზმის ორგანიზებაზე მუშაობენ. ხდება მათი გადაცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მათ ბრალი წაყენებული ექნებათ დაკავშირებაში მონაწილეობის მიღებისთვის. მათ დაეკისრებათ სასჯელი ჯარიმის სახით ან დროებით აეკრძალებათ საქმიანობა, რომლის ხელშეწყობითაც ჩაიდინეს დანაშაულებრივი ქმედება. ეს გარემოება საკმაოდ შემაკავებელია.

თავი 3-5

როგორ ავიცილოთ თავიდან „მოძალადედ ჩამოყალიბება“?

მოძალადის პორტრეტი

მოძალადე არც მონსტრია, რომელიც არსაიდან ჩნდება და არც უგუნურების შეტევებით შეპყრობილი ინდივიდი. მისი ყოველდღიური ქცევა მოკლებულია ყოველგვარ უცნაურობას. სხვებისაგან მას განასხვავებს მხოლოდ ბავშვობის თავისებური გამოცდილება, სისასტიკის ანაბეჭდი, რომელსაც ავრცელებს მის გარშემო და რომლის ტყვეობაშიც არის მუდმივად. ხშირად მას არ ესმის ჩვენი. სისასტიკის მისეული განმარტება განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებულისგან, უღირსი მოპყრობის შემწყნარებლობის ზღურბლი მეტად მაღალია. ყოველივე ეს არის ბავშვობაში მის მიერ გადატანილი მომაკვდინებელი სისასტიკის შედეგი, ან რომლის მოწმეც იგი აღმოჩნდა.

ბავშვი მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებს სასტიკი მოპყრობით მიყენებულ ჭრილობას. აგრესიის სცენა სამუდამოდ არის აღბეჭდილი ბავშვის ქვეცნობიერ მეხსიერებაში და უბიძგებს მას, გაითამაშოს იგივე მიმსგავსებულ ვითარებაში, თუ მას არ ჩაუტარდა თერაპია ან დროულად არ გაუწოდეს დახმარების ხელი ადრინდელი გამოცდილების გასაფანტად.

სწორედ ეს არის ათიოდე წლის ორი გოგონას მიერ ბიჭების მიმართ თავშესაფარში ძალადობრივი აქტების (ორალური სექსი) განხორციელების მიზეზი. გოგონები მიზანმიმართულად ირჩევდნენ შენობის ხალხმრავალ დერეფნებს, სადაც ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა

მათი შემჩნევა. ეს იყო ერთდროულად მათი სამწუხარო გამოცდილების რეპროდუქცია და სურვილი, რომ ვინმე დაეხმაროს მდგომარეობიდან თავის დაღწევაში.

ძალადობის ფაქტები, შეიძლება, განსხვავებულ სიტუაციებში გამოვლინდეს. ზოგიერთ მოძალადე მშობელს იმდენად სურს შვილის „სრულყოფილება“, რომ ფიზიკურად ეხება ბავშვს, მის მიერ დაწესებული უმკაცრესი აღმზრდელობითი მოთხოვნებისადმი მცირედი დაუმორჩილებლობის გამო. ასეთ მშობლებს არ შესწევთ უნარი, რეალურად შეაფასონ შვილის შესაძლებლობები სწავლაში და გაითვალისწინონ ბავშვის განვითარების დონე. შესაძლებელია, დასველებული საფენის გამო ატირებული ჩვილი, რომელსაც უსიამოვნო სუნი ასდის, ძალადობის მსხვერპლი გახდეს, რადგან ბავშვის ტირილი დედისთვის დაკავშირებულია საკუთარ მივიწყებულ ტანჯვასთან. ხშირ შემთხვევებში, ძალადობის აქტი, სისასტიკის თვალსაზრისით, ბავშვის მიერ ჩადენილი „დანაშაულის“ არაპროპორციულია, რასაც მშობლის ფარული გაღიზიანება განაპირობებს.

დეცენტრალიზებული სოციალური ქმედების ობსერვატორიის კვლევების თანახმად, გამოვლენილი ძალადობის აქტების ორი მესამედი წყვილს შორის კონფლიქტით არის გამოწვეული. თითქოსდა ბრაზმორეული მშობლის სასტიკი ქმედება სინამდვილეში მის ფარულ აშლილობაზე მეტყველებს, რამაც შეიძლება უფრო საშიში ფორმის ახალი თავდასხმები გამოიწვიოს. უნდა აღინიშნოს, რომ გადატანილი ძალადობა, შესაძლებელია, იმდენად ღრმად იყოს ჩაძირული მეხსიერებაში, რომ მსხვერპლი არასოდეს იაზრებდეს მას. თერაპიის დროს ამოტივტივებულ მოგონებებზე პიროვნება ხშირად ამბობს: „ვიცოდი,

აქ იყო“, - თითის თავთან მიტანით.

როგორ გავიგოთ ეს პიროვნული შემობრუნება, რომელიც მსხვერპლს უბიძგებს, რომ მასზე მოძალადის მდგომარეობა გაიზიაროს, შემდგომში მოძალადის ქმედება გაიმეოროს და ზოგჯერ სისასტიკეში გადააჭარბოს კიდეც მას?

ეს ფენომენი არა მხოლოდ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებში გვხვდება. ადამიანთა გატაცების, მძევლად აყვანის დროს, არცთუ იშვიათია ზრდასრულ მსხვერპლთა თანამშრომლობა საკუთარ მწამებელთან, ხოლო განთავისუფლების შემდეგ იგივე იდეების გატარება. ამ ფსიქოლოგიურ მექანიზმს „სტოკჰოლმის სინდრომი“ ეწოდება.

ამ ფენომენს იყენებს აგრეთვე ზოგიერთი ტოტალიტარული რეჟიმი, რომელმაც იცის ტვინის გამორეცხვის დამანგრეველი ეფექტი. მსხვერპლი, ტყვეობაში ყოფნის დროს გადატანილი ტანჯვის მიუხედავად, მისივე ჯალათების პარტიის წევრი ხდება.

როგორ ვებრძოლოთ რეციდივებს?

ჩვენს დროში, როდესაც იმის საშიშროებას ვიაზრებთ, რომ ჩვენი ბავშვები შეიძლება სადმე გადაეყარონ სექსუალურ მოძალადეს, დავფიქრდი ბედის ირონიაზე, რომელმაც შემახვედრა ერთ-ერთ მათგანს.

9 წლის ვიყავი, უაღრესად კმაყოფილი... ჩემმა ოჯახმა, ჩემმა ბიძაშვილებმა და მე, სოფლის ბაზრობის გათამაშებაში მოვიგეთ გოჭი. დიდი სახლი გვქონდა, სასახლის ტიპის. საჯინიბოში საკმარისი ადგილი იყო ცხოველის დასაბინავებლად. მამა დათმობაზე იმ პირობით წავიდა, რომ

ჩვენ მეზობელი ფერმიდან ვატარებდით საკვებს გოჭისთვის. ეს დიდი ნაგებობა, ორივე ომის დროს, გერმანელებს ჰქონდათ დაკავებული. ჩვენ გოჭს ადოლფი დავარქვით, ამ ეპოქასთან დაკავშირებული მოგონებების გამო. გოჭი გაიზარდა. უზარმაზარი მეჩვენებოდა, როდესაც საკვების მოლოდინში ის უკანა ორ ფეხზე დგებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ, ჩვენი ადოლფინა იმდენად დიდი და საშიში გახდა, რომ გამიხარდა კიდეც მისი მოსალოდნელი რეალიზაცია ოჯახის დღესასწაულისთვის. ერთი უცნაური შეხვედრა დამამახსოვრდა. ზაფხული იყო, ძალიან ცხელოდა. სოფელში ყველანი სახლებს იყვნენ შეფარებული. მე და ჩემი და ჩვენი ადოლფინასთვის სანოვაგის მოსატანად მივდიოდით. ჩვენ გვერდით ძალიან ნელა მოდიოდა მანქანა. საჭესთან იჯდა მამაკაცი. მან გვკითხა, თუ სად მივდიოდით და მანქანაში ჩაჯდომა შემოგვთავაზა. ახლაც კი თვალწინ მიდგას, თუ რა იყო ამ აგზნებული მხეცისთვის ჩვენი დანახვა, რძის ქოთნით ხელში.

იგი ყველანაირად ცდილობდა ჩვენს დარწმუნებას, რომ მანქანაში ჩავმსხდარიყავით. მე ჩემს დას ხელი მოვკიდე და სახელით მივმართე – „კატი!“. მამაკაცმა მაშინვე ისარგებლა ამით და იკითხა: „კატის ხომ არ აინტერესებს, ხელში რა მაქვს?“ გააღო მანქანის კარი და მისი სასქესო ორგანო დაგვანახა. მაშინ მივხვდი, როგორი შეცდომა დავუშვი, როდესაც მეგონა, რომ ჩემი და დავიცავი.

ფერმაში მისულმა, ჭიშკარში შესვლისთანავე ამოვისუნთქე, როდესაც გავიგე მანქანის დაძვრის ხმა.

სახლში რომ დავბრუნდით, ყველაფერი მშობლებს ვუამბეთ. მათ ერთმანეთს ისე გადახედეს, მივხვდი, რომ საშინელებას გადავურჩით. მშობლებს გაეღიმა, როდე-

საც ჩემი ბავშვური დარწმუნებით განვუცხადე, რომ ეს მამაკაცი სავარაუდოდ ავად იყო და იმიტომ იქცეოდა ასე უცნაურად. მართალი ვყოფილვარ!

დღემდე ბავშვების მიმართ ამ ტიპის მოძალადე ცხოვრობს დაკავებასა და ფსიქიატრიულ კლინიკაში ჰოსპიტალიზაციას შორის. ციხეების საერთაშორისო ობსერვატორიის მონაცემებით, დაკავებულთა 20%-ს აღენიშნება ფსიქიკური აშლილობა. ყველა დანაშაულს, სასჯელის მოხდის შემდეგ 50% შემთხვევაში, რეციდივი მოჰყვება. შემთხვევების უმრავლესობაში, სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირი არც დანაშაულს აღიარებს და არც თავის ფსიქოლოგიურ პრობლემებს.

მილა და კოსმო, სამი და ოთხი წლის, მეტად საპატივცემულო ბაბუას მომხიბლავი შვილიშვილები. მილამ შესჩივლა დედას ბაბუას მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების გამო. ბავშვების დედამ მამას უამბო ამის შესახებ. სწორად მოაზროვნე ბურჟუაზიული ოჯახი შეიკრიბა. ბაბუამ ყველაფერი აღიარა თავისი შვილის წინაშე და სიტყვა მისცა, რომ ეს არ განმეორდებოდა. გავიდა თორმეტი წელი. ამჟამად კოსმო თექვსმეტი წლისაა. იგი ერთდროულად არის შეყვარებული და დეპრესიული. ჰოსპიტალიზირებული გოგონა უყვება კლინიკის ფსიქოლოგს, ყოველ კვირა დღეს ბაბუას მხრიდან ძალადობის ფაქტების შესახებ, მის და მისი დის მიმართ.

საავადმყოფომ ანგარიში გაუგზავნა პროკურორს. ხელახლა შეიკრიბა ოჯახური საბჭო. ბაბუამ ისევ აღიარა ძველი ჩვენება და სასტიკად უარყოფდა დანარჩენ ბრალდებას. ოჯახი დაიტანჯა რამდენიმეთვიანი გამოძიების დასრულების მოლოდინში. დაკითხვის დროს, ჟანდარ-

მებმა მიიღეს მოხუცის აღიარება. მისი თქმით იგი გრძნობს შვებას.

საფრანგეთში, რეციდივის საკითხზე კვლევები იშვითი, არასრულყოფილი და ურთიერთგამომრიცხავია. ზოგიერთი კვლევა უჩვენებს სექსუალური დანაშაულის რეციდივის შემთხვევების საკმაოდ მცირე რაოდენობას; მაგრამ, ლილში, 1998 ნოემბერში, ჩვენი მეგობრის, ოჯახის თერაპევტის და ტულუზის ოჯახის ინსტიტუტის დირექტორის, ერიკ ტრაპენიეს მიერ ჩატარებულ საერთაშორისო კონგრესზე, ჩვენი ამერიკელი კოლეგები მეტად სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი ამ შეხედულების მიმართ.

რამდენიმე წელია, რაც ჩრდილოეთ ამერიკაში იმართება თერაპევტთა კონფერენციები სექსუალური მოძალადეების სიცრუის თემაზე. ერთ-ერთი მონაწილე, მერი-ჯო ბარეტი, ადასტურებდა, რომ ერთ-ერთი პატიმარი აღიარებდა მხოლოდ ორ ან სამ სექსუალურ ძალადობას. სიცრუესთან დაკავშირებული სესიის დასრულებისას, იგივე მოძალადე აღიარებდა, რომ სამასზე მეტი ძალადობა ჰქონდა ჩადენილი.

1998 წლის 17 ივნისის კანონი მრავალ ასპექტს ეხება. მათ შორის სექსუალურ მოძალადეთათვის დანაშაულის რეციდივის პრევენციას, მსხვერპლის „აღმდგენ“ ღონისძიებებს და აგრეთვე, შეიცავს დებულებებს სექსუალური დანაშაულის პრევენციის შესახებ.

2004 წლის 9 მარტის კანონი დაწყებულ წინსვლას აგრძელებს, სექსუალური ძალადობისთვის ნასამართლევ პირთა ეროვნული ავტომატიზირებული ფაილის შექმნით. ასეთი ფაილი დიდი ხანია არსებობს ინგლისში გენეტი-

კური ანაბეჭდის ცენტრალიზებისათვის. ეს ზომა იწყებს ნაყოფის გამოღებას. იუსტიციის მინისტრის, დომინიკ პერბენის განმარტებით, ეს ფაილი საშუალებას მისცემს შედგეს საფრანგეთის რუკა სექსუალურ აგრესორთა საცხოვრებლის აღნიშვნით. მეტიც უნდა გაკეთდეს. სასჯელის მოხდის შემდეგ, ყველაზე საშიში დამნაშავეები უფრო მკაცრ მონიტორინგს დაექვემდებარონ, მაგალითად, ელექტრონული სამაჯური. ჩემი აზრით, ეს ზომა უფრო მისაღებია.

უახლესი კვლევების თანახმად, ნასამართლევთა 23% განმეორებით ჩადის დანაშაულს. ესეც ბევრია. ყოველი ჩვენგანის ინტერესებშია კრიმინალური აქტის ჩადენის შესაძლებლობის (რეციდივის) მკურნალობა. ბიმბენეს დასკვნის თანახმად, დანაშაულებრივი ქმედების რეციდივების ალბათობა იზრდება დანაშაულთა სიმრავლის მიხედვით. ეს ამყარებს ჩვენს მოსაზრებას აგრესორების სექსუალური ტოქსიკომანიის ფორმაზე.

რეციდივების მაჩვენებელი გასამართლების შემდეგაც მაღალია. მსოფლიოს მასშტაბით, 23 393 დამნაშავის შესახებ 61 კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ სექსუალურ დამნაშავეთა 13% განმეორებით ჩადის დანაშაულს განთავისუფლებიდან 4 ან 5 წელიწადში.

აუცილებელია, დროულად შევძლოთ გამოვავლინოთ არასრულწლოვანი სექსუალური დამნაშავეები და მათი მსხვერპლები. ჩემი აზრით, ეს აუცილებელი პირობაა იმისთვის რომ დაფიქსირდეს დანაშაულებათა კლება, რადგან ე.წ. „დიდი გამოცდილების“ მქონე პედოკრიმინალები დანაშაულებრივ ქმედებებს მოზარდობის ასაკიდან სჩადიან.

თავი 3-6

როგორ მიმდინარეობს არასრულწლოვან სექსუალურ აგრესორთა მკურნალობა?

ათიოდე წელია, რეგულარულად ვიღებთ არასრულწლოვან სექსუალურ აგრესორებს. მსგავსი შემთხვევების გახშირება უკავშირდება დიუტროს საქმის გახსნას და მის მედიით გავრცელებას.

1999 წელს, განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა ეროვნულმა კვლევამ, პირველად წამოწია სასკოლო დაწესებულებებში ბავშვებს შორის მიმდინარე სექსუალური ძალადობის შემთხვევები 1.

1998-1999 სასწავლო წლის პირველი ტრიმესტრის სტატისტიკური მონაცემებით, რომლებიც უმეტეს შემთხვევებში სკოლების ადმინისტრაციული სამსახურების მიერ იყო შესრულებული, გამოიკვეთა მოსწავლეებს შორის მომხდარი სექსუალური ძალადობის 242 ფაქტი.

აღნიშნული შემთხვევების სიმძიმე ფასდება სასამართლოში შესული საჩივრების, მოსამართლეების მიერ განსაზღვრული სადამსჯელო ზომების, აგრესორთა და მსხვერპლთა ასაკის მიხედვით:

გამოვლენილ შემთხვევათა 70% შესულია სასამართლოში. (შედარებით მსუბუქი შემთხვევები არ იყო გადაცემული სამართალდამცავ ინსტანციებში).

- ყველა შემთხვევის 7% შეადგენს გაუპატიურების შემთხვევები;
- 18,20% ეხება ჯგუფურ დანაშაულს (დანაშაული

ჩადენილია რამდენიმე მოზარდის მიერ)

- 12,10% ეხება სექსუალურ აგრესიას;
- 29,15 % ეხება სექსუალურ დანაშაულს.

აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვები მეტად მცირეა, რადგან სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციამ მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა დანაშაულის კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრა და ერთნაირი შეფასება მიეცა განსხვავებული სიმძიმის დანაშაულებს. სკოლის შენობებში, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ყველა სახის სექსუალური აგრესიის 54 შემთხვევა, რომელთაც მიეცა მძიმე დანაშაულის კვალიფიკაცია, გამოვლენილი იყო სკოლების ადმინისტრაციული სამსახურების მიერ. ისინი ფიგურირებენ მინისტრთა კაბინეტის ყოველდღიურ განაცხადებში, რაც შეადგენს სახელმწიფოში, პირველ ტრიმესტრში მომხდარ დანაშაულთა 22,30%.

დანაშაულის ჩამდენთა ასაკი შემდეგია: 12,65% თერთმეტ წლამდე, ხოლო 29,90% ცამეტ წლამდეა.

119-ში შესული ზარების მესამედი ეხება 11-დან 14-მდე, ხოლო მეოთხედი - საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვებს!

119-ში რეგულარულად ხორციელდება ბავშვების ზარები მსხვერპლთათვის დახმარების გაწევის თხოვნით. თხოვნა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, რჩება მარგინალური. 119-ის სამსახური აღნიშნავს ამგვარი თხოვნების რაოდენობრივ ზრდას უკანასკნელი სამი წლის მანძილზე. 2002 წელს სექსუალური ძალადობის ფაქტები ძალადობის სხვა ფორმებს შორის პირველ ადგილზეა და შეადგენს 56,4%, ხოლო აქედან 32,2% ეხება გაუპატიურებას. 1997 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, გაუპატიურების შემთხვევების 18% ეხება არასრულწლოვნებს.

აღიარებულია, რომ არასრულწლოვანთა უმრავლესობა, რომელიც სჩადის სექსუალურ ძალადობას, უშუალოდ იყო ძალადობის მსხვერპლი, ან ძალადობის უმწეო ან იძულებითი მომსწრე. ამასთანავე, ათიოდე წლის წინ, ლონდონის ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტის პროფესორის, არნონ ბენტოვიმის და მისი თანამშრომლების მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ აგრესორი ბავშვების დედები თავად იყვნენ ბავშვობაში მძიმე სექსუალური ძალადობის ფარული მსხვერპლნი, ხოლო შვილებმა არც კი იცოდნენ, თუ რა შეემთხვა დედას ბავშვობაში.

აგრესორმა ბიჭებმა და გოგონებმა, რომლებიც ჩვენთან ხვდებიან და რომელთა უმრავლესობას ბიჭები შეადგენენ, ბუტ-შომონის ცენტრში არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლეების მითითებები მიიღეს. ისინი კონსულტაციაზე მათ დაცვაზე მზრუნველი სოციალური მუშაკების მიმართვით მოდიან,.

ბავშვებმა არ იციან, თუ ვინ დახვდებათ ცენტრში. მათ არასდროს გაუვლიათ თერაპიის კურსი. დასაწყისში ისინი თითქოსდა გაოგნებულნი, პასიურები არიან, სიფრთხილით გვეკიდებიან, ჩაკეტილი რჩებიან, მტრულ განწყობას ინარჩუნებენ. ნაშრომში „წარმოუდგენელი ძალადობა“ ვწერთ იმის შესახებ, რომ ოჯახში, სადაც ინცესტი ხდება, აკრძალულია არა ინცესტი, არამედ მასზე საუბარი.

ამ ბავშვების ემოციების პალიტრა მეტად მწირია. მათ იციან ძალადობის ლექსიკონი, მაგრამ ვერ ფლობენ ალერსის და ინტიმური ნდობის ენას. სასიყვარულო სიახლოვე მათთვის ხშირად საფრთხესთან არის დაკავშირებული, რადგან სისასტიკე უახლოესი ადამიანებისგან მო-

დიოდა.

არასრულწლოვანი აგრესორების მკურნალობა მიზნად ისახავს მათი მსხვერპლის მიმართ თანაგრძნობის გაჩენას. ამისათვის, უპირველესად, საჭიროა დავეხმაროთ მათ ოჯახში არსებული ურთიერთობების გადახედვაში, ანუ იმის გააზრებაში, რაც პირადად მათ და მთელ ოჯახს ეხება და აქამდე უცნობი გრძნობები განვაცდევინოთ.

ამ ბიჭებს და გოგონებს შინაგანი უსაფრთხოება არასოდეს უგრძვნიათ. მათი ცხოვრება სავსეა მიტოვების ფაქტებით, დარტყმით, ღალატით და შეურაცხყოფით მიყენებული ტკივილით. ჩვენი თერაპიული ჩარევა მიმართულია მათივე მშობლების მიერ ჩადენილი უსამართლობის, უგულებელყოფისა და მიტოვების გამოაშკარავებისაკენ.

რაც შეეხება პატარა (რვა ცხრა წლის) ბავშვებს, ვერიდებით კონტაქტის ეროტიზაციას, რის დამყარებასაც ისინი ცდილობენ პირველი შეხვედრისას, მაგალითად ჩახუტებას. უფრო დიდები, სხვაგვარად იქცევიან და ეფექტურად ახერხებენ უნებლიე მოძრაობების შეკავებას, ეროტიული კონტაქტის მოლოდინში.

ცხრა წლის რაფაელს აღენიშნება საკმაოდ სერიოზული ჩამორჩენა ზრდის და წონის მატების მხრივ, მაგრამ მისი თვალები სავსეა სიცოცხლით. მეზობლის მიერ მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე საუბრისას, სეანსზე მყოფ ქალს, აღმზრდელს, თერაპევტს თუ ფსიქიატრს ადებს მუხლზე სასქესო ორგანოს და სთხოვს საჭმელს. რაფაელისთვის უკლებლივ ყველა ქალი არის მოძალადე. რაც არ უნდა შოკისმომგვრელი მოგვეჩვენოს, მისი საქციელი არის მოძალადე უფროსთან ურთიერთობის შეც-

ვლის გაუცნობიერებლი სურვილის გამოხატულება და ნამდვილი სექსუალური რეფლექსი, რაც გამოუმუშავა მეზობელმა, რომელიც ჭამის უფლებას აძლევდა მხოლოდ ძალადობრივი აქტის შემდეგ.

თერთმეტი წლის ბრიანი, შესანიშნავი ბიჭი, კრიზისის თავიდან ასაცილებლად იმყოფება ტრანკვილიზატორების ქვეშ. იგი „თავაზიანად“ სთხოვს აღმზრდელს, მასთან ერთად ველოსიპედით გაისეირნოს. ტკბილი საუბარი, ეშმაკური გამოხედვა . აღმზრდელი დაუფიქრებლად დათანხმდა. ბრიანი მაშინვე შიშმა შეიპყრო. შედეგად, აგზნებული და სოფელში ყვირილით გაქცეული ბავშვი თავიდან იქნა ჰოსპიტალიზირებული.

მოძალადეები იღებდნენ პედოფილურ პორნოგრაფიულ ფილმებს ბრიანის მონაწილეობით და გარყვნილობის სცენები მიმდინარეობდა ველოსიპედზე.

ეს ორი ბიჭი, რაფაელი და ბრიანი, ისევე როგორც არასრულწლოვანი სექსუალური აგრესორების უმრავლესობა, თავს ესხმის სხვა ბავშვებს. მათთვის დამახასიათებელია იდენტობის დისოციაცია.

თერაპია სექსუალური ქცევის და ბავშვის შიშის გამოვლინებების კომენტირებაში მდგომარეობს. ბავშვს დახმარება უნდა გაეწიოს მათ განხილვაში სექსუალური თავდასხმების ჭრილში და მის დაცვაზე პასუხიმგებელი უფროსი ადამიანისთვის გადატანილი ძალადობის შესახებ გაზიარებაში.

პირველი თერაპიის კურსის გავლის შემდეგ, ცვლილება ნაწილობრივ ჩნდება. სექსუალური აგზნებადობა მცირ-

დება. ბავშვები ნაკლებად არიან შეპყრობილი მოგონებებით გადატანილ სასტიკ სცენებზე.

უნდა აღინიშნოს მიმღები ოჯახის მიერ გაწეული სამსახური. მათ მიიღეს ეს ბავშვები, თავისებური სირთულეების შესახებ გაფრთხილების მიუხედავად. დიდია მათი წვლილი ძალადობრივი ქმედების საფუძველზე შეძენილი ჩვევების დაძლევაში. თერაპიის დროს, ისინი ჩვენგან სწავლობენ, თუ როგორ ხდება ურთულესი მაპროვოცირებელი მომენტების მართვა ბავშვის ტანჯვის გარეშე.

ჩვენც ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი მიმღები ოჯახის, კერძოდ, მხარდამჭერი (დედის/პირის) ჩართვას თერაპიის სეანსებში. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათ მხარდაჭერას მეუღლეების მხრიდან, რომლებიც, მართალია, არ მუშაობენ დედის და ბავშვის დაცვის სამსახურში (PMI), მაგრამ ხშირად მაინც თანხმდებიან დაესწრონ ემოციურად მეტად რთულ სეანსებს, ხოლო შეძენილი გამოცდილება გამოიყენონ სახლში, აღმზრდელობით საქმიანობაში.

ბავშვების ნახატები გვეხმარება სამუშაოს დახვეწაში ტრავმების სფეროში. ზოგადად, ჩვენ არ ვაძლევთ კონკრეტულ მითითებებს მსხვერპლ ბავშვებს, მაგრამ მცირეწლოვან აგრესორებთან მუშაობისას ვიყენებთ მათი ორიენტირების პრაქტიკას. ჩვენ ვთხოვთ მათ, ნახატზე გამოსახონ საკუთარი თავი, ასევე წარმოადგინონ მათ მიერ განხორციელებული აგრესიები ან ის აგრესიები, რომელთა მსხვერპლიც თავად გახდნენ.

ასეთ მომენტებში მათ სირცხვილის, უხერხულობის გრძნობები ეუფლებათ, ხშირად სიძულვილსა და რისხვასთან

შერეული. ისინი ცდილობენ, მოერიდონ მათი მსხვერპ-ლის შიშველი სხეულის გამოსახულების აღდგენას, გარი-დების რეაქციის ან პოსტტრავმატული ფიზიკური ფრაგ-მენტაციის გამო. ხოლო შემდგომში ვაღწევთ ამას.

ჩვიდმეტი წლის ფელიქსს აღენიშნება მსუბუქი ჩამორჩე-ნა ზრდაში. სახეზე მას აქვს მოკრივისთვის დამახასია-თებლი დაზიანებები, – ბავშვობაში ხშირი დარტყმებისგან გამრუდებული ცხვირი, მაგრამ არ ახსოვს ეს ძალადობები.

ჩვენ მას ვთხოვეთ, დაეხატა იმ პატარა, სამი წლის გოგო-ნების ქვედა საცვალი, რომელთა წინაშე იგი შიშვლდებო-და და მათაც აიძულებდა გახდას. ფელიქსი დაიძაბა, გაწითლდა, მან დაიმორცხვა. მანამდე, განხორციელე-ბული ძალადობების ფაქტებზე საუბრისას, იგი არანაირ ემოციას არ გამოხატავდა. ახლა კი გაწითლდა, მაგრამ ჩვენი წახალისების ფონზე მან ნახატი დაასრულა.

პირველმა სეანსებმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა მის სწავლასა და სექსუალურ ორიენტაციაზე. მან და-იწყო გოგონებისათვის საჩუქრების კეთება, რაც დიდი გამარჯვებაა. თერაპიის ერთწლიანი კურსის შემდეგ მან თქვა, რომ ყოფილ მსხვერპლთან შეხვედრისას სირცხ-ვილის გრძნობა ეუფლება. თერაპიული ნიძლავი მოგებუ-ლია: მას სიტუაციის შესატყვისი ემოციები გაუჩნდა.

არასრულწლოვან აგრესორებს, რომლებიც ჩვენთან მკურ-ნალობენ, აერთიანებს სრულწლოვანი პედოფილებისგან განმასხვავებელი თვისება: ისინი ხვდებიან, რომ პრობ-ლემა არის მათში, მათი აგრესიების რეალობას აცნობიე-რებენ და თავს სხვა ბავშვებისგან გარიყულად გრძნობენ.

თერაპია პაციენტებს იმის გააზრებაში ეხმარება, რომ,

შესაძლოა, ვერ აღუდგნენ სექსუალური აქტის ცდუნებას და ისინი დახმარების საჭიროებას აღიარებენ. მათი აღიარება თავიდან ბუნდოვანია, ხოლო ნელ-ნელა გამოკვეთილი ხდება. ისინი თანხმდებიან ჩვენს დახმარებას და აქტიურად უწყობენ ხელს მკურნალობას, რაც, მათი ფსიქიკის გარდაქმნის კუთხით, ძალიან კარგ შედეგს იძლევა. პაციენტები აცნობიერებენ, რომ მათი „მოქმედება“ სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი გამოცდილების გამეორება. ეს აღიარება მეტად მნიშვნელოვანია და გვეხმარება, რაც შეიძლება სწრაფად გამოვავლინოთ ეს ბავშვები, რადგან არ გაჰყვნენ პედოფილის „ხანგრძლივ კარიერას“.

არასრულწლოვან აგრესორთა მკურნალობის მიზანია მათი პიროვნული რეორგანიზაცია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოზარდებმა გააცნობიერონ აკრძალული ქმედებების დაცვითი ფუნქციები. ამის მიღწევა ყოველთვის არ გამოდის. ისეთ შემთხვევებში, სადაც კანონმა არ დაუჭირა მხარი სპეციფიკურ მკურნალობას, არასრულწლოვანმა აგრესორებმა ხელახლა ჩაიდინეს დანაშაული.

ოცი წლის ადრიენი არის ელეგანტური მამაკაცი არისტოკრატიული წრიდან. მან განახორციელა მრავალი ინცესტური აგრესია მისი უმცროსი დის, ამარანტას მიმართ. პირველი თავდასხმის დროს, გოგონა იყო წლინახევრის, ხოლო ადრიენი ექვსი წლის. ინცესტური „კავშირი“ ამარანტას ცამეტი წლის ასაკამდე გაგრძელდა, როდესაც მას ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. სწორედ მაშინ გაანდო პირველად მისი საიდუმლო ჰოსპიტლის ფსიქოლოგს. მისმა ძმამ მიიღო ბავშვთა მოსამართლის მითითება, ხოლო ამარანტას არ ესმოდა, თუ რატომ უნდა „მოსულიყვნენ“ თერაპიაზე.

ამარანტამ, ფაქტის გამოვლენისთანავე, ნებაყოფლობით, მაგრამ დიდი სირთულეებით გაიარა თერაპია. მისმა სრულწლოვანმა ძმამ, ადრიენმა მიატოვა ოჯახური თერაპიის სეანსები. ოჯახური თერაპიის რამდენიმე სეანსის მიუხედავად, სამართლებრივ-სამედიცინო თერაპიის გარეშე დარჩენილი ადრიენი დანაშაულს უარყოფს და აცხადებს ჰომოსექსუალობას, რასაც არავინ იჯერებს, მაგრამ მოსალოდნელია რეციდივი.

ერთ დღეს იგი შეხვდა დას გარეუბნის მატარებელში და უყვირა: „როგორ, შენ ისევ უნდა შეხვდე იმ ქალს (გულისხმობდა თერაპევტს), რომელიც ამბობს, რომ მე შენ გაგაუპატიურე?“. რაზეც შეწუხებულმა დამ უპასუხა: „მართალია, შენ მე გამაუპატიურე!“.

დანაშაულის უარყოფა მიმართული იყო გოგონას მიერ დაწყებული თერაპიის დესტაბილიზაციისკენ. გოგონამ, რომელიც გადიოდა თერაპიას თვითმკვლელობის აზრის უკუსაგდებად, იპოვა საშუალება, დახმარებოდა ძმას მისი დანაშაულის გაცნობიერებაში.

ადრიენის ისტორიიდან გამომდინარე, უფრო მარტივად მესახება სწორედ ინცესტის და არა ოჯახის გარეთ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევებში, ახალგაზრდა აგრესორის მიერ იმ ფსიქოლოგიური ასპექტების გაცნობიერება, რომლებიც ახლდა მის დანაშაულებრივ ქმედებებს. ანუ, დავეხმაროთ მას, გაიხსენოს, თუ რა ემოციები უძღოდა წინ მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, რა ახლდა და რა იყო დანაშაულის შემდეგ.

16 წლის რონალდო იქნებოდა ლამაზი ბიჭი, რომ არა მისი მორბენალი თვალები და თითქოს ნასესხები გამოხედვა.

მისი გაუგებრად საუბრის მანერა სწრაფად ღლის მსმენელს. იგი არის ბურჟუაზიული ოჯახიდან. მამის ავტორიტარიზმმა და დედის ჭარბმა შემწყნარებლობამ მასზე კვალი დატოვა. რვა წლის ასაკში, მისი ბიძაშვილების მხრიდან განხორციელებულმა სექსუალურმა ძალადობამ, გამოიწვია მისი აგრესია უმცროსი ძმის მიმართ. თერაპიის სეანსის დროს, მამის თანდასწრებით, მანერული, როგორც არასდროს, რონალდო, ჩვენი თხოვნით, იმ ფსიქოლოგიური „გარემოს“ აღწერას იწყებს, რომელიც წინ უსწრებდა ძმის მიმართ სექსუალურ ძალადობას. უმნიშვნელოვანესია მისთვის დახმარების გაწევა იმის გამოკვეთაში, თუ მისი ძმის მიმართ ძალადობით, რა გრძნობისგან, რა შეგრძნებისგან და რა მღელვარებისგან უნდოდა მას გაქცევა. როდესაც რონალდომ, მამის თანდასწრებით, გააცნობიერა, რომ მისი ჟესტები მამის რისხვას და სასოწარკვეთას იწვევდა, იგი გაფითრდა, მანერულობა დაკარგა, ხოლო შემდეგ ბრაზით და მიტოვების შიშით აღივსო. მხოლოდ მამას შეუძლია ამ ორი ემოციური მდგომარეობის „მიღება“. (გამოწვევა). მამის მონაწილეობა თერაპიაში აღმოჩნდა სავალდებულო, რადგან დაგვანახა მათ შორის კავშირის განვითარება.

არასრულწლოვან აგრესორთან მუშაობისას, საჭიროა მასში არსებული მსხვერპლის მკურნალობა. მხოლოდ ამ გზით მიაღწევს ის თანაგრძნობას მისივე პოტენციური მსხვერპლისადმი...

თავი 3-7

ინცესტის მსხვერპლი: არის თუ არა საჭირო ოჯახის მკურნალობა?

ბიუტ-შომონის ცენტრში ჩვენ ვმუშაობთ არა მხოლოდ მსხვერპლ ბავშვებთან, არამედ მის ოჯახთანაც, რადგან ვიცით, რომ მოძალადე მშობლები ხშირად თავად იყვნენ ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი და არასოდეს გაუვლიათ სათანადო მკურნალობა. ბავშვისთვის აუცილებელია, რომ მასზე მოძალადემ საჯაროდ აღიაროს ჩადენილი დანაშაული.

ნოემი 9 წლისაა. მამა ძალადობდა მასზე, როდესაც გოგონა სამი წლის იყო. ბავშვი იყო სასამართლო პროცესის მოლოდინში, მაგრამ მამამ მოახერხა პროცესის გადავადება. სკოლაში, ნოემი, სიტყვების ჩამონათვალის გაკეთებისას, ყოველთვის ამატებს სიტყვას „აღიარება“. თერაპიის სეანსის დროს, ბავშვი ხატავს ფალოსის ფორმის სახლს წარწერით „აღიარება“, რაც ასევე ასახავს მასზე განხორციელებულ სექსუალურ ძალადობებს.

მთავარია, ბავშვმა მოახერხოს მშობლის საქციელის რეალურად შეფასება და მშობლის/მშობლების არასწორი ქმედების გააზრება. ძალადობის მსხვერპლ ბავშვს სიცრუის სამყაროში უწევს ცხოვრება. მშობელი/მშობლები, მუქარით ან შანტაჟით აიძულებს/ენ მას, შეინახოს საიდუმლო მომხდარის შესახებ. მსხვერპლი, ერთი მხრივ, კონფრონტაციაშია მშობელთან/მშობლებთან, ხოლო მეორე მხრივ, მან სასტიკი სპექტაკლი უნდა ითამაშოს, რომლითაც გარემოცვას დაუმალავს გადატანილ ძალადობას. საიდუმლოს გაზიარება ზოგჯერ მსხვერპლს აიძულებს, საკუთარ თავზე აიღოს დანაშაულებრივი ქმედების გარკვეული პასუხისმგებლობა. ეს კი მას თა-

ნამონაწილეობის განცდას უჩენს.

დებსა და ძმებს შორის ინცესტის შემთხვევაში, ჩვენი თერაპია მიმართულია რელატიური ლექსიკის შეცვლისკენ. ამას გარდა, თერაპიამ უნდა მიგვიყვანოს აქამდე უარყოფილი დანაშაულის სიმძიმის აღიარებამდე. ეს კი ინცესტის, სექსუალური და ძალადობრივი დამოკიდებულების ნაცვლად, ოჯახის წევრებს შორის ხარისხობრივად ახალ, აქამდე შეუძლებელ ურთიერთობას დაამყარებს.

ალეზიამ, რომელიც წლების მანძილზე მისი ყველა ძმისგან ძალადობის მსხვერპლი იყო, თერაპიის მეორე სეანსის დროს მორიდებით გვითხრა, რომ უნდოდა დედას აეყვანა ხელში, მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო ცამეტი წლის. ინცესტის შეწყვეტის შემდეგ მან პირველად გამოხატა სიყვარულის მოთხოვნილება.

ზოგჯერ მთელი ოჯახური წრე ჩართულია დანაშაულებრივ ქმედებაში, ზოგიერთი - უშუალო მონაწილეობით, ზოგიერთი - მისი დუმილით, ან, უფრო იშვიათ შემთხვევებში, ძალადობრივი ქმედებების გამოგონებით. ყველაზე ხშირად, ოჯახის ახლობლები ან უახლოესი მეზობლები ცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს არაფერი ხდება. ამის საპირისპიროდ, იშვიათად, მაგრამ ხდება არასამართლიანი დადანაშაულების შემთხვევები, ამერიკული სტატისტიკის თანახმად, 5%-დან 10%-მდე. ამ შემთხვევების გამოვლენა სირთულეს არ წარმოადგენს. ბავშვს არ აღენიშნება იგივე სიმპტომები, რაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვს. ეს არის ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მყოფი ბავშვის სიმპტომები, რაც ასევე მოითხოვს მუშაობას ოჯახური ურთიერთობების დარღვევების გამოსწორებაზე. ამ დროს ხდება დრამის გამოაშკარავება, ბავშვისთვის დამნაშავეების ნათლად წარმოჩენა, მისი გათავი-

სუფლება დაგებული ხაფანგიდან, თვალთმაქცობის გარემოდან გამოყვანა და კარგის ცუდისგან გარჩევა.

ძალადობრივი ქმედებების შეწყვეტა არ ნიშნავს პრობლემის გადაწყვეტას. საჭიროა მოძალადე მშობლის დანაშაულის გამოკვეთა. ხშირად, მსგავსი დანაშაული, მშობლის მიერ მისი აღმოჩენის შემდეგაც, ოჯახის საიდუმლოდ იქცევა და არ ხდება განსჯის საგანი, ოჯახის სახელისთვის ზიანის მიყენების შიშით. ძალადობა შეწყვეტილია, მაგრამ ბავშვი ისევ სიცრუის გარემოში რჩება. ეს პათოგენური გარემო დამანგრეველია ბავშვისთვის. იგი ვერ ჩამოირეცხავს სიბინძურეს. სწორედ ამიტომაც არის მიზანშეწონილი თერაპიაში ბავშვის სრული გარემოცვის მონაწილეობა. ეს საშუალებას მოგვცემს, აღვადგინოთ ბავშვის გარშემო მართალი ურთიერთობები, მკაფიოდ გამოკვეთილი დამნაშავეებით და დამცველებით. ამ სფეროში ნეიტრალიტეტი არ არსებობს.

ქსელურ თერაპიაში, ოჯახის, თერაპევტებისა და სოციალური მუშაკების გარემოცვაში მყოფი მსხვერპლი ბავშვი სისასტიკის სააშკარაოზე გამოტანას სწავლობს. იგი ხედავს, რომ მის გარშემო ყველაფერი იცვლება და მის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ. აღიარებული მსხვერპლი საბოლოოდ ხდება დაცული და მისი ბავშვობა გრძელდება.

თავი 3-8

ძალადობის მსხვერპლი ბავშვი: როგორ უნდა გაგრძელდეს ცხოვრება?

მედეგობის კონცეფცია

ბორის ცირულნიკის მედეგობის კონცეფცია ხიბლავს ფართო საზოგადოებას და ჟურნალისტებს, მაგრამ პროფესიონალთა შორის დიდ პოლემიკას იწვევს.

ტერმინი „მედეგობა“ ფიზიკაში ნიშნავს სხეულის უნარს, გაუძლოს ძლიერ დარტყმას. სოციალურ მეცნიერებებში, მედეგობა ნიშნავს წარმატების მიღწევის, პოზიტიური ცხოვრების და განვითარების უნარს, სოციალურად მისაღები გზით, სტრესის ან მტრული დამოკიდებულების მიუხედავად, რასაც ხშირად მოჰყვება ნეგატიური შედეგი.

მსხვერპლის უნარს, დაძლიოს მიღებული ტრავმები, მედეგობას ვუწოდებთ. ამასთანავე საჭიროა სიფრთხილე: ეს თანდაყოლილი თვისება თავისთავად არ იძლევა მსხვერპლისთვის ძალადობით მიყენებული ტრავმების შემსუბუქების საშუალებას. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, სტანისლას ტომკიევიჩი, ფსიქიატრი, ინსტიტუციური და მოზარდების ძალადობის სპეციალისტი, გვაფრთხილებდა ამ კონცეფციის მეტად სწრაფი ასიმილაციის გამო: „პასუხები ჰიპოთეტურია, და არ არის სამეცნიერო-ექსპერიმენტული კვლევებით დადასტურებული“.

გარკვეულ დონეზე ყველანი ვართ მედეგები. სპონტანურად ვისწავლეთ ინტიმური ხასიათის კატასტროფების

დაძლევა.

ახალ პაციენტებს ასე ვესალმები: „კეთილი იყოს გადარჩენილების მობრძანება!“. რადგან მათ გამონახეს ის რაღაც პირადული, მაგრამ საერთო ყველა ადამიანისთვის, რამაც მისცა ძალა, ყოველგვარი დახმარების გარეშე, ძლიერი დარტყმა სასიცოცხლო უნარად გადაექციათ.

ოცდაორი წლის ნადინი, რომელსაც ბავშვობაში საკუთარი ბიძა აწამებდა, დღეს ლამაზი გოგონას ახალგაზრდა დედაა. მას შესწევს უნარი უთხრას თავის შვილს, რომ უყვარს იგი, რაც მას სიამოვნებას ანიჭებს.

მის მიერ გამოვლილი ტანჯვის ასაღწერად, მოვიყვან ბიძის სისასტიკის ერთ ეპიზოდს: მან დაკიდა გოგონა ხელებით კურდღლებს შორის, რომელთაც ატყავებდა გაყიდვის წინ, დაასვა მას ნაცისტური ხასიათის ემბლემები, მათრახით სცემა, ხოლო შემდეგ გულწასული გოგონა დატოვა სარდაფში რამდენიმე დღის განმავლობაში. შიშის მიუხედავად, ნადინმა სარდაფის ვირთხები გადააქცია მეგობრებად...

შემთხვევამ იგი მოსიყვარულე ადამიანებისაკენ მიმავალ გზაზე დააყენა და მან მოახერხა საკუთარი დრამის მოყოლა. მედეგობის ეს პირველი გაკვეთილი მისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, რაც მას ოჯახური ტვირთისგან გასათავისუფლებლად დასჭირდა, ნადინს ყოველთვის ჰქონდა სურვილი, განეცადა ბედნიერება და მან თორმეტი წლის ასაკიდან გაითავისა კეთილმოსურნე უფროსების მაგალითები.

ფსიქოანალიზი IV

(ნაშრომთა კრებული 1927-1933)

როგორც ძალადობის მსხვერპლთა თერაპევტი, რამდენადაც შესაძლებელია, ვიყენებ ჩემი პაციენტების მედეგობის უნარს, შეიარაღებული მხოლოდ და მხოლოდ იმის რწმენით, რომ „ეს შესაძლებელია“: შესაძლებელია შეწყდეს ძალადობა, გაუპატიურება, მიტოვება, გაუგებრობა, სიძულვილი. მხარს ვუჭერ სულ მცირე გაუმჯობესებასაც კი.

განვითარების პოტენციალის კეთილგანწყობილი გადამეტება (გადაჭარბება), ბავშვებში იქნება ეს თუ უფროსებში, იწვევს თვალსაჩინო ცვლილებებს, რაც ეყრდნობა მათი მედეგობის უნარს. ეს უნარი გააჩნია ნებისმიერ ფსიქიკას, ყველაზე დისოცირებულსაც კი. ჩვენ, თერაპევტებს შეგვიძლია პაციენტთა პიროვნული ცვლილებების წინასწარ დანახვა და მათთვის ჩვენება.

ჩემი აზრით ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, რომელთაც დავანახეთ სამართლიანობა და დაფასებული იყვნენ სამართლიანი ღირებულებებით, შემდგომში შესწევთ უნარი, უყვარდეთ საკუთარი თავი, სხვები და მათი მომავალი შვილები. ამის მეტად სასიამოვნო და ცოცხალი მაგალითებია ცენტრის კედლებზე გაკრული, ჩვენი პაციენტების მიერ გამოგზავნილი მოსაწვევები, მათი ქორწინების და შვილების ფოტოები.

შეიძლება თუ არა მოძალადის პატიება?

თუკი შესაძლებელია, რომ ვაღიაროთ მსხვერპლის უფლებები, უპირველეს ყოვლისა, ეს არის მისი უფლება,

სძულდეს საკუთარი მოძალადე, განსაკუთრებით ინცესტის მსხვერპლის შემთხვევაში. ეს გრძნობა არის გამარჯვების, მსხვერპლის ფსიქიკის გაჯანსაღების ნიშანი, რაც საბოლოოდ დეპრესიის დაძლევაში ეხმარება მას.

თერაპიის დროს, როდესაც გამოიკვეთება მოძალადის ბრალეულობა და მსხვერპლის უდანაშაულობა, მოძალადის მიმართ მსხვერპლის მტრული გრძნობის გაჩენა მის გათავისუფლებას მოწმობს.

სასამართლო პროცესს, მოძალადის ბრალეულობის დამსხვერპლის უდანაშაულობის გამოკვეთას მოყვება სოციალური აღიარება, რასაც ბავშვი ამ დრომდე მოკლებული იყო. როდესაც მოძალადე მისი კრიმინალური და დანაშაულებრივი ქმედებებისთვის სასჯელს მოიხდის, ბავშვს დიდი ხნის წინ ექნება დაძლეული მსხვერპლის როლი. ის წონასწორობას აღიდგენს და პატიებას შეძლებს. ხშირად პატიება მხოლოდ იმ პირობით არის შესაძლებელი, რომ მოძალადე მრავალჯერ, გულწრფელად გაუმეორებს მსხვერპლს, რომ ვერ პატიობს საკუთარ თავს მისთვის მიყენებულ ტრავმებს.

იგივე ეხება დედას, პასიურ მოწმეს. ბავშვი პატიობს დედას დანაშაულებრივი ქმედებების უგულებელყოფას, მის გულგრილობას და ემოციურ სიბრმავეს, მხოლოდ მისი მხრიდან სინანულის დანახვის შემთხვევაში. ცრუ მონანიება აღიქმება, როგორც დამატებითი ფსიქოლოგიური ზეწოლა. ყველაზე რთულად დასაძლევია დედის მხრიდან შვილის ტანჯვის უარყოფის შემთხვევები.

არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია პატიების ეტაპი, რაც, ამავდროულად, უმნიშვნელოვანესია ოჯახის აღდგენისთვის.

თავი 3-9

როგორ აისახება სექსუალური ძალადობა არასრულწლოვნის მომავალზე?

ქცევის დარღვევა არასრულწლოვნებში შეიძლება გამოვლინდეს აგრესიულობაში და სისასტიკეში, „ჭეშმარიტი სამართლის“ ძიების გზაზე. მართლმსაჯულების მიერ გამოტანილი განაჩენის გარდა, ბავშვი ან მოზარდი მოითხოვს მისი ოჯახს გარე უახლოესი გარემოცვისაგან, რომ დამნაშავედ სცნონ მისი მშობელი. თუ ძალადობის მსხვერპლმა ვერ მიიღო მართებული მხარდაჭერა, თუ მასზე მოძალადე არ იყო საჯაროდ გასამართლებული, ძალადობის მსხვერპლი იცხოვრებს ფსიქიკის ფრაგმენტაციით, მისი ქცევა იქნება „მოხეტიალე“.

სისასტიკის ფაქტები საკუთარი თავის მიმართ (თვითდაზიანება) შეიძლება იყოს ჩადენილი სრულწლოვანებამდე. ამრიგად, 2003 წელს დოქტორი მარკ შელი, პარიზის ფერნან ვიდალის ჰოსპიტალიდან, ატარებს კვლევას ავტომობილის მართვასთან დაკავშირებით. კვლევაში მონაწილეობდა 802 ადამიანი: 18-დან 22 წლამდე ქალები და 19-დან 25 წლამდე მამაკაცები. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდა ქალები, რომლებიც ბავშვობაში იყვნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი და ინახავდნენ საიდუმლოს ამის შესახებ, რვაჯერ უფრო ხშირად ხვდებიან ავტოსაგზაო შემთხვევებში, ხოლო ქალები, რომლებმაც მოახერხეს მათი ისტორიის გასაჯაროება - ორნახევარჯერ უფრო ხშირად. მარკ შელი აზუსტებს: „ჩვენ მიერ გამოკითხული ქალები საუბრობენ მათ გაუცნობიერებელ სურვილზე გადაიტანონ სოციალურად მიღებული დაავადებები, იჩივლონ და გამოავლინონ ართქმული ჭრილობები“. ჩვენ გვქონდა ინტუიცია ამის შესახებ პირველი

კვლევის ჩატარებისას ბიუტ-შომონში. მარკ შელიმ აღნიშნა, რომ „წარმოუდგენელი სისასტიკე“ იყო მისი რეფლექსიის (აზრების) პირველი გახმოვანება. ვირჟინი ტალმონის, მამის მხრიდან ძალადობის მსხვერპლის ამაღელვებელი ჩვენება, მისთვის და სხვა მძღოლებისთვის პოტენციური საფრთხის შემცველი ქცევის შესახებ, ეხება სწორედ ამ პოსტ-ტრავმატულ ასპექტს.

„ჩემი პირველი „ნამდვილი“ ხელფასით, ჩემს პატარა Z სტილის პეჟო 104-ში ჩავჯექი. საშინლად წვიმდა. გზა ძლივს ჩანდა მინის საწმენდების მიღმა... ვიფიქრე, შევეჯახო რამეს (დიდი დანაკლისი არ იქნება). თვალებისთვისაც მჭირდებოდა მინის საწმენდი. ვტიროდი ისე, როგორც არასოდეს მიტირია. მხოლოდ წვიმას ვხედავდი. გზაც გადაიქცა წვიმად“.

ბავშვობაში გადატანილი სექსუალური ძალადობის მეტად გავრცელებული შედეგია სხვადასხვა ტიპის სქესობრივი დარღვევა ზრდასრულ ასაკში: ფრიგიდულობა, ერექციის მოშლა, სექსი რამდენიმე პარტნიორთან, სექსუალური ხეტიალი და უკიდურეს შემთხვევაში - პროსტიტუცია. პროსტიტუციის პრობლემებზე მომუშავე მრავალი ფრანგული და ევროპული სოციალური ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ორივე სქესის ინდივიდების უმრავლესობას გადატანილი აქვს სექსუალური ძალადობა ბავშვობაში ან მოზარდობის ასაკში. კანადაში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ პროსტიტუციით დაკავებულ პირთა 80% თავად იყო ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი; ლილის პრევენციისა და სოციალური რეაბილიტაციის სამსახური ითვლის 75%-ს, ხოლო ნიცის - 40%-ს.

სექსუალური ხეტიალი, დართული ტოქსიკომანიით და

პროსტიტუციით, უკავშირდება პიროვნების უუნარობას, გაუმკლავდეს სექსუალურ ტრავმას. მოძალადემ დაარღვია (გარყვნა) მსხვერპლის ფსიქიკა სიყვარულისა და სექსუალური აქტების აღრევით. მოძალადე ხშირად ყიდულობს, ან იმედი აქვს, რომ საჩუქრებით და ფულით იყიდის მსხვერპლის დუმილს. ასეთ შემთხვევებში გარდაუვალია სიყვარულისა და სიძულვილის თანაარსებობა.

მოძალადემ მოახდინა მსხვერპლის თვალში საკუთარი სხეულის დეგრადაცია. ნებისმიერს შეუძლია მისი სხეულით სარგებლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსხვერპლს დაუკარგა სხეულის ხელშეუხებლობის დაცვის ყოველგვარი საშუალება: მისი სხეული მას აღარ ეკუთვნის. ამასერთვის ძალადობის მსხვერპლის ბავშვობიდან ან მოზარდობის პერიოდიდან ძალადობის რეპროდუქციის ქვეცნობიერი სურვილი, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მის ქცევაზე.

ამ მიზეზებით აიხსნება, თუ რატომ ხვდება მრავალი ახალგაზრდა გოგონა და ბიჭი პროსტიტუციის ხაფანგში. ბავშვობაში გადატანილი ძალადობის გამო, მათი სიცოცხლე გრძელდება სისასტიკისა და ინტიმური დეგრადაციის ფონზე, რაც მათ ზოგჯერ წარსულის დავიწყებაში ეხმარება.

თავი 3-10

ბავშვთა პროსტიტუცია: ვინ არის დამნაშავე?

ბავშვთა პროსტიტუცია არის მსოფლიოს რეალობა. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში პროსტიტუცია არის ერთადერთი საარსებო საშუალება მცირეწლოვანი, მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისათვის. დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა ამ მოვლენის მიმართ. დასავლეთიდან ჩასული ტურისტები შეადგენენ ძირითად მომხმარებლებს და ხელს უწყობენ სექსის ინდუსტრიის არსებობას, რომლის პირველ მსხვერპლს ბავშვები წარმოადგენენ.

ეს ფენომენი ჩვენ ქვეყანაშიც არსებობს. 1996 წლის სტოკჰოლმის კონგრესზე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მივლენილი დელეგატების მიერ წარდგენილი ანგარიშის თანახმად, მათი რაოდენობა შეადგენს 8000 ახალგაზრდა მსხვერპლს.

ინცესტური „ოჯახის“ შესაძლო გადახრა: სექსუალური ძალადობის სისასტიკის გარდა, ვაჭრობს და ყიდის შვილს. დროის უმეტეს ნაწილს ბავშვი ოჯახის სხვა წევრების, მეგობრების ან თანამშრომლების გარემოცვაში ატარებს... ზოგიერთი მშობელი სარგებელს ნახულობს და ბავშვს აიძულებს, რომ პორნოგრაფიულ სეანსებში ან პორნოგრაფიული ფილმების გადაღებაში მიიღოს მონაწილეობა. მსგავსი ფაქტები უფრო ხშირად შეჭირვებულ ოჯახებს ეხება. ბუტ-შომონის ცენტრში მიგვიღია ბავშვები, რომლებიც ოჯახებს შორის ოდიოზური ბარტერის სისტემით გახდნენ პედოფილების მსხვერპლი და იძულებით დაკავდნენ პროსტიტუციით. დასაწყისში, სირცხვილის გრძნობისა და მუქარის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ბავშვებს ამ

საიდუმლოს გამჟღავნება უჭირთ. ჩვენ ბავშვების აღიარებას ვისმენთ ხანგრძლივი თერაპიის კურსის დროს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი დარწმუნდებიან, რომ ბავშვთა დაცვის ქსელში მომუშავე უფროსებს მსგავსი ისტორიების მოსმენის უნარი შესწევთ.

ნელ-ნელა, საუბრის ან ერთობლივი სიჩუმის მომენტებში, ბავშვებს ახალი ემოციები ეუფლებათ, როგორიცაა სირცხვილი და შიში. მიუხედავად იმისა, ითქვა თუ არა ყველაფერი ოჯახური დრამის შესახებ, იცვლება ბავშვის აღქმა. თანდათანობით იზრდება რწმენა საკუთარ თავში. აგრესორის სასამართლო პროცესის მსვლელობისას ხშირად მოგვისმენია მოსამართლის მიერ გამოთქმული აღფრთოვანება ბავშვის ღირსებით. ჩვენთვის ეს არის დასტური იმისა, რომ მათ საბოლოოდ თქვეს უარი თავიანთ საქმიანობაზე და მსხვერპლის სტატუსზე. სასამართლო პროცესზე ბავშვის გამოსვლა არის თერაპიის ერთ-ერთი დამასრულებელი ეპიზოდი.

ზოგადად, გადატანილი ტანჯვის გასაჯაროებას ის ბავშვები თანხმდებიან, რომლებსაც განცდილი აქვთ დედის მიერ მიტოვება ან მისი თანამონაწილეობა სექსუალურ დანაშაულში. გასაჭირში სოლიდარული დები და ძმები ახლოვდებიან და იქმნება ახალი ჭეშმარიტი ოჯახი.

თერთმეტი წლის ბენჟამენმა, როგორც იქნა, დააფასა თავშესაფარი, სადაც იყო განთავსებული. ამასთანავე, ჯერ კიდევ არის აგრესიული და სასტიკი სხვა ბავშვებთან დამოკიდებულებაში. იგი იყო მამის და მამის მეგობრებისგან ძალადობის მსხვერპლი. როგორც კი იგი მიხვდა, რომ შეუძლია დახმარება მიიღოს აღმზრდელისგან, იგი ალაპარაკდა ფოტო სეანსების შესახებ მამასთან და სხვა მამაკაცებთან ერთად. მისი თერაპიაში მიმართვის

შემდეგ იგი დამშვიდდა, უკეთესად სძინავს, მისი სისასტიკე შეწყდა. მან მოითხოვა მისი დების მოყვანა, რადგან ღელავდა მათზე და უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მათ არ გადახდათ იგივე. გოგონები იმდენად პატარები არიან, რომ მათი გამოხატვის უნარი ძალიან შეზღუდულია. ძმის სიახლოვე მათ ეხმარება ნელ-ნელა დაიწყონ ლაპარაკი თავიანთ შიშზე. ერთ დღეს, ბენჟამენი მიხვდა, რომ გოგონები არ მოყვებიან არაფერს, სანამ დედა ივლიდა თავშესაფარში მათ სანახავად. აღმზრდელებმაც შეამჩნიეს დედის მომწამვლელი ზეწოლა, რომელიც არწმუნებდა გოგონებს, რომ ეს იყო სიცრუე და მამა არ ძალადობდა მათ ძმაზე, მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად.

დაკვირვების მიზნით, ბავშვთა მოსამართლეს მიმართეს დედის ვიზიტების დროებით შეწყვეტის თხოვნით. ამავდროულად, გავიგეთ გამომძიებლის გადაწყვეტილება დედის პასუხისმგებაში გადაცემის შესახებ დანაშაულის დაფარვისა და საფრთხის ქვეშ მყოფი პირისთვის დახმარების არ გაწევის ბრალდებით. ეს ახალი მდგომარეობა დაეხმარება გოგონებს თქვან ყველაფერი, თუკი გოგონები იყვნენ ძალადობის მსხვერპლი. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ გოგონები გადაურჩნენ ძალადობას, ბენჟამენი დარწმუნდება და დამშვიდდება. საქმის განვითარების მოლოდინში, ბენჟამენს აქვს წარმატებები სკოლაში.

ბავშვების პროსტიტუციით მოვაჭრეებს ვაწყდებით ბურჟუაზიულ ოჯახშიც.

ადვოკატი იცავდა სასამართლოში სამი მოზარდის, ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გოგონების ინტერესებს, რომელთა მამა ქმნიდა სახლში ინცესტურ გა-

რემოს. დარწმუნებული დედის მიერ მისი ქალიშვილების გულწრფელად დაცვაში, ადვოკატი დათანხმდა მიპატიჟებას კოქტეილზე. ადვოკატის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დედამ კუთვნილი ჰონორარის დანამატის სახით „შესთავაზა“ ერთ-ერთი გოგონა!

თავი 3-11

ძალადობა და პორნოგრაფია: როგორ დავიცვათ ბავშვი ტელევიზიისგან?

ხშირად საბავშვო გადაცემების საათებში, ტელევიზია ავრცელებს ძალადობის ამსახველ გამოსახულებას. საჭიროა თუ არა მოვარიდოთ ბავშვები ისეთ მძიმე და დაუნდობელ სურათებს, როგორიც არის ძმათა საფლავები აფრიკაში, ან აივ-ინფექციის ფონზე განვითარებული დაავადებები, ან ტერორისტული აქტები. ვამჯობინებდით ბავშვების მხედველობის არეალს მოვაცილოთ მედიაში გაშუქებული მსოფლიოში არსებული სისასტიკის ამსახველი სურათები.

ბავშვი, პირველი წლების განმავლობაში შეიცნობს სამყაროს. მშობელმა, ყოველგვარი გადაჭარბების და ამავდროულად შიშის გარეშე, უნდა მიმართოს იგი დამოუკიდებლად არსებობისაკენ. რასაც გარდაუვლად ახლავს იმედგაცრუება, დარდი, შიში და მწუხარება. ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, შეძლებისდაგვარად არ მივატოვოთ ბავშვი ამ ზოგჯერ სასტიკი აღმოჩენების გაკეთებისას. ვეცადოთ ნაკლები დრო გაატაროს ტელეეკრანთან უფროსების განმარტებების გარეშე.

ბავშვს, „რომლის ძიძა არის ტელევიზორი“ ემუქრება ძალადობის განალიზების საშიშროება და მისი აღქმა საზოგადოებისთვის მისაღებ წესად. ხელოვნურ სამყაროში ჰიპნოზის ქვეშ მყოფი ბავშვები, ცდილობენ იქვე ნახონ პასუხები გაჩენილ კითხვებზე. ისინი გადამეტებულად ბაძავენ მათი რჩეული გმირების სიარულს და მეტყველებას, ხოლო ტელევარსკვლავების ყველაზე უარეს ქცევას ჩათვლიან ღირებულად.

ზოგიერთი ბავშვი შაბათობით იძულებულია ოჯახთან ერთად უყუროს პორნოგრაფიულ ვიდეოს, რასაც შეიძლება ეწოდოს „ვიდეო-ინცესტი“. მშობლები არ ახორციელებენ ძალადობრივ აქტს უშუალოდ ბავშვის მიმართ, მაგრამ ასეთ ოჯახებში შექმნილია ინცესტის გარემო. ბავშვების მიერ დანახული სცენები დიდხანს რჩება აღბეჭდილი მათ ცნობიერებაში. ისინი ვერც გაურბიან მათ და არც იციან ვის ელაპარაკონ ამ საკითხზე.

ახალი წლის საღამოა. ათიოდე ახალგაზრდა წყვილი ერთ-ერთი მათგანის სახლში მართავს ძალიან ლამაზ წვეულებას. უფროსები იწვევენ ევროპის ჩრდილოეთის ერთ-ერთი ქვეყნიდან ცოტა ხნის წინ ჩამოსულ ახალგაზრდა ძიძას. მან ასადილა ოთხიდან ექვს წლამდე შვიდი ბავშვი, მოიგონა მათთვის თამაშები, ძალიან კარგად გაართო. ბავშვების და უფროსების წვეულება მხიარულად გრძელდება. გუნილამ ჩართო ტელევიზორი, ჩადო კასეტა და ჩაეძინა. კასეტის დასრულების შემდეგ, მაგნიტოფონი გამოირთო და ჩაირთო ტელევიზორი, სადაც გადიოდა პორნოგრაფიული ფილმი. ბავშვებმა მიიღეს შოკი ძილის წინ.

რამდენიმე კვირის შემდეგ, ერთ-ერთმა ბიჭმა ტელევიზიით მოალერსე წყვილის დანახვისას თქვა, რომ ნანახი აქვს მსგავსი სცენა გუნილასთან ერთად, იმ განსხვავებით, რომ წყვილი იყო სრულიად შიშველი. დედა მიხვდა, თუ რაზე იყო საუბარი და დაურეკა იმ საღამოს შეკრებილ მეგობრებს. შვიდივე ბავშვის მშობელმა აღნიშნა, რომ ახალი წლის ღამის შემდეგ ყველა ბავშვს აწუხებს საშინელი სიზმრები.

ზოგიერთი ბავშვი რჩება საშინელებათა ფილმების ჰიპნოზური ზემოქმედების ქვეშ მაშინაც, *როდესაც შეესწრებიან მსგავს სცენებს რეალურ ცხოვრებაში. მაგალითად, ხუთი*

და-ძმა, ფრედის პერსონაჟის, ბრჭყალებიანი მკვლელის ფილმოგრაფიის საუკეთესო მცოდნეები, შეესწრნენ მამის მიერ დედის ცულით მკვლელობის მცდელობის სცენას...

ბავშვები ხშირად უყურებდნენ მკვლელობის დადგმულ სცენებს, აჩერებდნენ, ხელახლა უშვებდნენ, ხოლო შემდეგ ძმები და დები ერთად იცინოდნენ. მათთვის ნანახი ბევრად უფრო ნაკლებად შემაშინებელი იყო, ვიდრე მათ ოჯახში მომხდარი. ვიდეომაგნიტოფონის ამ შესაძლებლობამ გააძევა ტრავმატული ტერორი.

თავი 3-12

როგორ ავიცილოთ თავიდან შეცდომები ოჯახში? სიმკაცრე

სად მთავრდება სიმკაცრე და იწყება უდიერი, არაღირსეული მოპყრობა? არ არსებობს მკვეთრად გამოხატული ზღვარი. ჩემი აზრით, თუ უსიამოვნო გრძნობა იქმნება ბავშვის მიმართ მეტად ხისტი მეთოდის, ან მკაცრი სასჯელის გამო, საჭიროა სიფრთხილე და დაფიქრება.

აღზრდის მიზანს წარმოადგენს ბავშვისთვის გარკვეული წესების სწავლება. აკრძალვამ არ უნდა შეურაცხყოს ბავშვის პიროვნება. ეს ყოველთვის დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, როგორიც არ უნდა იყოს ბავშვის ან მშობლების ხასიათი.

ბუნებრივია, რომ მშობლებმა უნდა გამოიჩინონ სიმტკიცე ბავშვის მოთხოვნების მიმართ: ამგვარად ისწავლის იგი საზოგადოებაში ცხოვრებას. მნიშვნელოვანია, ბავშვი ეზიაროს ფასეულობებს, რაც მოამზადებს მას დამოუკიდებლობისათვის, მოზარდობისა და ზრდასრული ასაკისთვის.

დასჯა არ არის ადვილი და კიდევ უფრო ნაკლებად სასიამოვნოა. საქმე ეხება გამონაკლის შემთხვევას ოჯახის ცხოვრებაში. ეს არის ბავშვისთვის შეტყობინება ერთად ცხოვრების წესების დარღვევის შესახებ. დასჯა არ უნდა იყოს, როგორც ხშირად ხდება, ოჯახში არსებული დაძაბულობის განმუხტვა.

სტრესის ან რისხვის მომენტებში დასჯას არაფერი დადებითი არ მოაქვს ბავშვისთვის, მაშინაც კი, თუ ბავშვმა

დაიმსახურა სასჯელი ან „დაიბრალა ყველაფერი“ უფრო მძიმე დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად.

იგივე უნდობლობით ვეკიდები ყოველგვარ ფიზიკურ სასჯელს, სილის გაწვნა ან საჯდომზე წამორტყმა ჩვენ დროშიც მიჩნეულია „ბუნებრივად“. სკანდინავიის ქვეყნებში აიკრძალა ამგვარი სასჯელი და მათ მიერ აღზრდილი ბავშვები არ არიან ჩვენს ბავშვებზე ცუდად გაზრდილები და არც ასოციალურები.

ევროპული ცივილიზაცია საგრძნობლად განვითარდა ამ კუთხით. თუნდაც ერთი საუკუნის წინ, ბავშვის სასტიკი ცემა ითვლებოდა ნორმად, რასაც დღეს აღვიქვამთ შეუწყნარებლობად. უფრო შორეულ წარსულში, ფიზიკური დასჯა სცილდებოდა ბავშვობის ასაკს და ემუქრებოდა მთელ საზოგადოებას, დიდსა და პატარას, ვინც არ დაიმსახურებდა ზემდგომის მოწონებას.

თანამედროვე ეპოქაში, სადაც უფროსის მიმართ ფიზიკური შეხება ითვლება დანაშაულად, დაუშვებელია ბავშვის მიმართ მსგავსი ქმედებები.

არსებობს ძალადობის სხვა, მეტად აქტუალური ფორმა: ბავშვისთვის ზედმეტი ვალდებულებების დაკისრება სწავლის, ან მისი მომავალი სოციალური მდგომარეობის საკითხთან დაკავშირებით. იაპონიაში, გამოცდებზე წარუმატებლობა აღიქმება როგორც ოჯახის შერცხვენა. ამ ქვეყანას აქვს ბავშვთა და მოზარდთა თვითმკვლელობის შემთხვევების მეტად სამწუხარო, რეკორდული მაჩვენებელი...

ამ ტიპის ქცევას ვხვდებით ჩვენი საზოგადოების ნებისმიერ ფენაში. ყველაზე ხშირად ეს არის მშობელთა „გა-

დაჭარბებული ინვესტიცია“ რაც ტვირთად აწევს შვილს. მშობლები ტანჯავენ შვილებს ზედმეტად მაღალი მიღწევების მოთხოვნით. ამგვარ დამოკიდებულებას არ იწვევს ბავშვების მიღწევებისა და მათი მომავლის უზრუნველყოფის სურვილი, არამედ დაკავშირებულია მშობლების საკუთარი ბავშვობის გამოცდილებასთან. მათ უწევდათ მშობლების მხრიდან ზედმეტად დიდი მოთხოვნების შესრულება. ეს არის ერთგვარი ანგარიშსწორება წარსულთან, მათ შვილებთან იგივე დამოკიდებულების გამომჟღავნებით.

ასევე მიუღებლად მიმაჩნია პატარა ბავშვების მეტად გადატვირთული „მინისტრის განრიგი“. სკოლის დამთავრების შემდეგ მათ ეწყებათ სკოლის შემდგომი ციკლი: სოლფეჯიოს გაკვეთილები, სპორტი, უცხო ენების შესწავლა... ეს არის ბავშვებზე ფსიქოლოგიური ძალადობა, რასაც ვხვდებით შეძლებულ ოჯახებში.

კომუნიკაცია

ბავშვი განსაკუთრებით მგრძნობიარეა ოჯახური გარემოსა და ოჯახის წევრებს შორის არსებული დაძაბულობის მიმართ. ძალიან პატარასაც კი გამახვილებული აქვს ყურადღება და „იჭერს“ ყველაფერს, რამაც შეიძლება დაარღვიოს მისი სიმყუდროვე ოჯახში. იგი ამჩნევს ჩვენი ქცევის და ჩვენი ურთიერთობის მცირე დაძაბულობასაც კი, ხვდება, რომ რაღაც პრობლემა წარმოიშვა, მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობთ არ ვილაპარაკოთ მისი თანდასწრებით ამის შესახებ. იგი, თავის მხრივ, ცვლის საკუთარ ქცევას და დამოკიდებულებას გარემოცვის მიმართ და ავლენს შფოთვის ნიშნებს. ხშირად ეს გამოიხატება წარუმატებლობით სწავლაში, შეიძლება უმნიშვნელო ან რიგი „უმიზეზო“ უსაქციელობით.

ბავშვი არ მოქმედებს უფროსივით, რომელსაც საუბრის დროს შეუძლია მარტივად გამოხატოს მისი უგუნებობა, ან რომელსაც შესწევს უნარი, პირდაპირ ისაუბროს გარკვეულ საკითხებზე. ბავშვს, რომელიც ჯერ არ ფლობს მეტყველების სინატიფეს, ხშირად ვერ პოულობს ზუსტ სიტყვას ან მომენტს რაღაცის სათქმელად. მისი მცდელობა, დაამყაროს კომუნიკაცია მშობლებთან, ხშირად მარცხით მთავრდება. ხშირად მშობლები არ ითვალისწინებენ იმას, რომ ბავშვს მნიშვნელოვანი რამის თქმა უნდოდა. დიალოგის დამყარების დროსაც კი რთულია ათქმევინო მას შიშის მიზეზი და გააქარწყლო იგი.

ბავშვისგან მისი შფოთვის მიზეზის გასაგებად მარტივი და შედეგიანი ხერხი არსებობს. დასაწყისისთვის დაუთმეთ მას ხუთი წუთი დღეში. წუთები, რომლებსაც მთლიანად დაეთმობა ერთმანეთის მოსმენას და არაფერს სხვას. ხუთი წუთი ტელევიზიის გარეშე, გართობის გარეშე, სასურველია, რომ არც ჭამის და არც ყოველდღიური საქმის კეთების დროს. და თქვენ შეამჩნევთ, ეს არ არის მარტივი ხუთი წუთი!

ამ ხუთი წუთის განმავლობაში არ შეეხოთ რამე კონკრეტულ საკითხს. არ დაუსვათ კონკრეტული კითხვა სკოლაზე, არც ოჯახზე, არც ამინდზე. უბრალოდ ჰკითხეთ კარგად თუ გრძნობს თავს. ან თუ აქვს რამე პრობლემა. თუ არის კმაყოფილი. ნუ შეგეშინდებათ სიჩუმის. ნუ შეეცდებით მის წარმართვას. თუ იგი გაგანდობთ რამე პრობლემას, და თუ გიჭირთ გაგება, შეგიძლიათ სიფრთხილით შეეხოთ ზოგიერთ საკითხს: „შენ თქვი, რომ გეშინია. სახლში შეგაშინა ვინმემ? სკოლაში?“ შესაძლოა, იგი არ აგყვეთ საუბარში, ან ისე გიპასუხოთ, რომ ნაკლებად მნიშვნელოვნად მოგეჩვენებათ. ეს არ არის ცუდი ნიშანი. თუ მას ნამდვილად აწუხებს რამე, მიხვდება რომ უნდა

ისარგებლოს შემთხვევით და თქვას.

ცნობილია, რომ მომღერალი კარლოსი არის ფსიქოანალიტიკოსის და „მწვანე სახლების“, დედათა და ბავშვთა შეხვედრის და გამოთქმის ადგილის დამაარსებლის, ფრანსუაზ დოლტოს შვილი. იგი ყვება, რომ ბავშვობაში ეჭვიანობდა, რადგან დედა მუდმივად იცლიდა მისი პაციენტებისთვის. მან დანიშნა „შეხვედრა“ დედასთან. გასაუბრების შემდეგ გამოვიდა დამშვიდებული, რაც დაეხმარა აიტანოს მრავალი სატელეფონო ზარი, რომლებსაც დედა პასუხობდა.

ბავშვი ცდილობს მოაგვაროს ოჯახში შექმნილი კრიზისი, მშობლებს შორის დაძაბულობისა და მტრული განწყობის მისკენ მიმართვით. მის მიერ დაშვებული შეცდომა ისჯება და მიეცემა დავიწყებას. იგი ქვეცნობიერად ვარაუდობს, რომ ფარული დაძაბულობის საკუთარ თავზე აღებით, მშობლებს საშუალებას მისცემს, გამოხატონ სათქმელი, და ამით თავად პრობლემის გამომწვევ მიზეზსაც მოსპობს.

თუ სახლში დაბრუნებული ბავშვი მშობლების ხმამაღალ კამათს შეესწრო, იგი ცდილობს ყურადღების მიქცევას ჭიქის გატეხვით, ან DVD-ს დაზიანებით, ქვეცნობიერად იმის იმედით, რომ მშობლებს შორის არსებული კონფლიქტი თავისთავად მოგვარდება. ნამდვილი “მზა მსხვრპლი“, ბავშვი ხდება ოჯახის განტევების ვაცი და მისი ზრახვების გაუცნობიერებლად მშობლებს მასზე გადააქვთ საკუთარი გაღიზიანება. მსგავს სიტუაციას ნებისმიერ ოჯახში შეიძლება შევხვდეთ.

ოთხი წლის კევინმა შეწყვიტა ლაპარაკი. შეშინებულმა დედ-მამამ მომმართა. რვა დღის მერე შევთავაზე ოჯახური

თერაპიის სეანსი. სწორედ ამ დროს მამამ შემატყობინა, რომ ვერ დაესწრებოდა თერაპიის სეანსს, რადგან ექვსი თვით მიდიოდა ისლანდიაში. ეს შემთხვევა არის პროტესტის გამოხატვა დამუნჯებით. ბავშვმა იგრძნო მშობლების დაშორების საშიშროება. მისი სიმპტომი არის ოჯახის შენარჩუნების გაუცნობიერებული მიზანი.

მოკრძალება

მოკრძალება მშობლებსა და ბავშვებს შორის სავალდებულოა მრავალი მიზეზის გამო: აბრკოლებს ინცესტის ცდუნებას, უყალიბებს ბავშვს მისი სხეულის სიწმინდის დამოკიდებულებას, მისი ინტიმურობისა და დაცვის სურვილს ყოველგვარი ჩარევის წინააღმდეგ. ბავშვებისთვის მშობლების სიშიშვლე მეტად გასაოცარი სანახაობაა და არ უნდა იყოს ბანალიზებული.

შედარებით რთულია იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვმა არასოდეს ნახოს შიშველი მშობლები, მით უმეტეს, ის დაინტერესდება იმით, რასაც უმალავენ. და ეს სრულებით ბუნებრივია. არ არის სასურველი, ბავშვი უყურებდეს მშობლების ინტიმს და მუდმივად ხედავდეს მათ გახდილს.

ბავშვისთვის, უფროსი ადამიანის სასქესო ორგანოების დანახვა არის შოკის მომგვრელი, რადგან ისინი მეტად განსხვავებულია მისისაგან და შეიძლება მოეჩვენოს უცნაურად და შემაშინებლადაც კი. ასევე მენსტრუალური დენის დროს, ბავშვი მას აღიქვამს რაიმე დაავადებით ან ჭრილობით გამოწვეულ სისხლის დენას. ჩემს ერთ-ერთ პაციენტს აღბეჭდილი აქვს მეხსიერებაში მომენტი, თუ როგორ იღებდა დედა დასვრილ საფენს მის თვალწინ. დედა არ ფიქრობდა იმ მომენტში, თუ რა გავლენას

მოახდენდა ეს მის ექვსი წლის გოგონაზე.

ასევე სასურველია, ყოველგვარი „თავისუფალი სივრცეების“, ანუ „ნატურისტების“ ბანაკების მორიდება. ეს ბანაკები ხშირად მოწყობილია „ოჯახური ნატურიზმისთვის“.

ზოგიერთი თვლის, რომ უფროსების სიშიშვლის ორაზროვნების გასაქარწყლებლად საჭიროა მისი ბანალიზება. მაგრამ სწორედ პედოკრიმინალური დისკურსი უარყოფს და აუქმებს არსებულ სხვაობას უფროსი ადამიანისა და ბავშვის სხეულს შორის, იმისთვის რომ შემდგომში დააწესოს უფროსთან სექსუალური კავშირი.

და ბოლოს, არის თუ არა საჭირო იმის შეხსენება, რომ სახიფათოა ბავშვის, ძალიან მცირეწლოვნის თანდასწრებითაც კი, ერთ ოთახში სექსუალური აქტით დაკავება. ჩვილის ყოფნა ოთახში სახიფათოა მისი შემდგომი განვითარებისათვის, იმ დღიდან, როდესაც მშობლები შეძლებენ სექსუალური ცხოვრების აღდგენას.

დასკვნა

ბავშვობა არის ფუნდამენტური ეტაპი ინდივიდის განვითარებაში. აგრესორთა უმრავლესობა ვერ აცნობიერებს თუ როგორ აისახება მათ ქმედებებზე ბავშვობაში გადატანილი მოვლენები.

ახლა, როდესაც ვფიქრობთ ოჯახში ძალადობაზე, უნდა ვაღიაროთ რომ არ შეგვიძლია ოჯახში ძალადობის პრევენცია, რომელსაც ახლავს მუქარა, შანტაჟი ბავშვის სიყვარულით, ცემა და მკვლელობის მცდელობა, ხოლო ზოგჯერ მკვლელობაც, (მამაკაცები ორმოცდაათჯერ ხშირად ჩადიან ცოლების მკვლელობას ვიდრე ქალები) და არც ძალადობის მოწმე ბავშვზე მისი ზემოქმედების განსაზღვრა. რამდენ ასეთ მოწმე ბავშვს აქვს დაკარგული სიყვარულის, თამაშის, სწავლის, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ თანაგრძნობის უნარი? ინგლისში ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ არასრულწლოვანი სექსუალური აგრესორები რვაჯერ უფრო ხშირად იყვნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, ვიდრე სხვა ბავშვები.

რა თქმა უნდა, რაც მეტად გავერკვევით ბავშვთა ფსიქოლოგიასა და ქცევაში, მით მეტად შეიარაღებული ვიქნებით ძალადობის ფენომენის გაანალიზებისთვის და საზოგადოებაში არსებულ პრობლემასთან ბრძოლისთვის.

რა თქმა უნდა, ამ პრობლემის გააზრებას ხელისუფლებისა და მოსახლეობის უმრავლესობის მიერ ადასტურებს უახლესი წინსვლა სამართალწარმოებაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა სასარგებლოდ და ძალადობის პრევენციის სფეროში, როგორიც არის თერაპია ბუტ-შომონის ცენტრში და სექსუალური ძალადობის შემთხვევების მედიაში ფართოდ გაშუქება. თავად ბავშვები კიდევ

ბევრს გვასწავლიან მათსა და ჩვენ შესახებ... კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი.

თერაპიის შედეგად მსხვერპლ ბავშვებთან ან მოძალადეებთან მიღწეული მცირედი ცვლილებაც კი არის პატარა გამარჯვება უბედურებაზე. ისინი სიამაყით გვამცნობენ ამას. რამ შეიძლება მეტად გაგვამხნევოს? - მოგვიანებით, წარმატებები გამოცდებზე, მოსაწვევები ქორწილში, შეტყობინება ბავშვის დაბადების შესახებ, ყოველივე ეს წარმოადგენს მათი შემაძრწუნებელი წარსულისგან გათავისუფლების ნიშანს. ეს არის ის უძვირფასესი მხარდაჭერა ჩვენს ურთულეს პროფესიაში, რომელიც მოითხოვს ულევ ენერგიასა და დროს და დასტური იმისა, რომ მივდივართ სწორი მიმართულებით.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

წინასიტყვაობა 4

თავი 1 ძალადობის გამოვლენის ცოდნა 9

თავი 1-1 ძალადობა საფრანგეთში 9

თავი 1-2 ძალადობის მსხვერპლი ბავშვი: რა ნიშნით ხდება გამოვლენა? 23

თავი 1-3 ძალადობის ნიშნები: რა შეიძლება გააკეთოს ექიმმა? 35

თავი 1-4 როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ შევესწარით ბავშვზე ძალადობის ფაქტს 42

თავი 1-5 რაში მდგომარეობს შეტყობინება? 47

თავი 1-6 შეშინებული ბავშვი/მოძალადე ბავშვი: რა იწვევს პიროვნების გაორებას? 51

თავი 1-7 რატომ არ ესმის ზოგიერთ მამას, როდესაც შვილი ითხოვს შველას? 56

თავი 1-8 რატომ არჩევს დედა დუმილს ინცესტის შემთხვევაში? ... 59

თავი 1-9 შეიძლება თუ არა ბავშვმა მოიგონოს სექსუალური ძალადობის შესახებ? 62

თავი 2 მართლმსაჯულების რესურსები 71

თავი 2-1 ბავშვთა დაცვა: რა შეიცვალა XIX საუკუნის შემდეგ? 71

თავი 2-2 მართლმსაჯულება და თერაპია: როგორ ვითანამშრომლოთ? 79

თავი 2-3 როგორ გავიგოთ ბავშვის ხმა სასამართლოში? 85

თავი 2-4 როგორ მივიღოთ ინფორმაცია თერაპიის დროს? 97

თავი 2-5 სოციალური მუშაკები, მოსამართლეები: შესაძლებელია ნეიტრალურობის შენარჩუნება, როცა მსხვერპლი ბავშვია? 108

თავი 2-6 რა ვადა აქვს მსხვერპლს საჩივრის შესატანად? 112

თავი 2-7 როგორ ხდება მსხვერპლის კომპენსაცია? 119
თავი 2-8 რას ითვალისწინებს კანონი მოძალადე ოჯახისთვის? 122

თავი 3 გაგება, პრევენცია და განკურნება 129

თავი 3-1 მოძალადე დედა ნამდვილად არსებობს? 129
თავი 3-2 და-ძმის ინცესტი: არის ეს სიყვარული? 134
თავი 3-3 რა განსხვავებაა ინცესტს და პედოფილიას შორის? 138
თავი 3-4 როგორ ვებრძოლოთ პედოფილიას უკეთესად? 141
თავი 3-5 როგორ ავიცილოთ თავიდან „მოძალადედ ჩამოყალიბება“? 146
თავი 3-6 როგორ მიმდინარეობს არასრულწლოვან სექსუალურ აგრესორთა მკურნალობა? 153
თავი 3-7 ინცესტის მსხვერპლი: არის თუ არა საჭირო ოჯახის მკურნალობა? 163
თავი 3-8 ძალადობის მსხვერპლი ბავშვი: როგორ უნდა გაგრძელდეს ცხოვრება? 166
თავი 3-9 როგორ აისახება სექსუალური ძალადობა არასრულწლოვნის მომავალზე? 170
თავი 3-10 ბავშვთა პროსტიტუცია: ვინ არის დამნაშავე? 173
თავი 3-11 ძალადობა და პორნოგრაფია: როგორ დავიცვათ ბავშვი ტელევიზიისგან? 177
თავი 3-12 როგორ ავიცილოთ თავიდან შეცდომები ოჯახში? სიმკაცრე 180

დასკვნა 187

Le présent ouvrage „Enfant maltraité du bon usage de l'indiscrétion – Savoir identifier, répondre et agir“ est une traduction adaptée du livre ayant le même titre. Il est destiné à des professionnels travaillants avec des enfants et au grand public.

Martine Nisse, thérapeute de famille est une des fondateurs du Centre des Buttes-Chaumont à Paris. Le Centre est spécialisé dans la prise en charge thérapeutique des victimes et auteurs de violences familiales et extra-familiales. Depuis vingt ans, Madame Martine Nisse et son équipe proposent un cadre d'intervention interactif, à la fois social, judiciaire et thérapeutique, qui privilégie l'approche stratégique et les thérapies systémiques de réseau. Martine Nisse est membre de l'EFTA (Association Européenne de la Thérapie Familiale) et de l'IPSCAN (Société Internationale pour la Prévention des Mauvais Traitements et Négligences envers les Enfants). Elle est auteur de plusieurs livres et articles sur le thème de la violence envers les enfants.

Cette édition est préparée par la Fondation Géorgienne pour la Santé Publique en coopération étroite avec le Bureau International Catholique de l'Enfance (BICE). Le Projet est financé par l'Ambassade de France en Géorgie et la Fondation Oak (Oak Foundation).

Liberté • Égalité • Fraternité
REPUBLIQUE FRANÇAISE
AMBASSADE DE FRANCE EN GÉORGIE

OAK FOUNDATION

bice
International Catholic Child Bureau